პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84,
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დღიური

— ამერიკის ახალი ძალების გაგზავნა ჩინეთში.
— ბულგარეთის მთავრობამ იტალიას გადასცა სამი პოლიტიკური ემიგრანტი.
— გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის [illegible] სესია.
— ბელოსტოკის ციხეში მოჰკლეს მუშა ბახმანი.
— ლეიტენანტი ოლინი სამხედრო ტრიბუნალს მისცეს.
— მუშაობა „დნეპროსტროიზე" დაიწყება ორ კვირაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 15 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 36 (1791)

ცეკას პლენუმის დირექტივები

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ლენინურმა შტაბმა — ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ჩვენი სამეურნეო და შინაური პოლიტიკის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. კაპიტალური მშენებლობის, ფასების დაკლების, საბჭოთა გადარჩევის საკითხების შესახებ, ცეკას პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციები — ყველა კომუნისტებმა და მოწინავე მუშაკებმა უნდა წაიკითხონ და შეისწავლონ.

ჩვენი პარტიის და საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასის ძირითადი ისტორიული გეზი არის — გეზი ინდუსტრიალიზაციის, რომელიც ძლევამოსილ სოციალისტური მშენებლობის წინასწარ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს. ყოველ ახალ პერიოდში, ყოველ ახალ სამეურნეო წელს ჩვენი ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ ჩვენი გენერალური ხაზის თანდათანობითი გატარება სისწორით შევუთანხმოთ ჩვენს ქვეყანაში არსებულ მატერიალურ რესურსებს ისე, რომ უზრუნველვყოთ პირობები სოციალიზმის გამარჯვებისათვის და, ამავე დროს, განვამტკიცოთ პროლეტარულ-გლეხური კავშირი. რამდენი გავიღოთ კაპიტალური ხარჯებისა და ახალი მშენებლობისათვის; საიდან ამოვკრიფოთ საჭირო საშუალებანი; როგორ გავანაწილოთ თანხები მრეწველობის ცალკე დარგებსა და სამეურნეო რაიონებს შორის; რამდენი და რა ტიპის ახალი ქარხნები ავაგოთ; როგორ შევუთანხმოთ, რაც შეიძლება დიდი სამეურნეო ეფექტით, ახალ წარმოებათა შეწყობა ძველ წარმოებათა დაცვას - გამაგრებას, კაპიტალურ შეკეთებას და გაფართოებას; როგორი ტემპით ვიწყოთ განვითარება შემდეგისათვის, — აი ჩვენი კაპიტალური საამშენებლო პოლიტიკის ურთულესი და უდიდესი საკითხები. ის ფაქტი, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენ შევიძლია კაპიტალურ მშენებლობას ელექტროფიკაციასთან ერთად, — მოვახმაროთ 1.100.000.000 მანეთი, წარმოადგენს ჩვენ უდიდეს მიღწევას, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენ, ეს არის, მივაღწიეთ ომის წინადროინდელ სიმაღლეებს, ხოლო ეს კი ჩამორჩენილ ქვეყნისთვის „სიმაღლეებია", მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში კაპიტალური მშენებლობა გაყინვის წერტილიდან არ დაძრულა. ჩვენი პირველი მილიარდის სწორი და მოხერხებული სამეურნეო გამოყენება მიმდინარე წელს ქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ მომავალ წლებში მილიარდს მიემატოს ახალი ასეული მილიონები და ახალი მილიარდები. პლენუმმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა განმტკიცებისა და ყოველმხრივ ხელის შეწყობის საჭიროებას ჩვენი საბჭოთა მეტალურგიისათვის, რომელიც ჩვენი სოციალისტური მრეწველობის გულს წარმოადგენს.

პირველყოვლისა, ცალობითი ფასების და აგრეთვე გასაცემი ფასების შემცირების საკითხები, პარტიისაგან უკვე გაგებულია, როგორც ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ცენტრალური საკითხები. „პირგამშლილ მაკრატლის" ლიკვიდაცია ინდუსტრიალურ ბერკეტზე ხელის დაჭერის და სამრეწველო ფასების შემცირების საშუალებით—ეს არის ამოცანა ამოცანათა შორის,—ეს ნამდვილად ძირითადი რგოლია, რომელსაც, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ხელი უნდა ჩავკიდოთ. რასაკვირველია, ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭირო იქნება დიდი ენერგიის დახარჯვა, ნერვების დაჭიმვა და მოხერხებული მანევრების წარმოება ჩვენ ხომ უპირველეს ყოვლისა, მოქმედება მოგვიხდება ვაჭრობის და საქონლის ტრიალის სფეროში, რომლის ბადეც მეტად თხელია და ჭრელი. რასაკვირველია, დაბრკოლებები, ინერცია და წინააღმდეგობა, რომლის დაძლევაც მოგვიხდება, მეტის-მეტად დიდია, მაგრამ განა ჩვენთვის უდიდეს სიძნელეს არ წარმოადგენდა კერძო ვაჭრის განდევნა საქონლის ბრუნვიდან? განა ადვილი იყო ჩვენთვის პურის დამამზადებელი ბაზრის დაპყრობა? განა ადვილი იყო ჩერვონეცის განმტკიცება? ანუ საგარეო ვაჭრობის ბალანსის გასწორება და გასული სამეურნეო წლის დაბრკოლებათა გადალახვა? ჩვენ მაინც გამოვიჩინეთ ამ დარგებში სათანადო ენერგია. მით უფრო მეტი შეუპოვრობით და გულმოდგინებით უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი სავაჭრო ბრუნვის განკურნას, — ფასების შემცირებას: ცეკას დირექტივები, — პირველი ივნისისათვის შევამციროთ სამრეწველო ფასები ათი პროცენტით, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა შევასრულოთ სამეურნეო, პარტიული მუშაკებისა და მუშათა გაერთიანებული ძალებით.

თუ მიმდინარე სამეურნეო მომენტის მთავარ საკითხს წარმოადგენს საკითხი ფასების შესახებ, ჩვენი შინაური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარება.

აქ, საარჩევნო კამპანიაში ერთმანეთს ეჯახებიან საბჭოთა კავშირის ყველა კლასებისა და სოციალურ დაჯგუფებათა ინტერესები. აქ აშკარავდება კლასიურ ძალების შეფარდება, აქ განსაკუთრებულ ფორმით იშლება კლასიური ბრძოლა. ჩვენმა პარტიამ კურსი უნდა აიღოს კლასებს შორის, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ძირითად კლასებს— პროლეტარიატისა და გლეხობის შორის ისეთი ურთიერთობის შექმნისაკენ, რომელმაც მაქსიმალურად უნდა შესძლოს პროლეტარული სახელმწიფოს სიმძლავრის, და მისადმი ათეულ მილიონ მშრომელთა ნდობის განმტკიცება, კავშირის განმტკიცება მშრომელ გლეხობასთან, საშუალო და ღარიბ გლეხობის ბლოკის გამაგრება, კულაკისა და ნეპმანის იერიშის მოგერიება, პროლეტარიატის ხელმძღვანელი პოზიციების გაძლიერება, საბჭოების მასებთან უფრო მეტი დაახლოება, — ასეთია ჩვენი გეზი მეორე „ფართო და ღია" საარჩევნო კამპანიაში. ცეკას პლენუმმა — ჩვენი პარტიის ტვინმა გამოიტანა მნიშვნელოვანი დადგენილებები. ეხლა სიტყვა, უფრო მეტად კი საქმე მთელ პარტიაზე. დირექტივები მოცემულია. ახლა, მოდით. — და ბოლშევიკურად, როგორც საჭიროა, ეს დირექტივები ცხოვრებაში გავატაროთ.

მოსკოვი, 14 თებერვალი.

მავნე გადახრანი საარჩევნო კამპანიაში

საარჩევნო კამპანია თბილისის მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს. ეხლა უკვე შეიძლება ზოგიერთი შედეგების გამოყვანა, იმისათვის, რომ ამ შედეგებით შემდგომ მუშაობაში ვიხელმძღვანელოთ. პირველ ყოვლისა.

1. საარჩევნო უფლება აყრილთა სიების შესახებ

ახალი საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად, გაფართოვდა იმ პირთა რიცხვი,რომელნიც „შავ სიაში" მოხვდენ, რაც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ზოგიერთ თემებში შეცდომას თავი ვერ დააღწიეს. ასეა მაგალითად, გომბორში: საარჩევნო უფლება მოკლებულთა რიცხვი აღმოჩნდა 16,7 პროც., კოჯორში 11 პროც., წყნეთში 10,8 პროც. უეჭველია, რომ ამ ჯგუფებში შედის საშუალო შეძლების გლეხთა ნაწილიც. საარჩევნო უფლება მოკლებულთა ერთი ნაწილი, როგორც გამოირკვა, იხდის 2—4 მანეთს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. მაზრის ერთი რწმუნებულთაგანი იტყობინება, რომ „შავ სიაში" არა იშვიათად ხვდება მცირე შეძლების, საშუალო გლეხობა.

„მხოლოდ ცალკე განსაკუთრებულ კულაკურ რაიონებში არჩევნებში მონაწილეობისაგან გარიყულ პირთა პროცენტი შესაძლებელი და სავალდებულოა აყვანილ იქნეს ხუთ-შვიდ პროცენტამდე, და ისიც გამონაკლისის სახით" (მოლოტოვი) წინააღმდეგ შემთხვევაში. საშუალო შეძლების გლეხების საგრძნობ ნაწილს ჩამოვაშორებთ და კულაკების გავლენის ქვეშ მოვაქცევთ. საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხობის კავშირის ნაცვლათ ჩვენ შეიძლება მივიღოთ კულაკებისა და საშუალო შეძლების გლეხობის რამოდენიმეთ შეკავშირება. მით უმეტეს, გლეხობა საარჩევნო უფლებისადმი დიდ ინტერესს იჩენს და საარჩევნო უფლების ჩამორთმევას უყურებს, როგორც შეურაცყოფას. ამიტომ სათანადო ადგილობრივ ორგანოებში უნდა გადასინჯონ ხმის უფლება მოკლებულთა სია და თუ საარჩევნო უფლების არ მქონეთა პროცენტი 5-7-ზე მეტი აღმოჩნდება, აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი არჩევნების გაუქმების შესახებ ამა თუ იმ თემში. თბილისის საარჩევნო კომისიამ გააუქმა გომბორის არჩევნები და ეხლა სდგას საკითხი კოჯორის და წყნეთის შესახებ.

2. გლეხობის აქტივობის შესახებ.

ყველა ცნობები მოწმობენ იმას, რომ ჩვენ გვაქვს გლეხობის ყველა ჯგუფების და, უპირველეს ყოვლისა, მოჯამაგირეების და ღარიბების აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. აქ საჭიროა განსაკუთრებით ხაზი გაესვას ქალების აქტივობას. ამრჩეველთა აქტივობა გამოაშკარავდა, როგორც წინასწარ საარჩევნო კამპანიაში, ისე, განსაკუთრებით, თვით არჩევნების ჩატარების დროს. ამის შესახებ მაზრის ერთი წარმომადგენელთაგანი შემდეგს გვატყობინებს: „აქტივობა უსათუოდ გაიზარდა და ამ მოვლენის მთავარი მიზეზი, ჩემის აზრით, არის ის, რომ მათ შეუძლიათ, ვინც უნდათ, ის აირჩიონ". სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაციას სოფლად, ჩვენს მიღწევებს საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის დარგში, რასაკვირველია, ნაკლებ არ შეუწყვია ხელი ამ აქტივობის ზრდისათვის. წინასწარი ცნობებით.— ცალკე თემებში არჩევნებს დასწრებია 50 პროცენტიდან—70 პროცენტამდე. მაშინ, როცა გასულ წელს ეს პროცენტი აღწევდა 52, რაც შეეხება ქალებს, მათი დასწრების პროცენტი ნაცვლად შარშანდელი წლის 33 პროც., აღწევს 40-50 პროც. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ორგანიზაციული დარაზმვა მოჯამაგირეების და გლეხობის ღარიბი ნაწილის. რომელიც, როგორც ყველგან არის შემჩნეული, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, საშუალო შეძლების გლეხობის აქტივთან ერთად, წინასწარ ამზადებს საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა სიას. ამიტომ, სოფლის კულაკური ნაწილის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოცოცხლების მიუხედავად, მის აქტიობას ვერავითარი შედეგი ვერ მოაქვს. ჩვენ შემდეგშიდაც მთელი გარკვეულობით უნდა განვაგრძოთ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციული დარაზმვა და მისი ხელმძღვანელობა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ფრონტზე ჩვენ არ გვაინტერესებს „კლასიური ბრძოლის ხელოვნური გაღვივება" (სტალინი).

მიღებული ცნობები ერთგვარ მიღწევების მიუხედავად მოწმობენ რომ ეხლაც აქვს ადგილი ბრძანებლობის ცალკე შემთხვევებს და ხელმძღვანელობის საქმეში არა საკმარის მოქნილობას. დამახასიათებელია, რომ უფრო მეტად ასეთი შემთხვევები გვხვდება არა პარტ., არამედ კომკავშ. ორგანიზა.-იის მუშაობაში. მაგალითად, სოფელ მანავში თემსაბჭოს თავმჯდომარის არჩევის დროს, წინააღმდეგ საბჭოსა და პარტიის წევრთა სურვილისა, კომკავშირელები დაჟინებით და კატეგორიულად მოითხოვდენ თავის კანდიდატის არჩევას. იყო შემთხვევა, როცა კომკავშირელებმა საარჩევნო კრებაზე არჩევნების დამთავრების შემდეგ, არჩევნები უკანონოთ გამოაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ საბჭოში კომკავშირელი არ მოხდა. ამ საქციელმა გლეხობის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მაზრის რწმუნებულმა ძლივს შესძლო მათი დამშვიდება. გლეხობის აქტივობის უფრო მეტი გამოაშკარავებისა და მისი საბჭოთა მუშაობის კალაპოტში ჩაყენებისათვის, საჭიროა ბრძოლის გაძლიერება სოფლად ასეთი ბრძანებლობის წინააღმდეგ. ამ საკითხს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

3. ახლათ არჩეული საბჭოების შემადგენლობის შესახებ

ის ცნობები, რომელიც, ჩვენ ხელთა გვაქვს, მოწმობენ, რომ საბჭოებში ჩაბმულ უპარტიოების ზრდასთან ერთად, ჩვენ გვაქვს საბჭოებში არჩეულ კომუნისტების და კომკავშირელების რიცხვის ზრდა. ასეა, მაგალითად: 10 თემში გასულ წელში კომუნისტები შეადგენდენ 20,3 პროც., წელს 23,2 პროც., კომკავშირელნი შარშან შეადგენდენ— 6,4 პროც., წელს 7,6 პროც., უპარტიონი შარშან 73,3 პროც., წელს—69,6 პროც., საგრძნობლად გაიზარდა ქალთა პროცენტი, რომელიც 5,9 პროცენტიდან ავიდა 16 პროცენტამდე.

აქ მე ყურადღება მინდა მივაქციო უპარტიოთა შემადგენლობას. აქა-იქ საშუალო შეძლების გლეხობა სუსტათ არის წარმოდგენილი. იყო შემთხვევა, როცა ერთმა ამხანაგმა დეპეშით, გვაცნობა. რომ „არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს" და „რომ გაყვანილნი არიან ყველა ღარიბები"-ო. დამახასიათებელია, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა გომბორის თემში, სწორეთ იქ, სადაც 16,7 პროც. საარჩევნო უფლებას მოკლებულია. საშუალო გლეხობის ნაწილის შავ სიებში ჩარიცხვა და მისი სუსტი წარმომადგენლობა საბჭოებში მოწმობს ზოგიერთ ადგილების არა საკმარის ყურადღებას საშუალო შეძლების გლეხობისადმი. ეს პოლიტიკური შეცდომაა. ასეთს შემთხვევებს ადგილი აქვს საქართველოს სხვა მაზრებშიაც, ამიტომ საჭიროა ამ საკითხზე. გავამახვილოთ ჩვენი ყურადღება. თუ პარტიული ორგანიზაციები საკმარის ხელმძღვანელობას ვერ გასწევენ, ღარიბთა კრებები შეიძლება საშუალო შეძლების გლეხობის გარიყვის მიზეზათ გახდეს. საჭიროა შევიგნოთ, რომ ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საქმე წარმატებით წავა იმდენად, რამდენათ განმტკიცდება ღარიბების კავშირი საშუალო გლეხობასთან, რამდენათ ის ღარიბი გლეხობა გახდება პროლეტარიატის დასაყრდენ ძალათ გლეხობის ძირითადი მასის დაპყრობის საქმეში. ამიტომ ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ადგილებზე შემჩნეული, თუმცა გამონაკლისი სახით, ტენდენცია, რომელიც საბოლოოთ საშუალო შეძლების გლეხური მასის გარიყვას იწვევს. ახალ საბჭოებში საშუალო გლეხობას უნდა მიეცეს სათანადო წარმომადგენლობა.

ნ. სვანიძე.

ტრედიუნიონები მოითხოვენ კანტონის მთავრობის ცნობას

კანტონის ჯარების შეტევა.—ამერიკა ახალ ძალებს გზავნის ჩინეთში.—თათბირი უ-პეი-ფუს შტაბში.

პოლონეთის მემარჯვენე პარტიები მოითხოვენ ბარტელის გადადგომას

პილსუდსკი ემუქრება გერმანიას

იტალია უარს ამბობს კულიჯის წინადადებების მიღებაზე განიარაღების შესახებ.— ამერიკის პრესა კულიჯის წინადადებების შესახებ

ბრძოლა ჩინეთში

ჩჟან-ძო-ლინი „ორი მოღალატის" შესახებ

პეკინი, 13 თებერვალი. რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ჩჟან-ძო-ლინის მიმართვას ან-გო-ცზუნის (ეგრედწოდებულ „დამამშვიდებელ ნაციონალურ არმიის") უფროსთა შემადგენლობისადმი:

„ორი მოღალატე, ფინ-იუი-სიანი და ჩან-კაი-ში, ემორჩილებიან ბოლშევიკების დირექტივებს, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს ჩინეთს. მე მივმართე ექსპედიციას ფინ - იუისიანის და ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. ჩვენი მტრები ჩჟილის, შანდუნის და ჰანის პროვინციებში დამარცხებულ იქნენ. მაგრამ უჰანის დაცემის გამო, მღელვარება გავრცელდა მდინარე იან-ცზის განაპირა ადგილებში. ეხლა ჩჟილის, შანდუნის და მუკდენის არმიები მიემართებიან სამხრეთისაკენ სხვადასხვა გზებით. ამ არმიებმა ფიცი დასდეს უკანვე დაიბრუნონ ხანკოუ და უჩანი, რის შემდეგ ისინი დაიკავებენ ხუნანს და გუანდუნს".

„არადამაკმაყოფილებელი ხაზი"

პეკინი, 13 თებერვალი. შანხაის გაზეთის „ჩაინა დეილი ნიუს" ეხება ცნობას ევგენი ჩენსა და ო-მალის შორის მოლაპარაკების განახლების შესახებ. გაზეთი შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობა წავიდა დათმობაზე, დაიწყო რა მოლაპარაკება იმ პარტიასთან, რომელიც არა გულწრფელად, მტრულად არის განწყობილი ინგლისისადმი.

გაზეთი წინადადებას აძლევს ინგლისის ორგანიზაციებს და ფირმებს შანხაიში პროტესტი განაცხადონ იმ „არადამაკმაყოფილებელ ხაზის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისის დიპლომატიამ აიღო ჩინეთის მიმართ". (ადს).

უ-პეი-ფუს ბანაკში

პეკინი, 13 თებერვალი. უ-პეი-ფუ თავის ბანაკში იწვევს კონფერენციას, რომელმაც უნდა განიხილოს მუკდენის ჯარების ხენანის პროვინციაში შესვლის საკითხი. (ადს).

ნაციონალურ ჯარების წინსვლა

პეკინი, 13 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ნაციონალურმა ჯარებმა დაიკავეს ჩუკი, ხან-ჩეოუს სამხრეთით 70 კილომეტრის მანძილზე. (ადს).

ამერიკის ძალები

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. საზღვაო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ შანხაიში ჩავიდა შეერთ. შტატების საზღვაო ქვეითა ჯარის რაზმი. გარდა ამისა შეერთებულ შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების 1.200 კაცისაგან შემდგარი რაზმი უკვე გამგზავრებულია შანხაიში. (ადს).

„ბრძოლა გამარჯვებამდე"

პეკინი, 14 თებერვალი. ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ მუკდენელები არ ისახავენ მიზნათ რაიმე ტერიტორიალურ დაპყრობებს, არამედ მათი ერთად-ერთი მიზანია ბრძოლა, სანამ არ დამარცხდებიან სამხრეთელები. (ადს).

საბაჟო გადასახადები

პეკინი, 14 თებერვალი. პეკინელმა მინისტრებმა გამოსთქვეს აზრი, იმის შესახებ, რომ დამატებითი გადასახადების აკრეფა ხდებოდეს საბაჟოების საზღვაო სამმართველოს აპარატით. პეკინის მთავრობამ მიანდო ფინანსთა სამინისტროს დაამუშაოს შესაფერი წესები დამატებითი გადასახადების ასაკრებათ. (ადს).

ახალი სამხედრო ბანკნოტები

პეკინი, 13 თებერვალი. მუკდენის არმიის მთავარმა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, ახალ სამხედრო ბანკნოტების გამოშვების შესახებ 3.200.000 ჩინური დოლარის რაოდენობით. (ადს).

ჩან-ძო-ლინის დეპეშა უ-პეი-ფუს

პეკინი, 13 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩან-ძო-ლინმა მიმართა უ-პეი-ფუს შემდეგი შინაარსის დეპეშით:

„უკვე ექვს თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ შეგვპირდით იერიშის მიტანას ხანკოუზე, მაგრამ ამ მხრივ არავითარი ნაბიჯი არ გადაგიდგამთ. ამის გამო, მუკდენელები იძულებული არიან დამოუკიდებლივ და დაუყოვნებლივ გაილაშქრონ სამხრეთელების წინააღმდეგ".

დასასრულ ჩან-ძო-ილინი გამოსთქვამს იმედს, რომ ჩჟან-ცზუნ-ლიანის ჩასვლის შემდეგ ჩენ-ჩჟოუში (უ-პეი-ფუს სადგომი ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში), უ-პეი-ფუ გაემგზავრება პეკინში ჩან-ძო-ლინთან სათათბიროდ. (ადს).

დამატებითი ბაჟის გადახდევინება

პეკინი, 13 თებერვალი. პეკინის მთავრობის სხდომაზე იუსტიციის და ფინანსთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ, თუმცა დამატებითი ბაჟების გადახდევინება ჯერ კიდევ 1-ლ თებერვლიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ამ მხრივ ჯერ არაფერია გაკეთებული. (ადს).

მუკდენი შანხაის ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ

პეკინი, 14 თებერვალი. გოვების სააგენტოს ცნობით, მუკდენის ჯგუფი აყენებს შემდეგ მოსაზრებებს შეერთებული შტატების წინადადების წინააღმდეგ შანხაის ნეიტრალიზაციის შესახებ.

„არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ნეიტრალიზაცია, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფლებასაც შეუძლია უზრუნველჰყოს უცხოელთა უშიშროება შანხაიში; თუ შანხაი გამოცხადდება ნეიტრალურ ქალაქად, მაშინ მისი დაცვა უნდა გადაეცეს უცხოელთა ჯარებს, რაც დიდ გართულებებს გამოიწვევს იმ შემთხვევაში, თუ შანხაის სამხრეთელები აიღებენ; ნეიტრალიზაცია და, მაშასადამე, უცხოელთა ჯარების ყოფნა შანხაიში, „მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდისტებისათვის იქნება ხელსაყრელი". (ადს).

ლიან-შინის სურვილი

პეკინი, 14 თებერვალი. იუწყებიან, რომ ნაციონალური არმიის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარემ ლიან-შინმა „გავლენიან წრეებში" გამოსთქვა სურვილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის შეთანხმებისა დიპლომატიურ საკითხების გარშემო, რათა „სხვა ქვეყნებს აჩვენონ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთიანობა". (ადს).

პაციფისტური ჟესტი

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. ამერიკის პრესა თანაგრძნობით ხვდება კულიჯის წინადადებას საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ.

ზოგიერთი გაზეთი კულიჯის მემორანდუმს უცქერის როგორც პაციფისტურ ჟესტს, რომლის მიზანია ყურადღების აცილება სამხედრო ოპერაციებისაგან ნიკარაგუაში და ჩინეთში. (ადს).

ინგლისის ჯარები შანხაიში

ლონდონი, 14 თებერვ. ოფიციალურ ცნობების თანახმად, 12 თებერვალს შანხაიში ჩავიდა ინდოეთიდან გაგზავნილი მაუბუჭი ფეხოსანი ჯარის ორი პოლკი და გლოსტერის პოლკი. შესაძლებელია, რომ ეს ჯარები ნაპირზე გადმოსხდებიან. რაც შეეხება დანარჩენ ჯარებს, რომლებიც აგზავნება ჩინეთში ლონდონიდან და ხმელთაშუა ზღვიდან, ოფიციალური ცნობების მიხედვით, ისინი თავმოყრილი იქნებიან ჰონკონგში და არ გაიგზავნებიან შანხაიში „იმ დრომდე, სანამ ამას არ მოითხოვს უფრო დიდი საფრთხე" (ადს).

ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

პროფკავშირთა საბჭო ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 13 თებერვალი. შესდგა ლონდონის პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწვეული კონფერენცია ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ დაარსებული იქნეს ადგილობრივი კომიტეტები— „ხელები შორს ჩინეთისაგან". კონფერენციამ მიიღო მოქმედების შემდეგი პროგრამა:

ჩინეთისათვის იარაღის დამზადების და სამხედრო მასალების გადაგზავნის აკრძალვა; კანტონის მთავრობის ცნობა ჩინეთის ნაციონალურ მთავრობად; ექსტერიტორიალობის გაუქმება ჩინეთში; მოლაპარაკების დაწყება ნაციონალურ მთავრობასთან ახალი ხელშეკრულებების დასადებად; ყველა ჯარების და სამხედრო გემების დაუყოვნებლივ გაყვანა ჩინეთიდან; ტრედიუნიონთა გენერალურ საბჭოს მიერ განსაკუთრებული დელეგაციის გაგზავნა ჩინეთში.

რეზოლიუცია მოითხოვს დაარსებულ იქნეს სრულიად ინგლისის კომიტეტი— „ხელები შორს ჩინეთისაგან" და ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირთან ომის საფრთხეს.

დასასრულ რეზოლიუცია დაჟინებით მოითხოვს, რათა ინგლისის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებმა სათანადო პროპაგანდა აწარმოონ ჯარებს შორის.

კონფერენცია ოვაციებით შეხვდა გომინდანელ ფუნ-სოუს(რომელიც მუშათა პარტიის ხოლბორნის (ლონდონის ერთ-ერთ რაიონის) ორგანიზაციამ თავის კანდიდატათ წამოაყენა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

კონფერენცია დაიხურა „ინტერნაციონალის" სიმღერით. (ადს).

„სასაცილო ფანტაზია"

ტოკიო, 13 თებერვალი. წერილი, რომელიც ეხება ინგლისის პოლიტიკას, ლიბერალური იაპონური გაზეთი „ოსაკა ასახი" აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის მიერ წამოყენებული ბრალდებები საბჭოთა კავშირის მისამართით კრიტიკას ვერ უძლებენ. გაზეთის სიტყვით, „ინგლისელ კონსერვატორების რუსოფობია სასაცილო ფანტაზიას წარმოადგენს".

გაზეთი ურჩევს ინგლისს თავი შეიკავოს ნაციონალური მოძრაობის ჩაქრობის ცდებისაგან.

„თუ ინგლისი—სწერს გაზეთი— კვლავ განაგრძობს იმ ხაზის გატარებას, რომელიც ეწინააღმდეგება ნორჩი ჩინეთის თანამედროვე იდეებს, ის ვერ მიაღწევს ნაყოფიერ შედეგს იმ შემთხვევაშიაც, თუ გინდ დიპლომატიურ ურთიერთობაც შესწყვიტოს საბჭოთა კავშირთან". (ადს).

არა ინგლისი, არამედ იაპონია

პეკინი, 13 თებერვალი. ტიან-ცზინის გაზეთის „იშიბაო"-ს ცნობით, პეკინის მთავრობას განზრახული აქვს გააფრთხილოს ედვარდსი (საზღვაო საბაჟოების გენერალურ ინსპექტორის ყოფილი თანაშემწე, რომელიც ეგლენის დათხოვნასთან დაკავშირებით, პეკინის მთავრობამ დანიშნა გენერალურ ინსპექტორის თანამდებობაზე), რომ თუ ის სამი დღის განმავლობაში არ დაიკავებს მიჩენილ თანამდებობას, მის მაგიერ დანიშნული იქნება იაპონიის ქვეშევრდომი, „ვინაიდან ამჟამად არა ინგლისს, არამედ იაპონიას აქვს უდიდესი წილი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში".

იაპონური გაზეთი პეკინში „შან-ტიან-შიბაო" აცხადებს, რომ პეკინის დიპლომატიური და პოლიტიკური წრეები ეგლენის დათხოვნას ველინგტონ კუს მიერ სთვლიან შეცდომათ, რამაც შესაძლოა მთავრობის გადადგომა გამოიწვიოს.

სააგენტო ჩუნ-ბეი იტყობინება, რომ ექვსი სახელმწიფოს ელჩები კვლავ იხილავდენ ეგლენის დათხოვნის საკითხს. (ადს).

შანხაის მუშები რევოლიუციონური მთავრობის მხარეზე

პეკინი, 14 თებერვალი. შანხაის პროფკავშირების საბჭომ გაუგზავნა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს და, აგრეთვე, კუკს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„შანხაიში დემონსტრანტების დახვრეტის დროს, 1925 წლის 30 იანვარს, ინგლისის ჯარებმა დახოცეს და დასჭრეს ასობით მუშები. ამავე დროს ჩინელებს არ მოუკლავთ არც ერთი ინგლისელი და საერთოდ არც ერთი უცხოელი. ინგლისის თანამდებობითი პირები ჩინეთში აწვდიან საზღვარგარეთ ყალბ ცნობებს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც თითქოს ემუქრებოდეს ჩინეთში ინგლისელთა სიცოცხლეს. ამას ისინი იმიტომ სჩადიან, რომ წინასწარ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი ინტერვენციისათვის ჩინეთის დემოკრატიული რევოლიუციის წინააღმდეგ და ჩინეთის რეაქციონერთა დახმარებისათვის. ჩინეთის პროლეტარიატი მხარს უჭერს ნაციონალური მთავრობის სამართლიან მოთხოვნილებას და იბრძოლებს ინტერვენციის წინააღმდეგ. მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ. ინგლისი ვერ შეაჩერებს ჯარებით ჩინეთის რევოლიუციის განვითარებას (ადს).

ს.-დ. დეპუტატი

სპეკულიანტი

ვენა, 13 თებერვალი. ტიროლის ლანდტაგში მოხდა ავსტრიის საკავშირო საბჭოს ახალი წევრის არჩევა ლანდტაგის სოციალ-დემოკრატ დეპუტატის გრიუნერის მაგიერ. გრიუნერი კოშკების მეპატრონეა და ცნობილია როგორც მსხვილი სპეკულიანტი. პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მას ხელი უნდა აელო მანდატზე. ლანდტაგის ბურჟუაზიულმა უმრავლესობამ კვლავ წამოაყენა თავის კანდიდატად გრიუნერი, რომელიც არჩეულ იქნა ხმების უმრავლესობით. (ადს).

ლეიტენანტი ოლინი

გასამართლებული იქნება სამხედრო სასამართლოს მიერ

რიგა, 14 თებერვალი. ლატვიის სამხედრო მინისტრის განკარგულებით, ლეიტენანტი ოლინი, რომელსაც ვოლმარში ფაშისტური გადატრიალების მოხდენა უნდოდა მისცეს სამხედრო სასამართლოში. (ადს).

სპარსეთში

მეჯლისის ახალი თავმჯდომარე

თეირანი, 14 თებერვალი. მოტომენოლ-მოლკი დასთანხმდა დაიკავოს მეჯლისის თავმჯდომარის თანამდებობა. (ადს).

სასამართლოების რეორგანიზაცია

თეირანი, 14 თებერვალი. სპარსეთის იუსტიციის მინისტრმა დავერმა გამოაქვეყნა ბრძანება თეირანის ყველა სასამართლო დაწესებულებების დაშლის შესახებ ამ დაწესებულებების პირადი შემადგენლობის გაწმენდის მიზნით. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლიუციები

1926—27 წ. კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესახებ მრეწველობაში

მოსკოვი, 12 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმმა მოისმინა რა ამხ. **კუიბიშევის** მოხსენება 1926—27 წლის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესახებ მრეწველობაში, დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნას კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით—1.100.000.000 მან. რაოდენობით ელექტრო მშენებლობასთან ერთად.

2. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ სამუშაოთა მნიშვნელოვან რაოდენობას ლითონის მრეწველობაში (მთელი მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მთელი რაოდენობის $1/4$-ზე მეტი), აუცილებლად იქნას ცნობილი ამ კაპიტალურ სამუშაოთა გადიდება, ლითონის მრეწველობისა და მანქანათა შენების განვითარების უფრო სწრაფი ტემპის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამოიყენოს შესაძლებელი დამატებითი რესურსები (დამატებითი საზღვარგარეთის კრედიტები, გრძელვადიანი შინაური სესხის დამატებითი შესაძლებლობანი და თვით ლითონის მრეწველობის შინაგანი რესურსების უკეთესად გამოყენების შესაძლებლობანი და სხვ). კაპიტალურ სამუშაოთა დასახულ რაოდენობაზე შესაძლებელ გადამეტების ფარგლებს ლითონის მრეწველობაში განსაზღვრავს შრომისა და თავდაცვის საბჭო.

3. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს თვალყური ადევნოს, რომ 1926—27 წ. კაპიტალურ სამუშაოთა შესრულების დროს თავიდან იქნას აცილებული ის ნაკლოვანებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა წარსულ წელში; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმშენებლობის გაიაფებას, მის ეფექტიურობას, პროექტების ტეხნიკურ დამუშავებას, საგეგმო დისციპლინის დაცვას და აგრეთვე გეგმით დასახულ თანხების თავის დროზე გაცემას.

4. დაევალოს პოლიტბიუროს შეიმუშაოს ღონისძიებანი მრეწველობის სამუშაო ძალის გამოყენებისათვის, წარმოებათა ახლად მოწყობასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებით, გამოიმუშაოს აგრეთვე სწორი დირექტივები შრომის მოწესრიგებისათვის რაციონალიზაცია ქმნილ, გადახალისებულ და ახალ წარმოებებში.

5. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, შეიმუშაოს სამრეწველო საფინანსო გეგმების და კაპიტალურ სამუშაოთა გეგმების ინსტანციებში გატარების მნიშვნელოვნად გამარტივებული წესრიგი, რომ მაქსიმალურად იქნას შემცირებული იმ ინსტანციების რაოდენობა, რომელნიც გეგმას იხილავენ, მაქსიმალურად გამარტივდეს გეგმების შედგენის ფორმები და მათი დამტკიცების წესი. წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რომ გეგმათა გატარების ახალი წესრიგი გამოყენებულ იქნას მომავალი წლის სამრეწველო გეგმების მიმართ, იმ ანგარიშით, რომ მთელი კავშირის საერთო სამრეწველო გეგმა ახალ სამეურნეო წლის დაწყებამდე წარედგინოს განსახილველად ცეკას პლენუმს.

6. დაევალოს პოლიტბიუროს დააჩქაროს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი საორიენტაციო გეგმის შემუშავება, კერძოდ მრეწველობისა და ტრანსპორტის გეგმის შემუშავება იმ ანგარიშით, რომ მომავალი სამეურნეო წლის ყველა სამეურნეო გეგმები შედგენილ იქნან ურთიერთთან დაკავშირების საფუძველზე და მეურნეობის როგორც ცალკე დარგების, ისე რაიონების განვითარების პერსპექტივების მიხედვით.

7. იმ მიზნით, რომ შინაურმა მანქანათ შენებამ მონაწილეობა მიიღოს ახალი ქარხნების მოწყობაში, რეკონსტრუქციაში და ძველის გაფართოებაში, და აგრეთვე იმ მიზნით, რომ შემცირდეს კაპიტალური აღმშენებლობის დამოკიდებულება იმპორტისაგან, რომ გაიაფდეს საკუთარი მანქანათ შენება, დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს შეიმუშაოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მანქანათ შენების წარმოებაში დატვირთულ იქნან სათანადო მოწყობილობის გეგმიანი გრძელვადიანი შეკვეთებით სათანადო მოწყობილობაზე.

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის შესახებ

მოსკოვი, 12 თებერვალი. მოისმინა რა ამხ. **კალინინის** ცნობა დაწყებული საარჩევნო კამპანიისა და მომავალი საბჭოთა ყრილობების შესახებ, ცეკას პლენუმი, პარტიის წინანდელი დირექტივების დამატებით, საჭიროდ სცნობს ხაზი გაუსვას შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებს:

1. ეხლანდელი საარჩევნო კამპანია,— საბჭოების არჩევნების მეორე ფართო გაშლილი კამპანიაა. საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი უფრო მეტის თანმიმდევრობით უნდა იქნას გატარებული ამ კამპანიაში, ვიდრე წინედ, დაუშვებელია მბრძანებლობა, საბჭოების კანდიდატების თავზე მოხვევა, აუცილებელია ნამდვილი არჩევნები, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშათა და გლეხთა მასების ფართო მონაწილეობას საბჭოებში, აამაღლებს საბჭოების, როგორც პროლეტარული დიქტატურის ნამდვილი ორგანოების მნიშვნელობას. საბჭოების არჩევნების კამპანიის პოლიტიკური შინაარსი უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის შინაური და საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი საკითხები, და, აგრეთვე, ადგილობრივი საკითხები, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ამომრჩეველთა სასიცოცხლო ინტერესებთან.

2. საბჭოების არჩევნები—ეს არის საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის მთელი მუშაობის ძირითადი საერთო შემოწმება უპარტიო მუშებისა და გლეხების მილიონი მასების მხრივ. უპარტიო მუშათა ნდობისა და აქტიური მხარის დაჭერის ზრდის საფუძველზე პარტიამ უნდა განამტკიცოს თავისი ხელმძღვანელობითი როლი საბჭოებში. თავისი ხელმძღვანელობითი როლის განმტკიცების ამოცანა პარტიამ უნდა განახორციელოს უპარტიო მუშათა და გლეხთა ახალი მასების მიზიდვით არჩევნებში და თვით საბჭოების მუშაობაში.

3. პროლეტარიატმა საბჭოების არჩევნების დროს უნდა გამოიჩინოს მაქსიმუმი აქტივობა, დარაზმულობა და შეგნება. ეს აუცილებელია მით უფრო, რომ წარსული წლის საარჩევნო კამპანიის გამოცდილებამ გვიჩვენა წვრილ-ბურჟუაზიული ფენების აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. აუცილებელია, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა უფრო ჩამორჩენილი ფენები (მუშა-ქალები, ახალი მუშები, არაკვალიფიციური და უბრალო მუშები) მაქსიმალურად იქნან მიზიდული საბჭოების არჩევნებში და რომ მათმა საჭიროებებმა და მოთხოვნილებებმა უფრო მეტი გამოხატულება ჰპოვონ ახალი საბჭოების მუშაობაში. პროფკავშირების მუშაობის გაძლიერება ამ მიმართულებით—ეხლანდელი საარჩევნო კამპანიის უმთავრესი ამოცანაა.

4. საბჭოების არჩევნებმა სოფლად უნდა განამტკიცოს მუშებისა და სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირი ფართო საშუალო მასებთან და ამით მოახდინოს კულაკების პოლიტიკური იზოლიაცია სოფლად. ამასთან ერთად, აუცილებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო ინსტრუქციის სისწორით გატარებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კულაკების წინააღმდეგ არის მიმართული. საარჩევნო ინსტრუქციის სისწორით გატარებამ სოფლად საბჭოებს არ უნდა ჩამოაშოროს სოფლის საშუალო შეძლების ფენები. საარჩევნო უფლების წართმევა საშუალო შეძლების ფენებისათვის ნიშნავს იმას, რომ ობიექტიურად პირდაპირი დახმარება გაუწიო კულაკს. ყოველგვარი ცდა ინსტრუქციის ასეთი გაფართოებული განმარტებისა, რომლის დროსაც საშუალო შეძლების გლეხი ხვდება საარჩევნო უფლება მოკლებულთა კატეგორიაში, უნდა განხილული იქნეს, როგორც მეტად უხეში პოლიტიკური შეცდომა. ინსტრუქციის ასეთი გაფართოებული, საშუალო შეძლების გლეხობის საზიანო განმარტების წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები. საშუალო შეძლების მასების საბჭოების არჩევნებში ფართოდ მიზიდვასთან ერთად, საარჩევნო კამპანია სოფლად გამოყენებული უნდა იქნას სოფლის ღარიბი გლეხობის შეკავშირების მიზნით. აუცილებელია ერთხელ კიდევ მიექცეს ყურადღება მოჯამაგირეთა გავლენის გაძლიერებას. ამ საქმეში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, არჩევნებმა დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის მუშაობის შემდგომ გაფართოებას ამ მიმართულებით.

5. ახალი საბჭოები კიდევ უფრო მძლავრ ბერკეტად უნდა გახდეს სოციალისტური აღმშენებლობისათვის. მუშათა კლასის უფრო მოწინავე და აქტიურ ნაწილის და აგრეთვე სოფლის მშრომელი გლეხობის უფრო მოწინავე ნაწილის საბჭოებში დარაზმვის ძირითად ამოცანასთან ერთად, ახალ საბჭოების მუშაობაში და თვით მათ შემადგენლობაში დიდი გამოხატულება უნდა ჰპოვონ მუშათა მასის ყველა ძირითად ფენების მოთხოვნილებებმა და სოფლად კი გლეხობის მშრომელი მასების, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთა მოთხოვნილებებმა.

პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების უფრო ჩამორჩენილი ფენები უფრო მეტად უნდა დაუახლოვდენ საბჭოების მუშაობას. უპარტიო, მუშაქალთა და მუშათა მონაწილეობა საბჭოებში და აგრეთვე გლეხ-ქალებისა და გლეხების მონაწილეობა საბჭოებში სოფლად, არამც თუ არ უნდა შესუსტეს, არამედ უნდა გაიზარდოს. უპარტიო მუშათა და გლეხთა მასების, ახალი, ნამდვილად მოწინავე და აქტიური მუშაკების წამოყენებას საბჭოებში, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე წინედ. საბჭოების მუშაობა უნდა დაუკავშირდეს მუშათა და გლეხთა მასების ყველა ორგანიზაციების მუშაობას: პროფკავშირების, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვ. ორგანიზაციების მუშაობას. საბჭოები სულ უფრო და უფრო უნდა გახდენ მთელი მუშათა გლეხთა საზოგადოებრიობის საორგანიზაციო-პოლიტიკურ და სამეურნეო ცენტრად.

6. აუცილებელია მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ყურადღება საბჭოების ყრილობათა მომზადებისადმი (სამაზრო, საგუბერნიო, რესპუბლიკახური და საკავშირო ყრილობების), საბჭოების აღმასრულებელ ორგანოთა მიერ ყრილობების წინაშე ანგარიშების ჩაბარების სწორმა დაყენებამ და მშრომელთა მოთხოვნილებათათვის მაქსიმალური ყურადღების მიქცევამ ამ ყრილობებზე, დახმარება უნდა გაუწიოს წარსული მუშაობის ნაკლთა გამოსწორებაში და თვისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ახლად არჩეული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემდგომ მუშაობაში. მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების ხელმძღვანელი ორგანოების განახლების საქმეს; ამასთანავე აღმასკომის კომუნისტური ნაწილის განმტკიცებასთან ერთად, აქ უნდა იქნან ჩაბმული უპარტიო მუშათა და გლეხთა ახალი ძალები. ახალი ძალების დაწინაურება მშრომელთა უპარტიო მასებიდან უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოთა მუშაობაში ჩაბმულ იქნან მუშათა და გლეხთა, განსაკუთრებით ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ახალი ნამდვილად აქტიური, ნამდვილად მოწინავე ელემენტები. აუცილებელია, რომ აღმასკომების (მათ შორის სამაზრო და საგუბერნიო) წევრთა უპარტიო ნაწილი შეადგენდეს აღმასკომების წევრთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ $1/3$-ს.

7. მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებისა და საერთო საკავშირო საბჭოების ყრილობის განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მოითხოვს გაძლიერებულ ყურადღებას არჩევნების მომზადების საქმისადმი და მათი მუშაობის მოწესრიგებისადმი. ამ ყრილობებზე განსახილველად უნდა დაისვას საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის ძირითადი საკითხები ეხლანდელ პერიოდში; ამასთანავე ყრილობების თვით მუშაობის ორგანიზაციამ, კერძოდ ფართე კომისიების და სექციების შექმნამ უპარტიოების მონაწილეობით, ხელი უნდა შეუწყოს ყრილობაზე დასმული საკითხების ფართოდ განხილვას. პარტიის უბრალო წევრთა და უპარტიო მუშათა და გლეხთა წარმომადგენლობა ამ ყრილობებზე აუცილებლად უნდა იქნას გაფართოებული წარსულთან შედარებით. პლენუმი ითვალისწინებს რა რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და სოც. საბჭ. რესპ. კავშირის საბჭოების ყრილობათა ორგანიზაციის თავისებურებას, საჭიროდ სთვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, როგორც პირველის, ისე მეორის სწორ მომზადებას.

პილსუდსკის სამფლობელოში

ბარტელის „ავადმყოფობა"

ვარშავა, 14 თებერვალი. კონფლიქტი მთავრობასა და სეიმს შორის საერთაშორისო გართულებათა შიშით მოწესრიგებულია.

მთავრობის მომავალ გადახალისებასთან დაკავშირებით მემარჯვენე ჯგუფები მზად არიან დაკმაყოფილდენ მხოლოდ ბარტელის გამოსვლით მთავრობიდან. მაგრამ არ იციან დასთანხმდება თუ არა ამაზე პილსუდსკი.

დამახასიათებელია, რომ გაზეთები აქვეყნებენ ცნობას ბარტელის ავადმყოფობის შესახებ. (ადს).

„თვითმკვლელობა"

ვარშავა, 14 თებერვალი. სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ღამით 2 თებერვალს ბელოსტოკის ციხეში თავის კამერაში ჩამოხრჩობილი იპოვეს მუშა ბახმანი, ეჭვით დაპატიმრებული კომპარტიის წევრობისათვის.

„ციხეში გავრცელებულია ხმები, — ნათქვამია, შეკითხვაში, — რომ ბახმანი გარდაიცვალა იმის შემდეგ, რაც მას საშინლად სცემეს გამოძიების დროს. **უკვე მკვდარი ბახმანი ბაწრით ჩამოჰკიდეს კა**მერაში, რომ სიკვდილისათვის თვითმკვლელობის ხასიათი მიეცათ. ბახმანის [illegible] და თვითმკვლელობის წინ მასთან ერთ კამერაში მყოფი პატიმრები გადაიყვანეს სხვა კამერაში.

კომუნისტური ფრაქცია მოითხოვს გამოძიებას ბახმანის საქმეზე. (ადს).

ბელორუსთა გრომადის დარბევის შემდეგ

ვარშავა, 14 თებერვალი. პოლიტიკური ამნისტიისათვის მებრძოლი სამდივნო იუწყება, რომ ბელორუს დეპუტატების დაპატიმრებისა და გრომადის წევრების მასიური დაპატიმრების შემდეგ **ანტიპოლონური მოძრაობა და აგრეთვე მოძრაობა პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ დასავლეთ ბელორუსიაში დღითიდღე იზრდება.**

პოლონეთის რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციაც კი აღიარებს, რომ თუ პოლონეთში გაგრძელდა მმართველობის ეხლანდელი სისტემა, ბელორუსებით დასახლებული მხარე, სამუდამოდ იქნება დაკარგული.

ბელორუსთა გრომადა არა თუ არ არის განადგურებული, არამედ მისი ავტორიტეტი არა ჩვეულებრივად გაიზარდა და ბელორუსი გლეხები დიდ სახელათ თვლიან გრომადის წევრობას. (ადს).

ბელგიის კომპარტიის

მოწოდება

პარიზი, 13 თებერვალი. ბელგიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ჰკიცხავს სოციალისტებს,რომელნიც მხარს უჭერენ ბურჟუაზიას დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის შემცირების ცდაში და ამავე დროს არ ეწინააღმდეგებიან მსხვილ კაპიტალისტების დაბეგვრის შემცირებას.

ბელგიის კომპარტია იყენებს მთელ რიგ ლოზუნგებს: მუშების სამუშაო ხელფასის გადიდება, საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობა უმუშევართათვის, მაღაროების ნაციონალიზაცია, პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია, საბჭოთა კავშირის და კანტონის მთავრობის ცნობა, თანასწორუფლებიან ხელშეკრულების დადება ჩინეთთან. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის

კომპარტიის მოწოდება

პრაღა, 14 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი პროექტი სპობს ადგილობრივ ავტონომიის უკანასკნელ ნაშთებს, აკანონებს ბიუროკრატიის თვითნებობას და საარჩევნო უფლებებს ართმევს მშრომელთა ფართო მასსას. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ცაკის სესია

კრემლის დიდი სასახლის ანდრეევის დარბაზში გაიხსნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მესამე სესია. დარბაზის უცხოელთა წარმომადგენლების ლოჟებში მოთავსდენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. სესიის გახსნას დაესწრენ აგრეთვე უცხოეთის და საბჭოთ. პრესის წარმომადგენლები.

სესიას თავმჯდომარეობს საკავშირო ცაკის თავმჯდომარე და აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი, რომელმაც სესიის წევრებს მიმართა სიტყვით.

ამხ. მუსაბეკოვის სიტყვა

„ვიდრე გავხსნიდე საკავშირო ცაკის მესამე სესიას,—ამბობს ამხ. მუსაბეკოვი, ნება მომეცით აღვნიშნო, რომ საკავშირო ცაკის მეორე და მესამე სესიების პერიოდში ჩვენ დავკარგეთ საკავშირო ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრებიდან მთელი რიგი ამხანაგებისა. ჩვენ დავკარგეთ ამხ. ძერჟინსკი—ერთ-ერთი საუკეთესო რევოლუციონერთაგანი და ლენინის თანამებრძოლი და მოწაფე. ამხ. ძერჟინსკიმ თავის ბეჯითი ზიდა სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის დროს კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების განმავლობაში ძერჟინსკის მინდობილი ჰქონდა მეტად საპასუხისმგებლო სამუშაო ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგიდან. აქ მან გამოიჩინა მთელი თავისი უნარი ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად. ძერჟინსკი დაიღუპა რევოლუციონურ საგუშაგოზე და ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა.

ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე ამხ. კრასინი. კრასინის სახით დაგვეკარგა დიდი ენერგიული და დაუღალავი რევოლუციონერი, საუკეთესო სახელმწიფოებრივი მოღვაწე და დახელოვნებული დიპლომატი.

დავკარგეთ კიდევ ერთი ამხანაგი საკავშირო ცაკის წევრობის კანდიდატი, ამხ. ნაუმოვი".

ამხ. მუსაბეკოვი წინადადებას აძლევს სხდომას ფეხზე ადგომით პატივი სცენ გარდაცვლილი ამხანაგების ხსოვნას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება.

— „ჯერ კიდევ საკავშირო ცაკის მეორე სესიაზე—განაგრძობს ამხ. მუსაბეკოვი,—აღინიშნა ის დიდი მიღწევანი, რომელიც ჩვენ გვქონდა სამეურნეო ფრონტზე და რომელიც იმაში გამოიხატა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგებში მივუახლოვდით ომამდე არსებულ ნორმებს.

მეორე სესიამ დასახა სამეურნეო მშენებლობის მომავალი გზები და დააყენა პრობლემა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

მკაცრად გატარებული მომჭირნეობის რეჟიმის წყალობით, ჩვენ შევძელით გამოგვეყო მაქსიმუმი იმ თანხებისა, რომლითაც შესაძლებელი გახდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ დაყენებული პრობლემის გადაწყვეტა. ამან თავისი გამოხატულება იპოვა 1926-27 წ. სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დასამტკიცებლათ წარედგინება ამჟამად მიმდინარე საკ. ცაკის სესიას.

ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებები გვიძევს წინ, სანამ გადავწყვეტდეთ ამოცანას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, მაგრამ ჩვენი კავშირის მშრომელთა მასების შემოქმედებითი ენერგია, ენტუზიაზმი და გმირობა, საწინდარია მის, რომ ამ ამოცანას სასურველად გადავჭრით. ეჭვგარეშეა სესია უთუოდ გამოიმუშავებს შემდეგ მითითებებს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის ამ ძირითად ამოცანების ირგვლივ.

ამ სესიაზე დიდი მნიშვნელობის საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული ბელორუსიის მთავრობის მოხსენება. საბჭოთა სახელმწიფოს სწორი. ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა შესაძლებლობა წვრილ და ჩამორჩენილ ეროვნებათა განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება მაგალითია არა მარტო ეროვნული საკითხის გადაჭრის საქმეში, არამედ მცირე ერების კულტურულ და სამეურნეო ზრდისათვის ხელისშეწყობის საკითხშიაც. არ არსებობს ქვეყნად სხვა სახელმწიფო, რომელსაც შეეძლოს ამ პრობლემათა გადაჭრა და შესრულება ისე, როგორც ეს ჩვენ ჩავატარეთ.

უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ ჩვენ კვლავ ვაწარმოებთ მშვიდობიანობის და ნორმალურ ურთიერთობათა პოლიტიკას, ხოლო ამავე დროს განვაგრძობთ შეუსვენებლივ ბრძოლას ჩვენ კულტურულ და სამეურნეო ფრონტებზე. ამ საქმიანობასთან ერთად ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის რაციონალიზაციის საკითხს.

მხოლოდ მშრომელი მასების დახმარებით, მხოლოთ მუშებისა და გლეხების განმტკიცებული კავშირით, შევძლებთ ჩვენ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლის—ლენინის ანდერძის შესრულებას და მივაღწევთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური აღმშენებლობის სრულ გამარჯვებამდე (მქუხარე ტაში).

ცვლილებები სესიის დღის წესრიგში

ამხ. ენუქიძეს პრეზიდიუმის სახელით შეაქვს წინადადება სესიის გამოქვეყნებული დღის წესრიგის შეცვლის შესახებ შემდეგნაირად: ცაკის საბიუჯეტო კომისიის შუამდგომლობით მეხუთე საკითხად შეტანილ იქნას საკითხი 1926—27 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; შემდეგ პრეზიდიუმის შუამდგომლობით მოხსნილ იქნას კავშირის და საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების კანონპროექტის განხილვა.

„აძლევენ რა ამ კანონს უდიდეს მნიშვნელობას, — ამბობს ამხ. ენუქიძე, — მთელ რიგ რესპუბლიკებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ გადაიდოს მისი განხილვა და დამტკიცება იმ მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს 1926—27 წ. ბიუჯეტის გატარების გამოცდილებათა გათვალისწინება ამ კანონპროექტის გატარების დროს.

ცაკის პრეზიდიუმი ამასთან ერთად წინადადებას იძლევა, რათა მას დაევალოს ამ კანონპროექტის წარდგენა ცაკის შემდეგ სესიაზე, რომელიც გაიმართება საბჭოების სრულიად საკავშირო მეოთხე ყრილობის შემდეგ, მხოლოდ ისე, რომ ეს კანონი მიღებულ იქნას ახალ 1927—28 საბიუჯეტო წლისათვის".

სესიამ მიიღო პრეზიდიუმის წინადადება დღის წესრიგის შეცვლის შესახებ.

შემდეგ ამხ ენუქიძეს შემოაქვს პრეზიდიუმის წინადადება ცაკის წევრთა ცალკე თათბირზე ორი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის შესახებ. პირველი საკითხი შეხება საბჭოთა კავშირში მიწადმოწყობის და მიწადსარგებლობის ძირითად საფუძვლებს.

პრეზიდიუმს მეტად სასარგებლოდ მიაჩნია, რომ ამ საკითხზე გამომუშავებული კანონმდებლობითი წინადადებების გარშემო მოხდეს წინასწარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ცაკის წევრებს შორის, რათა ამ წინასწარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე გამომუშავებულ იქნას კანონპროექტი და წარედგინოს ის ცაკის შემდეგ უახლოეს სესიას.

პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, რომ ამ საკითხის განსახილველად კერძო თათბირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხ. კალინინი.

მეორე მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ასევე წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლას მოითხოვს,—წარმოადგენს პროექტი ქალაქის საბჭოების შესახებ. ამ საკითხზე თათბირის თავმჯდომარედ პრეზიდიუმი ასახელებს პეტროვსკის.

ამხ. კალინინის წინადადებით, სესიამ დაადგინა, რომ საკითხი იმ კანონპროექტების განმხილველ თათბირების შესახებ, რომლებიც ამხ. ენუქიძემ აღნიშნა, გადაწყვეტილ იქნას თვით სესიის მუშაობის პროცესში.

შემდეგ მოხსენებით ბელორუსიის მთავრობის მუშაობის შესახებ გამოვიდა ბელორუსიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ადამოვიჩი.

„დნეპროსტროი"

მუშაობა დაიწყება ორკვირაში

ხარკოვი, 14 თებერვალი. 12 თებერვალს ხარკოვით კიევში გაემგზავრა დნეპროსტროის გამგეობა ამხ. კვირინგისა და მთავარი ინჟინერ ვინტერის მეთაურობით დნეპროსტროის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ სამშენებლო მუშაობა დაიწყება უახლოეს 10—14 დღეში.

მწერალი ს. იუშკევიჩი

გარდაიცვალა

პარიზი. 14 თებერვალი. პარიზში გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ს. იუშკევიჩი. (ადს).

როდის გაზაფხულდება

ლენინგრადი, 14 თებერვ. გეო-ფიზიკური ობსერვატორიის ცნობით გაზაფხულის დადგომას უნდა მოველოდეთ 15-30 მარტამდე. ამ ვადამდე ამინდი ძლიერ ცვალებადი იქნება და თბილ ამინდებს პერიოდულათ შეცვლიან მაგარი, მოკლევადიანი ყინვები (ადს).

ანტი-იმპერიალისტური კონგრესი ბრიუსელში

ბერლინი, 14 თებერვალი. 12 თებერვალს ანტი-იმპერიალისტურ კონგრესზე ბრიუსელში გრძელდებოდა კამათი ლედებურის მოხსენების გარშემო. სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წარმომადგენელმა ჩეხრუმ განაცხადა, რომ ინგლისელების პოლიტიკა ინდოეთში წმინდა წყლის იმპერიალისტურ პოლიტიკაა.

კატაიამამ (იაპონია) აღნიშნა, რომ 23 წლის წინად ამსტერდამის კონფერენციაზე აღმოსავლეთი წარმოდგენილი იყო ორი დელეგატით, მაშინ, როდესაც დღეს კონგრესს ასობით ესწრება აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელი.

„იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში დაჩაგრულ ერთა უძლიერეს იარაღს,—სთქვა კატაიამამ,—წარმოადგენს ბოიკოტი. ბოიკოტი უნდა მოეწყოს კორეაში, ფილიპინის კუნძულებზე, იავაზე და ჩინეთში".

შემდეგ გამოსულმა ალჟირის, ტუნისის და მაროკოს წარმომადგენლები ჰკიცხავდენ საფრანგეთის იმპერიალიზმის კოლონიალურ პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკაში, რამაც გამოიწვია რიფების აჯანყება და სისხლის მღვრელი ომი.

ტუნისის ნაციონალური პარტიის წარმომადგენელი ხედავს კონგრესის მონაწილეთ მოუწოდებდა ფართე კამპანიისაკენ საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში დაპატიმრებულთა და გადასახლებულთა ამნისტიისთვის.

მაროკოს დელეგატმა მქუხარე ტაშის ქვეშ განაცხადა, რომ იმპერიალიზმის აღმოფხვრის ერთად-ერთ მეთოდს წარმოადგენს რევოლიუცია, ოქტომბრის რევოლიუციის მსგავსად რუსეთში.

კონგრესმა მოისმინა პროფ. გოლდშმიდტის მოხსენება ჩაგრულ ერთა სოლიდარობის შესახებ.

კონგრესზე გამოსულმა ედო ფიმენმა სთქვა:

„ამ კონგრესზე წარმოდგენილია 17 პროფესიონალური ორგანიზაცია 8 მილ. წევრით, მაგრამ მნიშვნელოვან ევროპიულ ქვეყნების პროლეტარიატი ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი. დანარჩენთ შორის ჩვენ აქ ვხედავთ მექსიკის, ჩინეთის, სამხრეთ-აფრიკის და, აგრეთვე, განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის, ინგლისს სამთომადნო მუშათა და ინგლისის მეუმცირესეთა მოძრაობის წარმომადგენლებს.

ჩვენ ვიბრძვით ჩინეთის რესპუბლიკისთვის, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკას კი არ უნდა წაგავდეს, არამედ საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო მოწოდებების გამოქვეყნებით, როგორც ეს იყო რურის ოკუპაციის დროს. ვინემ რაიმე ნაბიჯს გადავდგამდეთ, საჭიროა პროპაგანდის საშუალებით მოვამზადოთ ნიადაგი".

კამათში მონაწილე ლედებურმა განაცხადა, რომ ჩინეთს დახმარება უნდა გაეწიოს მოწოდებით გაფიცვისაკენ.

ლედებურის შემდეგ გამოსულმა ელენ ვილკინსმა (მუშათა პარტიიდან, თემთა პალატის წევრი) განაცხადა:

„ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს ჯარების გამოყვანას ჩინეთიდან და ილაშქრებს ყოველგვარ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, რომ ინგლისის პროფკავშირები დავითანხმოთ მხარის დაჭერაზე მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის მოთხოვნილებებისათვის. ისეთი ატმოსფერა უნდა შევქმნათ, რომ ინგლისის მთავრობამ ვერ შესძლოს ომის წარმოება".

სამხრეთ-აფრიკის ზანგთა ეროვნული კონგრესის წარმომადგენელმა ლაგუმამ დაახასიათა სამხრეთ-აფრიკის შავ-კანიან ერთა მდგომარეობა:

„მხოლოდ კომუნისტები უწევენ სერიოზულ ანგარიშს შავ-კანიან ერთა ინტერესებს. ჩვენამდე ძალიან ცოტა ცნობები აღწევს საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ შევიგნეთ, რომ იქ ძალაუფლება დაჩაგრულთა მეგობრების ხელშია".

კამათში გამოვიდნენ კუნძულ მარტინიკას (საფრანგეთის კოლონია) და, აგრეთვე, საფრანგეთის შრომის უნიტარული ფედერაციის წარმომადგენლები (ადს).

ბერლინი, 14 თებერვალი. ანტი-იმპერიალისტური კონგრესის პლენუმმა ბრიუსელში მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ სირიის დელეგაცია მოკლებულია კონგრესში მონაწილეობის მიღების საშუალებას იმის გამო, რომ ბელგიის მთავრობამ არ მისცა მას ბელგიაში შესვლის ნებართვა. ამის გამო კონგრესმა აირჩია დელეგაცია, რომელმაც ინახულა ვანდერველდე და სასტიკი პროტესტი განუცხადა მას. 13 თებერვალს მოელიან ლონდონის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციის ჩამოსვლას. ეს დელეგაცია არჩეულია მრავალრიცხოვან კონფერენციის მიერ. პოლიტის ინიციატივით, ინგლისის, ინდოეთის და ჩინეთის დელეგაციებს შორის სწარმოებს გაცხოველებული აზრთა გაცვლა - გამოცვლა. (ადს).

ბერლინი, 14 თებერვალი. 13 თებერვალის საღამოს სხდომაზე ჩინეთის დელეგატი ლაუ გამოვიდა ინდოეთის და ჩინეთის დელეგაციის საერთო განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს აქტიური პროპაგანდის წარმოების აუცილებლობას იმ მიზნით, რათა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ორ მნიშვნელოვან ფრონტზე იქნას მიტანილი იერიში. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

კონგრესი ოვაციებით შეხვდა ლენსბერის გამოჩენას ტრიბუნაზე. „ძირს ინგლისის იმპერიალისტები ჩინეთში" წამოიძახა ლენსბერიმ.

ლენსბერი და ნაციონალური ჯარების გენერალი ოაუ ერთმანეთს გადაეხვიენ.

„დღეს,—სთქვა ლაუმ,—ერთი ათად განმტკიცდა ჩემი რწმენა ჩემს საქმეში. ეს კონგრესი მომავალში იქნება ჩემი მთავარ-სარდალი".

ტილლერმა (გერმანია) წამოიძახა—„გაუმარჯოს ბრიუსელის ნამდვილ ერთა ლიგას".

ანტი-იმპერიალისტურ კონგრესზე დასწრე, მექსიკის, ჩინეთის, სამხრეთ-აფრიკის, ინგლისის და საფრანგეთის 17 პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელთა ცალკე კონფერენციამ დაადგინა—გამოაქვეყნოს ცალკე დეკლარაცია და ამ დეკლარაციაში მოუწოდოს ბრძოლისაკენ კოლონიის პროლეტარიატისთვის კავშირების შექმნის უფლების მისაცემად, მოუწოდოს გაფიცვისაკენ ტრანსპორტზე და საყოველთაო გაფიცვისაკენ იმპერიალისტური ომისა ან ინტერვენციის შემთხვევაში, როგორც ჩინეთის, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კონფერენციამ დაადგინა, აგრეთვე, მოუწოდოს პროფკავშირთა ორივე ინტერნაციონალს შეთანხმებულ გამოსვლისა და გაერთიანებული კონფერენციისათვის მომზადებისაკენ. ჩინეთის დელეგაციამ შეიტანა სასტიკი საპროტესტო რეზოლიუცია მაკდონალდის ტიპის შემთანხმებელთა გამთიშველი და გამყიდველი მუშაობის წინააღმდეგ. (ადს).

ლენინის გამოუქვეყნებელი წერილები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

მუშ-გლეხინის ამოცანების გაგება და მათი შესრულება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანაა არა მარტო და არა იმდენათ „დაჭერა", „გამომჟღავნება" (ეს ამოცანა დაკისრებული აქვს სასამართლოს, რომელთანაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია მჭიდროთ არის დაკავშირებული, მაგრამ მათი ფუნქციები ერთი და იგივე როდია). რამდენათაც **გამოსწორება**.

მოხერხებულათ და დროულათ გამოსწორება—აი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთავარი ამოცანა.

იმისთვის რომ შეეძლოს გამოსწორება, საჭიროა, პირველი, საქმის წარმოების **შესწავლა** ამა თუ იმ დაწესებულებაში, წარმოებაში, განყოფილებაში და სხ.; მეორე, საჭიროა პრაქტიკულ ცვლილებების დროულათ **გატარება**, მათი განხორციელება ნამდვილათ.

სხვადასხვაგვარ წარმოებების, დაწესებულებების, უწყებების და სხვ. საქმის წარმოებაში ბევრი რამ არის საერთო. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანაა საქმიანი ინსპექციის გამოცდილების საფუძველზე მოამზადოს გამოცდილი, მცოდნე ხელმძღვანელი. პირები, რომელთაც შეეძლებათ საკითხების ჩამოყალიბება (საკითხების მოხერხებულათ და სწორად **დასმა** უკვე თავისთავად უზრუნველყოფს ინსპექციის რევიზიის წარმატებას და იძლევა გამოსწორების შესაძლებლობას),—რევიზიის მიმართვა,—შესრულების შემოწმება და სხვ.

ანგარიშ-წარმოების დაყენება, მაგალითად, უმნიშვნელოვანესი საკითხია ყველა უწყებათა და დაწესებულებებისათვის. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა შეისწავლოს ის; მას უნდა შეეძლოს უმოკლეს ვადაში შემოწმება (სათახადო კანცელიარიაში კაცის გაგზავნით ნახევარი საათით, ერთი საათით), დაყენებულია თუ არა სწორათ ანგარიშ-წარმოება, რა და რა ნაკლულოვანებებია, როგორ უნდა იქნეს გამოსწორებული ისინი და სხვ.

ანგარიშ-წარმოების, დაყენების, ნაკლულოვანებებისათვის დასჯის. „მოტყუებისათვის" დაჭერის და ნამდვილათ შესრულების შემოწმების წესები მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ჩამოყალიბებული და შესწავლილი უნდა იქნეს. მუშათა და გლეხთა ინსპექციას უნდა ჰქონდეს იმ უწყება-დაწესებულებების სია, რომელთაც დამაკმაყოფილებლათ დაყენებული აქვთ ანგარიშ-წარმოება: დეე ასეთი უწყება იყვეს ერთი ასზე, თუგინდ ერთი ათასზე, მხოლოდ სწარმოებდეს კი **სისტემატიური**, გადაუხვევლი, ენერგიული ბრძოლა ასეთ უწყებების რიცხვის გასადიდებლათ, ანგარიშ-წარმოების გასაუმჯობესებლათ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში უნდა მოიპოებოდეს კალენდარული ცხრილი, რომელიც გამოხატავს ამ ბრძოლის მსვლელობას, ჩვენს გამარჯვებას და დამარცხებას ამ ბრძოლაში.

გავეცანი რა წინასწარ კონსპექტს მოხსენებისა სათბობი მასალის ორგანოების მუშაობის და 1921 წლის საშემოდგომო კრიზისის (სათბობი მასალის) შესაძლებლობის შესახებ მე დავრწმუნდი იმაში, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში საქმე **თავიდანვე** ვერ არის დაყენებული ისე, როგორც საჭიროა.

შედარებულია, მაგალითად, სამკვირეული (1921 წლ.) 1920 წელთან. აღებულია ხალასი ჯამი. შედარება არ არის სწორი, ვინაიდან მხედველობაში არ მიუღიათ არც (1) განსხვავება სურსათ სანოვაგის მომარაგებაში (1921 წლის გაზაფხულიც და 1921 წლის მთელი პირველი ნახევარი **განსაკუთრებულ** მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, სასურსათო გადასახადზე **გადასვლის** გამო), არც (2) 1921 წლის მოუსავლიანობა.

დანიშევსკი აღნიშნავს. გუბერნიებმა, რომელთაც არ შეხებია მოუსავლიანობა, 1921 წელს მოგვცეს სამკვირეულის პროგრამის შესრულება **100 პროცენტზე ზევით**; მოუსავლიანი გუბერნიები ამოცანის შესრულების უდიდეს დეფიციტს წარმოადგენენ.

მოხსენებაში არავითარ **შესწავლას** არ ვხედავთ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინასწარ მოხსენებაში, როგორც სჩანს, სწორად არის აღნიშნული მთავარ სატყეო კომიტეტის ანგარიშ-წარმოების ნაკლულოვანებანი. ამას თვით დანიშევსკიც აღიარებს. ეს დამტკიცებულია. ანგარიშ-წარმოება ცუდათ არის დაყენებული.

მაგრამ სწორეთ ამ **ძირითად** საკითხში მუშათა და გლეხთა ინსპექციას არ შეუძლია **დაკმაყოფილდეს** წინასწარ მოხსენებაში თეზისით: „ანგარიშ-წარმოება ცუდია, ანგარიშ-წარმოება არ არსებობს". თქვენ კი, ამხანაგებო მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან, რა გააკეთეთ იმისთვის, რომ გამოგესწორებიათ ეს საქმე? სახალხო კომისრის მოადგილე ავანესოვი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ბევრი პასუხისმგებელი მუშაკები 1921 წლის ზამთარში და გაზაფხულზე **პირადათ** მონაწილეობდენ მრავალ კომისიებში და თათბირებში სათბობი მასალის კრიზისის საკითხის შესახებ. სწორედ 1921 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში (მგონი 1921 წლის მარტში) ხდება მთავარ სატყეო კომიტეტის მმართველობის შეცვლა. მაშასადამე 1921 წლის მარტში მთავარ სატყეო კომიტეტში ანგარიშ-წარმოება ახალ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დაყენებული.

დანიშევსკიმ ეს გააკეთა. **მაგრამ გააკეთა არადამაკმაყოფილებლად.** მისი ანგარიშ-წარმოება ცუდია. დანიშევსკი აუცილებლათ დამნაშავეა.

მაგრამ დამნაშავის აღმოჩენა უფროსის სახით—ეს მუშაობის მეტად უმნიშვნელო ნაწილია. შეასრულა თუ არა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი ამოცანა და მოვალეობა? **სწორად გაიგო თუ არა მან თავისი ამოცანა?** აი რაში მდგომარეობს მთავარი კითხვა? და ამ კითხვაზე იძულებული ვართ უარყოფითი პასუხი გავცეთ.

იცოდა რა, რომ სათბობი მასალის მდგომარეობა კრიტიკულია, რომ შეშა უმთავრესია, რომ ძველ მთავარ სატყეო კომიტეტის დროს (ლომოვი) ანგარიშ-წარმოება ცუდათ იყო დაყენებული, იცოდა რა ყველაფერი ეს მუშათა და გლეხთა ინსპექცია ვალდებული იყო 1921 წლის მარტში მიეცა თავისი **ფორმალური რჩევა**, წერილობით: ანგარიშ-წარმოება დააყენეთ **ასე და ასე**. 1921 წლის აპრილში მას უნდა შეემოწმებია, როგორ **დააყენა** საქმე ახალმა უფროსმა (დანიშევსკი) და **ისევ** უნდა მიეცა თავისი ფორმალური რჩევა წერილობით: გამოასწორეთ ესა და ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ადგილიდან ვერ დაიძვრის. 1921 წლის მაისში კიდევ ერთხელ უნდა შეემოწმებია და ასე ამგვარათ **ყოველთვიურათ**, სანამ ანგარიშ-წარმოება არ იქნებოდა დაყენებული.

სწორედ ავანესოვს უნდა გაეცა სათანადო განკარგულება... 1921 წლის გაზაფხულზე მუშათა და გლეხთა ინსპექციას უნდა გამოეყო ესა და ეს რევიზორი (ყველას სჯობია **ერთი** პირი და არა განყოფილება, თუმცა პრაქტიკაში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, ალბათ, არსებობს მთელი განყოფილება, რომელიც განაგებს სატყეო ან საერთოთ სათბობი მასალის საქმის რევიზიას ან ინსპექციას), რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა მთავარ სატყეო კომიტეტის ანგარიშ-წარმოებას, **შეისწავლიდა** მას, ყოველთვიურად მოხსენებას გაუკეთებდა ავანესოვს, კოლეგიის ამა თუ იმ წევრს, ან წარმოადგენდა ცნობებს (ამდენ გუბერნიაში ანგარიშ-წარმოება დამაკმაყოფილებლათ არის დაყენებული; გუბერნიების სია; ამდენ გუბერნიაში სრულებით არ არის და სხვ.. ზომები? იუსტეთის კომპარტიის ცეკაში? სრულიათ რუსეთის ცაკში? ზომების შედეგები?).

დანიშევსკი დამნაშავეა ანგარიშ-წარმოების ცუდათ დაყენებაში.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ე. ი. ესა და ეს პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლის გვარი მე არ ვიცი, **რევიზორი** ან ინსპექტორი დამნაშავეა თავისი მოვალეობის შეუსრულებლობაში, **დაწყებული 1921 წლის მარტიდან.**

პრაქტიკულად საკითხი, საქმიანია, არაბიუროკრატიულია: როგორ უნდა იქნეს გამოსწორებული მთავარ სატყეო კომიტეტის ანგარიშ-წარმოება?

რადგან ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე პასუხი ვერ ვიპოვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინასწარ მოხსენებაში, **რომელიც** უნდა იძლეოდეს ამ პასუხს, ამიტომ, მე თვით ვეძებ პასუხს, მაგრამ ადვილათ შეიძლება შევცდე, ვინაიდან საქმე არ მაქვს შესწავლილი. აი ჩემი წინადადებები, რომელთაც მე სიამოვნებით შევცვლი, თუ უკეთესს წარმოადგენენ:

1) დაწესებულ იქნეს ანგარიშების წარდგენა (ერთხელ ორ კვირაში) არა ფოსტით, როგორც არის ეხლა, არამედ ტელეგრაფით;

2) ამისთვის გამომუშავებულ იქნეს თავისებური წესი: 7—8 ციფრი ასოებით, რათა რამდენიმე სტრიქონში მოცემულ იქნეს ჯამი (დამზადებულია კუბიკური საჟენი; გამოტანილია; მიღებულია და გაცემულია პური, საქონლის საკვები და სხვ).

3) გატარებულ იქნეს საკანონმდებლობითი წესით დანიშევსკის უფლება დაპატიმრებაზე ანგარიშის თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის, ან (თუ ეს შეუძლებელია, თუ ეს რაიმე მიზეზით არ ტარდება) უფლება მიეცეს დანიშევსკის მიმართოს თვითეულ შემთხვევაში ცაკის პრეზიდიუმს თხოვნით ანგარიშის ჩაუბარებლობისათვის დაპატიმრების შესახებ; შესრულების შემოწმება.

4) **ადგილებზე შემოწმების წესები**, უშუალოდ სრულდება თუ არა? როგორ სრულდება? რაში მდგომარეობს დაბრკოლებები?

დანიშევსკი ამბობს, რომ შემოიღო თანამდებობა მოგზაურ (მთელს რუსეთში) კონტროლიორებისა, რომელთაც ინახულეს ყველა გუბერნიები, გამოასწორეს საქმე მრავალ გუბერნიებში

მართალია თუ არა ეს? შეყვანილია თუ არა შეცდომაში დანიშევსკი თავის მოხელეების მიერ?

ადვილი შესაძლებელია, რომ შეყვანილია შეცდომაში.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია რაღას აკეთებს? მან უნდა შეისწავლოს და იცოდეს ეს. ამის შესახებ წინასწარ მოხსენებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი. როდის დანიშნეს მოგზაური კონტროლიორები? რამდენი კაცია სულ? მათი დონე? მათი მუშაობის შედეგი? როგორ უნდა გამოსწორდეს საქმე თუ ის ცუდათ არის დაყენებული? ეს არის უმთავრესი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზორმა სწორედ ამას აუხვია გვერდი.

ვიმეორებ, საკითხი ანგარიშ-წარმოების დაყენების შესახებ უმთავრესი საკითხია. ის არის შესწავლილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ. არ არის შესრულებული და როგორც სჩანს, **გაუგებარიც** არის მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის ამოცანა: თვალ-ყურის დევნება ანგარიშ-წარმოების დაყენებისათვის, მისი თანდათანობით გაუმჯობესება.

რუსეთის ცაკის საშუალებით, რუსეთის კომპარტიის ცეკას საშუალებით, ყველა გზებით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიიტანოს საქმე უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ინსტანციებამდე, უნდა მიაღწიოს ანგარიშწარმოების დაყენების გამოსწორებას.

მე დაწვრილებით შევჩერდი უმნიშვნელოვანეს (და უმარტივეს) საკითხზე: ანგარიშ-წარმოების დაყენება, მაგრამ შემდეგში ჩვენ საქმე გვექნება ასევე მნიშვნელოვან და უფრო ძნელ საკითხებთან, მაგალითად, საიჯარო სამუშაოების დაყენება (შესრულების შემოწმება, აღრიცხვა და სხვ.) და სხვ...

წინასწარი მოხსენება **ეხება**, მეტად საინტერესო საკითხს და მხოლოდ ეხება, საქმიანათ კი არ არჩევს. სახელდობრ; წინასწარი მოხსენების ავტორი სწერს: „პასუხისმგებელი ხელმძღვანელები უკიდურესად დატვირთული არიან მუშაობით, მაშინ როცა ხელ-ქვეითი ორგანოების ტეხნიკური აპარატები (დასახელებულია სათბობი მასალის მთავარ სამმართველოს ხელქვეითი ორგანოები ნახშირის წარმოების მთავარი კომიტეტი მთავარი სატყეო კომიტეტი და სხვ.) **სავსეა უსაქმო მყოფ თანამშრომლებით.**

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ძვირფასი და აბსოლიუტურათ სწორი დაკვირვება და რომ ის შეეხება არა მარტო სათბობ მასალის მთავარ სამმართველოს, არამედ ყველა უწყება დაწესებულებებს, ან, ყოველ შემთხვევაში, მათ 99 პროცენტს.

ყოველგან ეს ბოროტება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციას მარტში, როცა ორგანიზაცია (ახალი) ეწყობოდა, ან, არა უგვიანეს აპრილისა, როცა ის უკვე მოწყობილი იყო, უნდა შეეტანა ფორმალურად, წერილობითი წინადადება: გამოასწორეთ ასე და ასე.

ეს ასე არ მომხდარა.

როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ბოროტება?

მე დაახლოვებით არ ვიცი ეს. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა იცოდეს, ვინაიდან მისი საქმეა შეისწავლოს ეს,—შეადაროს სხვადასხვა უწყებები—შეიტანოს სხვადასხვა პრაქტიკული წინადადებანი,—შეამოწმოს ისინი ცდით და სხვ.

როცა ვლაპარაკობ „მუშგლეხინზე", მე მხედველობაში მყავს პირველ ყოვლისა ამ წინასწარ მოხსენების ავტორი. მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ეს შეეხება არა მარტო ამ ავტორს.

უნდა გამოყოფილ იქნეს რამდენიმე, თუნდაც 2—3 (ამდენი, ვფიქრობ, უეჭველად გამოიძებნება) უსათუოდ კეთილსინდისიერი, გაგებული და გამოცდილი მუშაკი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და დაევალოთ მათ რევიზორების მუშაობის (პირველად თუნდაც ანგარიშიანობის საქმის დაყენების დარგში მუშაობის) ხალი გეგმის გამომუშავება. უმჯობესია პატარას მოჰკიდოთ ხელი, მაგრამ მიიყვანოთ ბოლომდე.

წინასწარი მოხსენების ავტორი ეხება თემს, თემების მთელ ჯგუფს, მაგრამ თემები არ არის შესწავლილი, ნაჩქარევად შეკოწიწებულია, არავითარი აზრი არ არის. ესაა „საპარლამენტო დეკლარაციებით" თამაში. ეს როდია საჭირო, საჭიროა პრაქტიკული გამოსწორება.

რომ ნაკლებად არის შესწავლილი, ეს სჩანს, მაგალითა, საკითხიდან 52 (89): გამოიყოს მხოლოდ სანიმუშო მაღაროები. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდა შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიაც (სმილგა და რამზინი), როცა 1921 წ. სექტემბერში ინახულა დონბასი. სწორედ ასეთია სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნა.

რატომ მე ვიცი სახელმწიფო საგეგმო კომისიის და სმილგას კომისიის მუშაობის შესახებ, ხოლო **სპეციალურმა რევიზორმა**, რომელიც მოხსენებას ადგენს სათბობი მასალის მთავარ სამმართველოს („გლავტოპ") შესახებ ეს არ იცის?

საქმის დაყენება არ არის სწორი.

როგორც პრაქტიკული დასკვნა, წინადადებას ვიძლევი:

1) გამოყოფილი იქნეს თუნდაც საკითხი ანგარიშწარმოების დაყენების შესახებ და მიყვანილ იქნეს ის ბოლომდე;

2) დაევალოთ ეს განსაზღვრულ პირებს და მეცნობოს მე მათი სახელები;

3) მეცნობოს მე იმ რევიზორის სახელი, ვისაც დაკისრებული აქვს სატყეო კომიტეტის საქმე.

ლენინი

27 სექტემბერი, 1921 წ.

(გაგრძელება ხვალ)

უკანასკნელი ცნობები

ლიტვის დამოუკიდებლობის წლის თავი

კოვნო. 18 თებერვ. გაზეთ „იდიშე შტიმეს" ცნობით, 16 თებერვალს, ლიტვის დამოუკიდებლობის წლისთავის ზეიმზე, კოვნოში მოელიან ინგლისის და ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენლებს.

პოლიტიკურ წრეებში მათ ჩამოსვლას უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ, განსაკუთრებით იმ როლთან დაკავშირებით, რომელნიც უნდა ითამაშოს ინგლისის წარმომადგენელმა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში (ადს).

ქარიშხალი იაპონიის ზღვის ნაპირებზე

ტოკიო, 13 თებერვ. უკანასკნელ 25 დღის განმავლობაში იაპონიის ზღვის ნაპირებზე გამძვინვარებულმა ქარიშხალმა დიდი ზარალი გამოიწვია. მარტო ერთ ნიიგატას გუბერნიაში მკვდარია 91 კაცი, დაჭრილი 20-ოდ კაცი და დანგრეულია 120 სახლი (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელების პოლიცია შანხაიში მუშაობს

პეკინი, 14 თებერვ. შანხაიში მყოფი ინგლისელების პოლიციამ, რომელიც ინგლისელებისაგან შესდგება, მოახდინა კავშირის წევრ ტრამვაის მუშების კრებაზე თავდასხმა. აღნიშნული კავშირი შანხაიში ლეგალურად არსებობს. კრებაზე დააპატიმრეს 75 მუშა.

მუშათა წრეებში ფიქრობენ, რომ აღნიშნული თავდასხმა მოახდინეს იმ მიზნით, რათა ინგლისელებს შეექმნათ პროვოკაციული კონფლიქტი და შემდეგ საშუალება მისცემოდათ ჩარეულიყვნენ საქმეში სამხედრო ძალით (ადს).

ინგლისელების საწინააღმდეგო დემონსტრაცია

პეკინი, 14 თებერვ. 9 თებერვალს ხუნანის პროვინციის დედა-ქალაქში ჩან-შაში გაიმართა ინგლისელების საწინააღმდეგო დემონსტრაცია. დემონსტრანტები ხავერდით სწვავდენ ინგლისში ნაწარმოებ საქონელს. შემდეგ არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელიც გამოცხადდა ინგლისის კონსულთან და გადასცა მას პროტესტი ჩინეთის სუვერენულ უფლებათა შელახვის გამო (ადს).

პორტუგალელი აჯანყებულების დასჯა

პარიზი, 14 თებერვ. პორტუგალიის მთავრობამ დაადგინა გააუქმოს არსებული კანონი ვაფიცვების გამოცხადების შესახებ. აჯანყების მონაწილეებს გადასცემენ სამხედრო სასამართლოს (ადს).

ბულგარეთის პოლიციის მორიგი ცილისწამება

ვენა, 14 თებერვ. ბულგარეთის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა ძიება კოსაოვის „საიდუმლო" ცეკას შესახებ და მთელი საქმეები გადასცა პროკურორს.

ბრალდებულებს შორის არიან კოლაროვი და დიმიტროვი. მომავალი პროცესი იქნება ხელოვნურად მომზადებული მასიური დაპატიმრების შედეგი, როდესაც თითქოს აღმოაჩინეს „ფართოდ მომუშავე კომუნისტური ორგანიზაცია" (ადს).

ოგბერი ურჩევს ინგლისს.

ლონდონი, 14 თებერვალი. ლონდონში ჩამოვიდა კომინტერნთან მებრძოლი ფედერაციის თავმჯდომარე ოგბერი. „დეილი მეილის" თანამშრომელთან საუბარში ოგბერმა განაცხადა, რომ ინგლისის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამჟამად შეადგენს საკითხი — გასწყვიტოს თუ არა მან კავშირი საბჭოთა კავშირთან.

1927 წელი,—სთქვა ოგბერმა,—იქნება ბოლშევიზმთან პირისპირ დადგომის წელი (ადს).

ესტონელი ჯაშუშების პროცესი.

ლენინგრადი, 14 თებერვალი. ლენინგრადის საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო ესტონელი ჯაშუშების—კრიიზის, მეკკის და როზენბერგის საქმის გარჩევა. მათ ბრალდებათ საბჭოთა კავშირის საზღვრების გადმოლახვა ტერორისტული აქტების მოხდენის მიზნით და აგრეთვე ესტონეთის კომუნისტური ორგანიზაციების შესახებ საჯაშუშოთ. (ადს).

იტალია ემზადება?

ლონდონი, 14 თებერვალი. „დეილი მეილი" იტყობინება, რომ იტალიის სახელმწიფო ქარხნები შეუწყვეტლივ მუშაობენ სამხედრო იარაღების დასამზადებლად.

„რას აპირებს მუსოლინი?—სწერს გაზეთი,—ხომ არ ფიქრობს იგი ბალკანეთზე ახალი ომის დაწყებას, ან ხომ არ სურს მცირე აზიაში ხელ. ახალი შეჭრა? შეიძლება ჩერჩილმა იცის, რაშია საქმე"? (ადს).

აკად. მარის არჩევა.

მოსკოვი, 14 თებერვალი. სრულიად საკავშირო სამეცნიერო მუშაკთა ყრილობაზე არჩეულმა ცენტრალურმა სამეცნიერო საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია აკადემიკოსი ნიკო მარი (ადს).

რამ შეუშალა ხელი „სკელმუგლიანებს".

ლონდონი, 14 თებერვალი. იუწყებიან, რომ ჩემბერლენმა მთავრობის წევრებს დაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაეშქრნა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ. კონსერვატიული პარტიის პოლიტიკური კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კაბინეტის ზოგიერთმა წევრებმა, ჩემბერლენის დასაბუთებებთან გაცნობის შემდეგ, შეიცვალეს აზრი საკითხზე საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის შესახებ. იგივე კორესპონდენტები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ თემთა პალატის კონსერვატიული დეპუტატების ამ „სულისკვეთებას" შეუძლია გაიყვანოს მთავრობა (ადს).

ბელორუსი დეპუტატები პოზნანის ციხეში

ვარშავა, 14 თებერვალი. დაპატიმრებული ბელორუსი დეპუტატი, რომლებიც დღემდი იმყოფებოდენ ვილნის ციხეში,—„ლუკიშკაში", პოზნანის ციხეში არიან გადაყვანილი, (ადს).

კულიჯის წინადადების გარშემო

საფრანგეთი სამართლიანობას მოითხოვს

პარიზი, 14 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის პასუხი კულიჯის წინადადებაზე სამხედრო შეიარაღების შემცირების შესახებ, დამტკიცებული იქნება კაბინეტის სხდომაზე 15 თებერვალს. პასუხში აღნიშნულია, რომ საფრანგეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარი ინიციატივაში, რომელსაც კი მიზნად ექნება განიარაღება და მშვიდობიანობის დაცვა, მაგრამ მასთან აღნიშნავს, რომ კულიჯის წინადადება საზღვაო განიარაღების შესახებ მიდგომითია და მიმართულია ორ სახელმწიფოს (მაგალ., საფრანგეთის და იტალიის) წინააღმდეგ და არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს დანარჩენ სახელმწიფოთ (მაგალ., ესპანეთი, საბჭოთა კავშირი, ოსმალეთი და საბერძნეთი), რაც უსამართლობას წარმოადგენს (ადს).

იტალია და კულიჯის წინადადება

რომი, 13 თებერვალი. კულიჯის წინადადების გამო შემდეგი საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ იტალიას, რომლის საზღვაო პროგრამაც ისედაც შემცირებულია, არ შეუძლია დათანხმდეს ისეთ ზომებზე, რომლებიც საფრთხეში ჩააყენებს მის საარსებო ინტერესებს (ადს).

პოლ ბონკური კულიჯის წინადადების შესახებ

პარიზი, 13 თებერვალი. ჟენევაში მყოფმა საფრანგეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში, პოლ ბონკურმა, ჰავასის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში კულიჯის წინადადებაზე საზღვაო შეიარაღების შემდეგი შეზღუდვის შესახებ, განაცხადა შემდეგი:

„მე პირადათ უხერხულად მიმაჩნია განიარაღების მხოლოდ ერთი სახის განხილვა მარტო დიდ სახელმწიფოების მიერ. მე ვწუხვარ, რომ წინასწარ მომამზადებელი კომისიის სესიაზე არ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი, რომლის მონაწილეობა აუცილებელია ამ კომისიის ნაყოფიერი მუშაობისათვის. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, ახალი ცდა საბჭოთა კავშირის მოსაწვევად მოხდება არა ადრე სესიის დასრულებამდე, რომელსაც 20 მარტისათვის მოიწვევს განიარაღების წინასწარ მომამზადებელი კომისია, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს კომისია შეიმუშავებს განიარაღების კონფერენციის გარკვეულ სამუშაო პროგრამას (ადს).

კიდევ ერთი ჭორი

ბერლინი, 14 თებერვალი. ავღანისტანის საელჩომ ბერლინში გამოაქვეყნა ცნობა ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობების გასაბათილებლათ. გაზეთებში ნათქვამი იყო, თითქოს დადებულია ინგლის-ავღანისტანის ხელშეკრულება, რომლითაც ავღანისტანის მთავრობა ვალდებულია „მიიღოს ზომები ავღანისტანში გავრცელებული კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ" რაზედაც სამაგიეროთ ინგლისმა უნდა აღმოუჩინოს მას ფინანსიური დახმარება ახალ რკინისგზების გასაყვანად.

საელჩოს ცნობაში აღნიშნულია, რომ ცნობა მსგავსი ხელშეკრულების დადების შესახებ სიყალბეს შეიცავს. (ადს).

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია

პრესის წარმომადგენლებს სხდომებზე არ უშვებენ

პარიზი, 14 თებერვალი. 12 თებერვალს პარიზში გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

ჩინელმა სოციალისტმა იან-კან-ტაომ გააკეთა მოხსენება ნაციონალურ მოძრაობის შესახებ ჩინეთში. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ კანტონის მთავრობა არ არის კომუნისტური და მტრულად არ არის განწყობილი უცხოელებისადმი. ჩინელი სოციალისტები მოითხოვენ უცხოეთის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან, უცხოელთა კონცესიებისა და პრივილეგიების გაუქმებას და ახალ ხელშეკრულებების დადებას თანასწორ უფლებების საფუძველზე.

პრესის წარმომადგენლებს სხდომებზე არ უშვებენ. (ადს).

მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომი ომის საფრთხის შესახებ.

პარიზი, 14 თებერვალი. პარიზში მე-2-ე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ომის საფრთხის შესახებ:

„ინგლისის ხელმძღვანელობით დიდი სახელმწიფოები გზავნიან ჩინეთში სამხედრო გემებს და ჯარებს. მიუხედავად პარლამენტის დადგენილებისა, ინდოეთიდან ინგლისი გზავნის ჩინეთში ინდოეთის ჯარებს. რეაქციონურ ძალებს სურთ გამოიყენონ ჩინეთის რევოლიუცია საბჭოთა კავშირთან ურთიერთ დამოუკიდებლობის გასაწყვეტად. სამოქალაქო ომს ჩინეთში აუცილებლივ ომი მოჰყვება".

რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს, რომ მათ ინგლისის მუშებთან ერთად, იბრძოლონ ჩინეთის ნაციონალურ განთავისუფლებისათვის. რეზოლიუცია აყენებს შემდეგ ლოზუნგებს: უცხოეთის ჯარების გაყვანა ჩინეთიდან, უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმება, კონცესიების გაუქმება, ჩინეთის საბაჟო და საფოსტო დამოუკიდებულება. შემდეგ რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს ბრძოლისაკენ მექსიკის დამოუკიდებლობისათვის, რეზოლიუცია, აგრეთვე მოუწოდებს მუშებს ბრძოლისაკენ იტალიური ფაშიზმის და მის დამქაშების—უნგრეთის, რუმინეთის და ბულგარეთის ფაშიზმის წინააღმდეგ, პოლონეთის შესახებ რეზოლიუციაში არაფერი არ არის ნათქვამი (ადს).

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ

ბერლინი, 13 თებერვალი. სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ პოლონეთ-გერმანიის შორის გამართულ მოლაპარაკების ფორმალურად შეწყვეტა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

11 თებერვალს გრძელდებოდა მოლაპარაკება დაინტერესებულ სამინისტროებს შორის.

გერმანიის რწმუნებულმა, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკების წარმოება პოლონეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარეს მიმართა წერილით. წერილში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობის მიმართვას ვარშავისადმი პოლონეთიდან უკანასკნელ დროს გერმანელ მოქალაქეების გადასახლების შესახებ საფუძვლად დაედო ის ფაქტები, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ზემო-სილეზიის პოლონურ ნაწილში, უკვე რამდენიმე თვეა ავიწროებენ გერმანელ მოქალაქეებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ეკონომიურ დაწესებულებებში.

გერმანიის მთავრობამ—ნათქვამია წერილში—უკვე 22 იანვარს მიაქცია ვარშავის ყურადღება იმაზე, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ასეთმა საქციელმა არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს მოლაპარაკების მსვლელობაზე, ვინაიდან პოლონეთში გერმანელ მოქალაქეების ცხოვრების უფლების საკითხი წარმოადგენს მოლაპარაკების მნიშვნელოვან ნაწილს. მიუხედავად ამისა, პოლონეთმა კვლავ აიძულა გერმანელი მოქალაქეები დაეტოვებიათ პოლონეთის ტერიტორია. ამრიგად, პოლონეთი გვერდს უხვევს გერმანიის წინადადებას, რის გამო გერმანიის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დროებით შეაჩეროს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ ხნის განმავლობაში უნდა ვეცადოთ გადასახლების საკითხის მოგვარებას უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკების გზით პოლონეთსა და გერმანიას შორის.

გერმანიის მთავრობამ—ნათქვამია დასასრულ—უკვე სათანადო წინადადება გაუგზავნა ვარშავას. (ადს).

პოლონეთის მუქარა

ვარშავა, 14 თებერვალი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობის განცხადებები გერმანელ მოქალაქეთა მასიურ გადასახლების შესახებ პოლონეთიდან არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს.

ამ რამდენიმე ხნის წინად გერმანიის მთავრობამ თავის მხრივ გერმანიიდან გადაასახლა 25 ათასი პოლონელი მუშა. გაუგებარია, თუ რა იმედით აპირებს გერმანიის მთავრობა საკითხის გადაჭრის დაჩქარებას მოლაპარაკების ჩაშლით.

პილსუდსკის ოფიციოზი „გლოს პრავდი" აცხადებს, რომ თუ გერმანიის მთავრობა უახლოეს დღეებში არ შესცვლის თავის პოზიციას, პოლონეთის სავაჭრო დელეგაცია გამოწვეული იქნება ბერლინიდან. (ადს).

საბჭოთა არჩევნები

თბილისში

გემოკვების კავშირის მუშაკთა დელეგატები

13 თებერვალს საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, შესდგა გემოკვების კავშირის მეორე და მეოთხე ჯგუფების მუშა-მოსამსახურეების კრება. კრებას დაესწრო 300 კაცამდე. თბილისის საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქნა 6 კაცი: 1) რუხაძე (კომ., მუშა), 2) რობაქიძე (კომ., მუშა), 3) კობერიძე (უპარტიო მუშა), 4) ივანეზოვი (კ. კ. წევრი, მუშა), კანდიდატებათ: 5) მურღულია (უპ. მუშა), 6) თადეოზოვი (უპ. მუშა).

ავტო.-სახელოსნოებში.

გუშინ, დილის 10 საათზე, ამხ. სტალინის სახელობის ავტო - სახელოსნოებში, შესდგა ადგილობრივ მუშა - მოსამსახურეთა საარჩევნო კრება. კრებაზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 95 პროც. დეპუტატებათ ერთხმად არჩეულ იქნენ: 1) ვასილ გორელოვი (კომ., მუშა), 2) იური ვაჩნაძე (კ. კ. წევრი მუშა).

ტრანსპორტის მუშები

13 თებერვალს, საღ. 6 საათზე, ტრანსპორტის მუშათა კრებამ (რიცხვით 70 კაცი) თბილისის საბჭოში დეპუტატათ გაგზავნა ამხ. ავეტიქ არდინოვი (უპარტიო მუშა).

ახალ მუშათა კლუბში

გუშინ, 3 საათზე, ახალ მუშათა კლუბში შესდგა „საქ. ჩაის", მიწ. მოქმედების სახ. კომისარიატის ღვინის სარდაფის და „ახალი სოფლის" თანამშრომელთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 400 ამომრჩეველი.

საბჭოს დეპუტატებათ არჩეულნი იქნენ: 1) ამხ. შირაქაშვილი (კომუნისტი), 2) ნიჟარაძე (უპარტიო) და კანდიდატად 1) ამხ. ქოიავა (უპარტიო).

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

გუშინ, იუსტიციის სახ. კომისარიატში შესდგა ადგილობრივ მუშა - მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულნი იქნენ: 1) ვარძიელი (იუს. სახ. კომისარი), 2) შანიჯანოვი (კომუნისტი) და კანდიდატებად 1) ამხ. ტალახაძე (კომუნისტი, იუს.სახ. კომისარის მოადგილე).

[illegible] სახურეთა და მათი ოჯახის წევრების საარჩევნო კრება. კრება ორ ცვლად ჩატარდა, დილის სხდომაზე, დაესწრო 200 კაცი. დეპუტატებათ არჩეულ იქნა: 1) შალვა მარგალიტაძე (კომ. მუშა), 2) მიხეილ ნარსია (კომ. მუშა), 3) ეკატერინე კიკაძე (უპარტიო, მუშა „შრომის გმირი"), 4) ვასილი ხორბალაძე (უპარტიო, მუშა 80 წ. სტაჟით), კანდიდატებათ: 5) იასონ მახალდიანი (კომ. მუშა), 6) ბლიოჩ ბურდი (უპარტიო მუშა ქალი), 7) მერი ქართველიშვილი (კ. კ. წევრი, ქალი). მეორე ცვლის საღამოს სხდომამ (350 კაცით) ერთხმად დაადასტურა აღნიშნული სია, ხოლო ნაკაზი მიღებულ იქნა ზოგიერთი ცვლილებებით.

წყალსადენის მუშების დეპუტატები

წყალსადენის სახელოსნოების კლუბი სავსეა მუშა-მოსამსახურეებით. სამკითხველო ოთახში გამოკიდებულია კედლის გაზეთის სპეციალური საარჩევნო ნომერი, რომელსაც მუშები ჯგუფ-ჯგუფად კითხულობენ. სოლ 6 საათზე დაიწყო არჩევნები. დეპუტატებათ აირჩიეს: 1) გიორგი ხოჯაევი (კომ. მუშა, წყალსადენის დირექტორი, 2) გიორგი ახალბედაშვილი (უპარტიო მუშა), 3) იასონ ოტიაშვილი (კომ. მუშა). ნაკაზი მიღებულ იქნა მთელ რიგ დამატებებით.

კამოს საავადმყოფოში

ნაშუადღევის 3 საათზე შესდგა კამოს საავადმყოფოს და სადეზინფექციო კამერის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამრჩეველების 60 პროც.. დეპუტატებათ თბილისის საბჭოში გაგზავნეს: 1) ივანე მერაბიანცი (კომ. მუშა), კანდიდატათ, 2) მიხეილ დავითაშვილი (უპარტიო, ექიმი).

გალეტების ფაბრიკაში

საგალეტო ფაბრიკის და ძეხვის ქარხნის მუშებმა თბილისის საბჭოში დეპუტატებათ გაგზავნეს: 1) ამხ. მარო მარიჯანაშვილი (კომ. მუშა) და ამხ. არტო ოლაგოვი (უპარტიო მუშა).

არჩევნების შედეგები პირველ რაიონში

1-ლ რაიონში არჩევნები, რომელიც დაიწყო 4 თებერვალს, დასრულდა 12 თებერვალს. სულ მთელ რაიონში საარჩევნო კრება ჩატარებულ იქნა 19 ადგილას.

ყველა საარჩევნო პუნქტებზე არჩეული არის 165 დეპუტატი და 36 კანდიდატი. არჩეულთა შორის 147 მამაკაცია და 18 ქალი. სოციალური მდგომარეობის მიხედვით — 142 მუშა, 18 მოსამსახურე და 5 დიასახლისი. არჩეულთა შორის 83 (50,3 პროცენტი) კომუნისტია, 15 (9,1 პროცენტი) კომკავშირელი და 67 (40,6) პროცენტი უპარტიო.

არჩევნები წითელ ჯარში

(თბილისის გარნიზონი)

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა საბჭოთა არჩევნები მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონში. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თბილისის საჯარიმო გუნდი.

არჩევნების დაწყებამდე ლეგიონის კლუბის შენობა სავსე იყო წითელ არმიელებით, მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის პირთა და მათი ოჯახის წევრებით. ამომრჩევლები გამოცხადდნენ 100 პროცენტით.

საარჩევნო კრებას ხელმძღვანელობდა პოლიტ განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ბლუაშვილი. კრების გახსნისას იგი ესალმება დამსწრეთ ქალაქის საბჭოს სახელით და აცნობს ამომრჩეველთ არჩევნების დებულებას.

შემდეგ კრება გადადის თვით არჩევნებზე.

დეპუტატებათ არჩეულ იქნენ: ამხ. **ელიაშვილი** (ლეგ. სამხკომი, კომ-ტი) და ამხ. **კიკვაძე** (მწყობრის თავი, კომ-ტი). კანდიდატათ არჩეულ იქნა ამხ. **ლიპარტაშვილი** (წითელარმიელი, უპარტიო).

არჩევნების შემდეგ წაკითხულ და უცვლელად მიღებულ იქნა „ნაკაზი".

ადგილებზე

ამხ. ა. დოლიძე — საბჭოს საპატიო წევრი

ხაშური, 14 თებერვალი. სოფ. ცხვერიში (გორის მაზრა, გორის თემი), საბჭოს საპატიო წევრად არჩეულ იქნა ამხ. ანდრო დოლიძე. (ადს).

13 თემში არჩევნები დასრულდა

თბილისის სამაზრო - საქალაქო ცენტრალურ კომისიაში მიღებული ცნობებით საბჭოთა არჩევნები უკვე დასრულდა თბილისის მაზრის შემდეგ თემებში: ბოლნისის, ასურეთის, ქვემო-წალკის, ზემო თიანეთში, ქვემო თიანეთში, არტანის, პრიუტის, ზემო ერწოს, ქვემო ერწოს, პატარძეულის, დუშანისის და მანგლისის თემებში.

არჩეულ დეპუტატთა რიცხვის შესახებ ცნობები მოსულია მხოლოთ ბოლნისის, ასურეთის, ქვემო წალკის, ზემო თიანეთის, ქვემო თიანეთის, არტანის, პატარძეულის, დუშანისის, ირაგის და მანგლისის თემებიდან. აღნიშნულ ათ თემში არჩეულია სულ 476 დეპუტატი. აქედან 76 ქალია, 110 კომუნისტი 86 კომკავშირელი და 382 უპარტიო.

თელავის მაზრა

ახმეტის თემში აირჩიეს 40 დეპუტატი, აქედან 6 ქალი, 10 კომ., 4 კომკ., აღმასკომში—2 კომ., 1 უპარტიო.

ლეჩხუმის მაზრა

ცაგერის საბჭოში არჩეულია 59 დეპუტატი. აღმასკომში არჩეულია 3 კომკავშირელი, 2 კომუნისტი.

შორაპნის მაზრა

არაგვეთის თემში არჩევნები ჩატარდა. სათემო საბჭოში არჩეულია 66 დეპუტატი, მათ შორის 16 კომუნისტი, 3 კომკავშირელი; აღმასკომში აირჩიეს 2 კომ., კომკ. 1 კანდიდატი.

ლიჩის თემსაბჭოში აირჩიეს 32 წევრი, აქედან 1 კომ., კომკ. 5 კანდიდატი, 3 ქალი. აღმასკომში: 2 კომ., და კომკ. 2 კანდიდატი

მუხურის თემსაბჭოში არჩეულია 30 წევრი, მათ შორის 2 კომ. 7 კანდიდატი, 2 კომკ., აღმასკომში: 2 კომ., 1 კანდიდატი.

ჯირცის თემსაბჭოში გაიყვანეს 81 კაცი, მათ შორის 21 კომ., 11 კომკ., აღმასკომში—2 კომ., 1 უპარტიო.

სიღნაღის მაზრა

ბაკურციხის თემსაბჭოში აირჩიეს 44 კაცი, აქედან 13 კომ., 7 კომკ., 5 ქალი, აღმასკომში—2 კომ., 1 უპარტიო.

გურჯაანის თემსაბჭოში არჩეულია 104 წევრი, მათ შორის 27 კომ., 8 კომკ., 13 ქალი; დანარჩენი უპარტიო; აღმასკომში აირჩიეს—4 კომ., 1 უპარტიო.

ზუგდიდის მაზრა

კოკის თემსაბჭოში აირჩიეს 38 წევრი, მათ შორის 11 კომ., 1 კომკ.; 26 უპარტიო, 2 ქალი; აღმასკომში: 2 კომ., 1 უპარტიო.

ჩხოროწყუს თემსა[illegible]ტატი, აქედან 12 კომ., 6 კომკ., 33 უპარტიო; აღმასკომში 2 კომ., 1 უპარტიო.

ფახულანის თემსაბჭოში აირჩიეს 20 წევრი, მათ შორის 8 კომ., 2 კომკ., 19 უპარტიო, 4 ქალი.

ბორჩალოს მაზრა

ქვეშის თემში გავიდა 61 დეპუტატი; აქედან 5 კომ., 5 კომკ., 6 ქალი; აღმასკომში—2 კომ., 3 უპარტიო.

ოფრეთის თემსაბჭოში აირჩიეს 35 წევრი: მათ შორის 8 კომუნ., 9 კომკ., 4 ქალი; აღმასკომში—2 კომ., 1 უპარტიო.

დუშეთის მაზრა

ფასანაურის თემსაბჭოში აირჩიეს 74 დეპუტატი, მათ შორის 9 კომ., 5 კომკ., 3 ქალი; აღმასკომში—2 კომ.; 1 უპარტიო.

გომის თემში

გომი, 14 თებერვ. საბჭოთა არჩევნები გომის თემში დამთავრდა. 4.065 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 2.354 კაცი.

საბჭოებში არჩეულ იქნა 84 კაცი; მათ შორის 18 კომუნისტი, 7 კომკავშირელი. არჩეულთა შორის 6 ქალია. აღმასკომში არჩეულია 5 კაცი, მათ შორის 3 კომუნისტია (ადს).

ზესტაფონის თემში

ზესტაფონი, 14 თებერვ. საბჭოების არჩევნები ზესტაფონის თემში (შორაპნის მაზრა) დამთავრდა. 2.690 ამომრჩევლიდან არჩევნებზე გამოცხადდა 1.534 კაცი. სათემო საბჭოში არჩეულ იქნა 54 კაცი. მათ შორის კომუნისტი—25, კომკავშირელი—7. არჩეულთა შორის 6 ქალია. სათემო აღმასკომში არჩეულია 4 კაცი, ყველა კომუნისტები (ადს).

აჭარისტანი

მაზრებში

ბათომი, 14 თებერვალი. წინასწარი საარჩევნო კამპანია მთელ აჭარისტანში დასრულდა 9 თებერვალს. ყველა კრებებზე შემოდიოდა მრავალი განცხადებები, რომლებიც ეხებოდენ მიწების განაწილების, სკოლების, საგზაო აღმშენებლობის, ხიდების აგების, საექიმო პუნქტების მოწყობის, კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა საკითხებს. საშუალო გლეხობამ საკმაო აქტივობა გამოიჩინა არჩევნებში, რაც გამოიხატა საარჩევნო კრებაზე დასწრებაში. განსაკუთრებით აქტიური იყო ღარიბესი გლეხობის მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. კრებებს ყველგან ესწრებოდა ამრჩევლების 90—100 პროცენტამდე.

ქალთა კრებები არ ჩატარებულა არსად გარდა ქედის მაზრისა, სადაც გაიმართა აჭარელ ქალთა ათი კრება.

საერთოდ მიმდინარე წელს ამრჩეველთა მუშურ-გლეხურმა მასსამ დიდი აქტივობა გამოიჩინა.

ბათომში

ბათომში თითქმის ყველა საანგარიშო კრებებზე აღნიშნავდენ ქალაქის საბჭოს არა დამაკმაყოფილებელ მუშაობას. მუშები გამოსთქვამდენ სურვილს, რომ ახალ საბჭოში არჩეული ყოფილიყვნენ უფრო აქტიური მუშაკები. წარმოდგენილ იქნა მთელი რიგი წინადადებები საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

არჩევნები დაიწყო

არჩევნები აჭარისტანში დაიწყო 11 თებერვალს. ბათომი დაყოფილია 37 საარჩევნო უბნად. მაზრებში არჩევნები დაიწყო და დამთავრდება 20 თებერვალს ზოგ ადგილებში არჩევნები გასტანს 1-ლ მარტამდე. სამაზრო ყრილობები მოწვეული იქნება 10 მარტამდე. 18 მარტს კი მოწვეული იქნება აჭარის საბჭოთა ყრილობა, რომლის მუშაობა გაგრძელდება 22 მარტამდე.

პირველი დეპუტატები

ბათომი, 14 თებერვ. ქალაქ ბათომში და ბათომის მაზრაში უკვე დაიწყო არჩევნები. პირველ დღეს არჩევნები ჩატარდა 5 საარჩევნო უბანში. არჩეულია 12 დეპუტატი, რომელთა შორის 8 კომუნისტია.

კრებები გაცხოველებით მიმდინარეობს. ამომრჩევლები არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენენ. კრებებზე დამსწრეთა რაოდენობა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 80 პროც. შეადგენს (ადს).

დღეს არჩევნები შესდგება

მეორე რაიონში

1) სპილენძის ქარხანაში — დილის 10 საათზე.

2) ლუდის ქარხანაში — დილის 11 საათზე.

3) „სახმედტორგში" — ნაშუადღევის 3 საათზე.

4) აბრეშუმის ფაბრიკაში — დილის 10 საათზე.

მესამე რაიონში

1. გემო-კვების მუშაკთათვის და ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთათვის—დღის 3 საათზე.

2. განათლების მუშაკთა კავშირის წევრებისათვის,

3. გამასწორებელი სახლის საავადმყოფოში—ადგილობრივი თანამშრომლებისათვის და მათი ოჯახის წევრთათვის, დღის 3 საათზე.

მეოთხე რაიონში

1) გან. სახ. კომისარიატის, „ზაკკნიგა"-ს, საქ. სახელგამის, ც. კ. და ტ. კ. თანამშრომელთა ადგილკომის, „ზარია ვოსტოკა"-ს კანტორის და განათლების მუშაკთა კავშირის №№ 50, 62, 57, 76, 72, 61, 65, 48; 77; 74; 47; 71 ადგილკომების თანამშრომლებისათვის — რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღის 2-ნახევ. საათზე.

2) მესამე სტამბის მუშებისთვის — ადგილობრივ დღის 2-ნახევ. საათზე.

3) საალმშენებლო კომიტეტის თანამშრომლებისათვის.

4) საქ. ფინ. სახ. კომისარიატის თანამშრომლებისათვის — ადგილობრივ.

5) პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის—ადგილობრივ საღ. 8 საათ.

6) რუსულ მუშფაკში — ადგილობრივ საღ. 8 საათზე.

7) ამხ. ლენინის სახ. პოლ. ინსტ. საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის — ადგილობრივ საღ. 7 საათზე.

8) იუსტიციის სახ. კომისარიატის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, „საქ. ჩაის" და ღვინის სარდაფის თანამშრომელთა ოჯახის წევრებისათვის — იუსტიციის სახ. კომისარიატში დღის 2-ნახევ. საათზე.

9) შინ. საქ. სახ. კომისარიატის, უზრ. სახ. კომისარიატის, ამ.-კავ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის, ამ.-კავ. შრომის სახ. კომისარიატის, ამ.-კავ. პროფ. კავშირთა საბჭოს, ხაზინათ კავშირის, „სამშენი"-ს, საქალაქო სამმართველოს და ცენტრალური ამბულატორიის მუშა - მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის — ახ. მუშ. კლუბში.

პარტიული ცხოვრება

დ. ჯილდოვანა ბრძოლის დროშით

ფოთი, 14 თებერვალს. შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) ფოთის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. თოდრიამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკასაგან ფოთის ორგანიზაციას გადასცა წითელი დროშა 1924 წ. აგვისტოს ავანტიურის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისათვის. საერთო კრებამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი აღუთქვამს მას, რომ მაღლა ეჭირება ბრძოლის დროშა სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე.

პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციისათვის

თანახმად საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგ.-საპრ. განყოფილებასთან არსებულ აგიტ-კოლეგიის დადგენილებისა, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში მოწვეული უნდა იქნეს თბილისში არსებულ პოლიტ-სკოლების მსმენელთა კონფერენცია.

ეს კონფერენცია თბილისში მეორეთ ხდება. პირველად ის მოწვეული იყო 1925—26 სამოსწავლო წელში. მაშინ კონფერენციამ საკმაო სარგებლობა მოიტანა. მან გამოამჟღავნა მეცადინეობის პროცესში არსებული დეფექტები და საშუალება მისცა ხელმძღვანელ ორგანიზაციებს აეცილებიათ აღმოჩენილი ნაკლი თავიდან შემდეგ მუშაობაში.

პოლიტსკოლების მსმენელთა მომავალ კონფერენციასაც არ ექნება ნაკლები მნიშვნელობა. კონფერენცია გაარჩევს საკითხს კომუჯრედებისა და პოლიტსკოლების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ეს საკითხი მეტად სერიოზულია, რადგან მიუხედავათ იმისა, რომ პარტგანათლების საქმეს საკმაო ისტორია აქვს, ზოგ კომუჯრედის მუშაკებს კიდევ ვერ შეუთვისებიათ მისი მნიშვნელობა. კონფერენციამ უნდა გამონახოს გზები, იმისათვის, რომ ეს საქმე საბოლოოდ იქნეს მოგვარებული, რომ კომუჯრედებმა საკმაოთ ყურადღება მიაქციონ პოლიტსკოლებს და ხელი შეუწყონ მათ მუშაობას. პოლიტსკოლების მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე მთელი რიგი სხვა ნაკლულოვანებებისა, რომელთაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კომუჯრედები და განსაკუთრებით აგიტ-პროპორგანიზატორები ვერ იცნობენ პოლიტგანათლების საკითხებს, რის გამო ხშირად ვერ უწევენ მას სათანადო ანგარიშს. კომუჯრედი უნდა იცნობდეს უჯრედის წევრის პოლიტ-განათლების დონეს, მას შესწავლილი უნდა ჰყავდეს თითოეული წევრი, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ის სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოს წევრთა განვითარების საქმეს და სათანადო სკოლებში მიამაგროს ჩამორჩენილი ამხანაგები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა საკმაოთ რთულია, მაგრამ უჯრედები შესძლებენ მის შესრულებას, თუ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდებიან პოლიტ-სკოლებს და დაიხმარებენ მათ.

არა ნაკლები ყურადღების ღირსია სკოლების ხელმძღვანელთა შერჩევის საკითხი. წელს ამ მხრივ ყველაფერი ვერ არის რიგზე. სკოლების ხელმძღვანელები ხშირად არ ცხადდებიან მეცადინეობაზე, რაც ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს, როგორც მთლიანად სკოლის, ისე მსმენელთა დასწრების პროცენტის შემცირებაზე და პროგრამის თავის დროზე დამთავრებაზე. წელს მაგალითად, ხელმძღვანელთა დაუდევრობის გამო, ზოგიერთ სკოლებში შესაძლოა ვერც კი იქნეს დამთავრებული პროგრამა. ამ გარემოებას კონფერენციამ უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება, რათა ერთხელ და სამუდამოთ აღმოიფხვრას ეს არა სასურველი მოვლენა.

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე მუშა-პროპაგანდისტთა კადრის შექმნა, რომლის დიდ ნაკლებობას განვიცდით ამჟამად. იმისათვის, რომ მომავალი წლისათვის ჩვენი სკოლები უზრუნველყოფილი იქნეს მუშა-პროპაგანდისტების კადრით. თბილისის კომიტეტთან ამ თავითვე უნდა იქნეს დაარსებული ექვს თვიანი კურსები მათ მოსამზადებლათ. კურსები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საუკეთესო ხელმძღვანელებით და სათანადო ლიტერატურით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ დავსძრავთ ამ საკითხს მკვდარი წერტილიდან და მუშა-პროპაგანდისტების საკმაო კადრის შექმნის საქმე მხოლოდ ოცნებად დარჩება.

კონფერენციის მუშაობის პროცესში კიდევ წამოიჭრება მტკივნეული საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან მათ წესიერ საქმიანობას. თითოეული მათგანის დეტალურად განხილვა და გადაწყვეტა საწინდარი იქნება იმის, რომ ამ საკითხების მუშაობა მომავალში უფრო სწორი კალაპოტით იქნება წარმართული.

ი. ლიბერსონი.

რა ნაკლი ჰქონდა ალმასკომის უჯრედს

(გამომკვლევ კომისიის მასალებიდან)

უჯრედი თავის მუშაობაში ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა პარტიის მორიგ საპირბოროტო საკითხების გარჩევას და მათ გარშემო რაიმე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. იმ 28 ძირითად საკითხიდან, რომლებიც უჯრედს გაურჩევია მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი საკითხი ეხებოდა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, ხოლო ექვსი—დაწესებულების მუშაობის პრაქტიკულ კითხვებს. უჯრედი არ არჩევდა რაციონალიზაციის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს, მაშინ, როდესაც ალმასკომის დაწესებულებები საკმარისად არიან დაავადებული ბიუროკრატიზმის სენით. იმ საკითხების გარშემო, რომლებიც დაუსვამს უჯრედს დაწესებულების მუშაობის შესახებ, არ გამართულა მსჯელობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხანაგებს ვერ გამოუჩენიათ შესაფერი აქტივობა. გამოუტანიათ „დეკლარატიული", ზოგადი ხასიათის რეზოლუციები; რეზოლუციებში არ არის არც ერთი პრაქტიკული მითითება. ასე მაგალითად, მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ მოხსენების გარშემო გამოსულა მხოლოდ ერთი კაცი, რეზოლუცია კი მიუღიათ ასეთი: „ცნობილ იქნას მიზანშეწონილად და თავისდროულად მომჭირნეობის რეჟიმის გატარება..." და სხ.

მაშინ, როდესაც ჩვენი პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ორგანოების აპარატში მუშების დაწინაურების საკითხს, მიაჩნია რა ასეთი გზა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებათ,—ალმასკომის უჯრედი იჩენდა პრინციპიალურად შემცდარ მიდგომას ამ საკითხისადმი. საორგ. კომისიას დაწინაურების მიზნით შესასწავლ ობიექტებათ აუყვანია პირველ რიგში უმუშევრები, შემდეგ თავისი თანამდებობით უკმაყოფილონი და შემდეგ კი სხვები. ასეთი მიდგომით რასაკვირველია, საქმე შორს ვერ წავიდოდა. დაწინაურების შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონია ალმასკომში, მომხდარა უმეტეს შემთხვევაში უჯრედის მონაწილეობის გარეშე.

უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობა საუჯრედო კომისიების მიმართ გამოიხატებოდა მხოლოდ ზოგიერთ კომისიის ოქმების დამტკიცებაში. კომისიები თავს გრძნობდენ სრულიად დამოუკიდებლად და როგორც მოესურვებოდათ ისე მუშაობდენ. მათგან მხოლოდ ქალთა კომისიას ეტყობოდა მეტი სიცოცხლე, დანარჩენების მუშაობა მკრთალი და უფერულია. კომისიების შემადგენლობის უმრავლესობა პ.-მგვპ. მუშაკები იყვნენ, რაც რასაკვირველია, თავის დაღს ასვამდა მათ მუშაობას.

უჯრედის ბიუროს თავი არ შეუწუხებია პარტმუშაობით დატვირთვის სწორი განაწილებით. მუშაობით დატვირთულია ამხანაგების ნაწილი, დიდი ნაწილი კი თავისუფალია ასეთისაგან, თუმცა მათი გამოყენება და მოვალეობათა უფრო თანაბარი განაწილება შესაძლებელი იყო. ბიურო არ აწარმოებდა ცალკე ამხანაგებზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შემოწმებას.

უჯრედის ხელმძღვანელობა პროფმუშაობის მიმართ არ იყო საკმარისი, რის გამოც ადგილკომების ფრაქციები (ზოგ ადგილკომთან ასეთი არც არის ჩამოყალიბებული), არავითარ მუშაობას არ აწარმოებდენ; (გარდა საბჭ. მუშაკების ადგილკ. ფრაქციისა, არც ერთ ფრაქციას ჯერ სხდომა არ ჰქონია).

ნებაყოფლობით საზოგადოებებს ვერ ხელმძღვანელობდა უჯრედი, მათი მუშაობა სუსტი იყო და მხოლოდ საწევრო გამოსაღებთა აკრეფით განისაზღვრებოდა...

ასეთია მოკლეთ ის ძირითადი ნაკლულევანებები, რომლებსაც ადგილი ჰქონია დღემდე ალმასკომის უჯრედის მუშაობაში და რომელთა გამოსასწორებლათ უნდა წარმართოს შემდეგში მთელი თავისი მუშაობა აღნიშნულმა უჯრედმა.

ქ. სურმუშელი.

რა გაკეთდა და რა უნდა გავაკეთოთ

(გორის მაზრა)

ეს კომ-უჯრედი აერთიანებს 30 წევრს და 14 კანდიდატს, მათ შორის 3 ქალია. უჯრედის საქმიანობაში ყველა წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. წინად კრებებს ყველა არ ესწრებოდა, ხმაურობა და უწესრიგობა იყო და სხვა. რაც ხელს უშლიდა მის ნორმალურ საქმიანობას. ამჟამად მდგომარეობა სავსებით შეცვლილია. უჯრედის წევრი იშვიათად აკლდება სხდომას და კრებაზეც სრული წესრიგი სუფევს.

წევრთა შორის მუშაობა თანაბრად არის განაწილებული, სისტემატიურად მიმდინარეობს კრებები, რომლებზედაც ისმება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. მოხსენებებს აკეთებენ სხვადასხვა დარგში მომუშავე უჯრედის წევრები. მოსმენილ იქნა მაგალითად მოხსენება სადგილმამულო განყოფილების გამგის, სამშენებლო კავშირის თავმჯდომარის, თვით მშრომელთა კავშ. თავმჯდომარის, გამსახლის უფროსის და სხვა, რაც დიდ ინტერეს იწვევს წევრთა შორის.

პოლიტ-განათლებას სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული. უჯრედიდან პოლიტ-სკოლაზე მიმაგრებული ამხანაგები მეცადინეობაზე დაიარებიან სისტემატიურად, უჯრედის შემადგენლობის 90 პროც. გამოწერილი აქვს სხვადასხვა ჟურნალ გაზეთები, რითაც ხელს უწყობენ, როგორც თავიანთ განვითარებას, ისე გამოცემლობის გავრცელებას.

ბიურო ყურადღებით ეპყრობა, აქტიურ და ასაკ გადაცილებულ კომკავშირელების პარტიაში მიღებას. უჯრედი იზრდება უმთავრესად მოჯამაგირეთა ხარჯზე. უჯრედს კავშირი აქვს დაჭერილი ერთ-ერთ სოფლის კომ-უჯრედთან და მიმაგრებული ჰყავს აქტიური ამხანაგი. უპარტიოებთან დამოკიდებულება კარგია. უპარტიო ამხანაგების საკმაო რიცხვი ესწრება კომუჯრედის ღია კრებებზე.

უჯრედს აქვს სკოლაც. პარტყრილობების და კონფერენციების რეზოლუციების შესწავლას არ აქცევდა სათანადო ყურადღებას; ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს, არ სწარმოებს პოლიტშეკითხვები, წევრების ახლათ მიღების ან კანდიდატობიდან გადარიცხვის დროს, და სხვა. უჯრედში ირიცხებოდა 22 კანდ.. და 19 წევრი ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ბიურომ სტაჟ გავლილი კანდიდატები უკვე გადარიცხენ პარტიის წევრებათ.

გ—ი.

მუშათა ცხოვრება

საწარმოო თათბირების მუშაობა ბორჯომის წარმოებებში

ბორჯომში ითვლება სულ 15 სხვადასხვა ხასიათის წარმოება-დაწესებულება. აღნიშნულ წარმოება-დაწესებულებებში ითვლება 68 საწარმოო და ეკონომ-თათბირი.

საწარმოო თათბირებს გასულ წელში ჰქონდა 54 სხდომა, რომელზეც გაირჩა 221 საკითხი.

საწარმოო თათბირების მიერ გამოტანილ დადგენილების თანახმად ახალდაბის სახერხ ქარხანაში ამუშავებულ იქნა ახალი დაზგა, რომლის გაკეთება დაჯდა სამასი მანეთი, ხოლო ყოველდღიური მოგება უდრის 400 მანეთს.

იქვე გაკეთდა ჩარდახი „პლატფორმა", რომლის გაკეთებამდე მუშა-მოსამსახურენი ცდებოდენ მუშაობას და ქარხნის ზარალი ყოველდღე უდრიდა 50 მანეთს, ხოლო დღეს ზარალის მაგიერ ქარხანას აქვს მოგება, რადგანაც ჩარდახის გადახურვის შემდეგ არ სველდება ლედები და სხვა მასალა.

აქვე მოხდა ნარდ სამუშაოზე გადასვლა, რის გამო ამჟამად ყოველდღიურად ერთ ცვლაზე იხერხება 1700—1800 კვად. ვერშ. მასალა, რაც ნარდ სამუშაოზე გადასვლამდის იხერხებოდა ორ ცვლად; ერთ ცვლად მუშაობს 79 კაცი, ხოლო ორ ცვლად 100 კაცი. ორ ცვლად მუშაობის დროს, როგორც მუშების ხელფასი, აგრეთვე სხვა იხარჯებოდა მეტი ვიდრე დღეს. დღეს ქარხნის ყოველდღიური მოგება უდრის 300 მანეთს.

საწარმოო თათბირების მიერ მიცემული მნიშვნელოვანი წინადადებები შემდეგია:

1) სანატორიუმებში საღი და ახალი რძის მისაწოდებლად ფერმის მოწყობა ბორჯომში. 2) ცემში სანატორიუმთან ფუტკრის მოშენება, საიდანაც საკურორტო სამმართველო სანატორიუმებისათვის მიიღებს თაფლს. 3) ელსადგურისათვის წყლის არხის შეკეთება, ურომლისოდაც ელსადგური იძულებული იყო აემუშავებია მანქანა „დიზელი" მაზუთით, რაც დიდ ხარჯებს იწვევდა. 4) მინის ქარხანაში სპეციალური ჩარდახის გაკეთება ნედლი მასალის შესანახად. 5) მინის ქარხნის ჩამწყობ განყოფილებაში მჟავე წყლით სავსე ყუთების საზიდის გაკეთება. 6) აქვე იატაკის შეკეთება, რომელიც ხელს უშლიდა წყლის ზიდვას და ბოთლები იმტვრეოდა.

სულ—ძე.

შეგირდები უმასალოთ

(თბილისის საყუდი)

თბილისის საყუდში რკინის გზის პროფკავშირის მზრუნველობის ქვეშ გამოგზავნილია ხელობის შესასწავლად 58 შეგირდი. მზრუნველობა იმაში გამოიხატება, რომ ყოველი საჭირო მასალები, როგორც მაგალითად: თუნუქი, რგვალი რკინები. კალა, ზეთი: და სხვა უნდა მიაწოდოს რკ. გზის პროფკავშირმა. მაგრამ სამწუხაროდ ეს არ ხდება, და უმეტეს შემთხვევაში მთელი საშეგირდო გუნდი თავისი მწვრთნელით ხელდაკრეფილი სხედან უმასალობის და უიარაღობის გამო. თუმცა მათი ინსტრუქტორი მწვრთნელი მთელი დღეობით დარბის, ხან საყუდის უფროსთან, ხან სხვა ბრიგადირებთან, რომ იშოვოს სადმე რაიმე მასალა. მაგრამ აქაც ბევრი წვალება და ლოდინის შემდეგ მიზანს ვერ აღწევს. პროფკავშირმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, თორემ შეგირდები თავის დროზე ვერ ჩააბარებენ გამოცდას და რკინის გზისათვის დიდი ზარალია მათი უნაყოფოდ შენახვა, ვინაიდან ყველას ჯამაგირი ეძლევა.

მუშკორი ძია—ლევან.

ხულიგნები რკინის გზაზე

8 თებერვალს სადგურ მილაანის სადგურის წინ ხულიგნებმა გამართეს ჩხუბი და ერთმანეთს ქვებით თავი გაუტეხეს.

დროზე გაიგო ეს მილიციამ, რომელმაც ეს ხულიგნები დააპატიმრა და გადასცა გურჯაანის სახალხო სასამართლოს. იმედია სასამართლოს თავმჯდომარე ამ ხულიგნობისთვის შესაფერისათ დასჯის.

სურამულაპირელი.

რაშია საქმე

(ალმასკომის საყურადღებოთ)

ჭავჭავაძის ქ. № 20 სახლში მყოფ მდგმურებს ყოველ წუთს მოელით უბედურება სახლის კედლების გარღვევის გამო. ალმასკომმა ან უნდა მისცეს წინადადება სახლის პატრონს რომ საჩქაროდ შეაკეთოს შენობა, ანდა ჩამოართვას სახლი და გადასცეს საბინაო ამხანაგობას. ეს საკითხი საჩქაროთ მოსაგვარებელია.

მეთვალყურე.

[illegible]

თბილისის მე-9-ე სამილიციო უბნის უმცროსი მილიციონერი გოგიძე საგუშაგოზე მორიგეობიდან განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა თავის ბინაზე, გამოიცვალა ტანისამოსი და ისვენებდა.

ამ დღეს მის სახლის მეპატრონეს, კერძო ვაჭარს, გამართული ჰქონდა ვახშამი, რომელზედაც მოწვეული იყო მეცხრე სამილიციო უბნის უფროსი გორდაძე.

როცა გორდაძემ გაიგო, რომ ამ სახლში ცხოვრობდა მისი რაიონის მილიციონერი, მოითხოვა დაეძახათ მისთვის.

— დაჯექი და ჩვენთან ივახშმე—უბრძანა გორდაძემ.

ვახშმის დროს მე-9-ე უბნის მილიციის უფროსი თავის ხელქვეითს ნებას არ აძლევდა ჭიქა გამოუცლელი დაეტოვებია და კამპანიას „ჩამორჩენოდა".

გოგიძე, რომელიც ღვინის სმას არ იყო ნაჩვევი, ჩქარა დათვრა და თავისი უფროსის ბრძანებით წავიდა სახლში დასაძინებლად.

გოგიძის წასვლის შემდეგ სახლის პატრონისას კვლავ გრძელდებოდა ქეიფი.

მე-9-ე რაიონის მილიციის უფროსი, რომელიც საშინლად დათვრა წაეჩხუბა ნეპმანის სახლში მყოფ სტუმრებს შორის ერთ-ერთ იმავე რაიონის მილიციელს—ამაშუყელს და რევოლვერით იქვე მოკლა იგი. სტუმრები გაიქცნენ. მკვლელი დააპატიმრეს.

შემთხვევის ადგილას დასაკითხავად გამოძახებულ იქმა გოგიძე. ის ნახეს თავის ბინაზე მძინარი. ის იმდენად მთვრალი აღმოჩნდა, რომ გაღვიძებაც კი ვერ შესძლეს მისი.

თბილისის მილიციის უფროსის ბრძანებით გოგიძე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. სამსახურიდან დათხოვნა დასაბუთებული იყო მით, რომ გოგიძემ სახლის პატრონის ბინაზე გამართულ ქეიფში მონაწილეობა მიიღო და დათვრა.

გოგიძის დათხოვნის საკითხი დაისვა განსახილველად საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეების კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე. საკითხის განხილვის დროს მილიციის ადმინისტრატიული განყოფილების წარმომადგენელმა დაიცვა ის აზრი, რომ სავსებით სამართლიანი იყო განკარგულება გოგიძის დათხოვნის შესახებ და განაცხადა:

მთვრალ მილიციონერს არ შეუძლია წესრიგის დაცვა, რაც მას ევალება, როგორც თავის მოვალეობის აღსრულების დროს ისე ყოველთვის, თუნდაც ის მუშაობიდან თავისუფალი იყოს. მილიციონერს სახლშიაც, სამსახურშიაც, საგუშაგოზედაც უნდა ახსოვდეს, რომ ის არის მილიციონერი, იმ ორგანიზაციის წევრი, რომელიც მოწოდებულია დაიცვას წესრიგი.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმი არ დაეთანხმა ამას და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„გოგიძის საქციელში არ არის ისეთი საბუთი, რომელიც იძლევა მისი ადმინისტრატიული წესით დასჯის საბაბს. ამ შემთხვევაში გოგიძის საქციელი არ სცილდება ნორმალურ მოვლენის საზღვარს. არავითარი კანონი თავისი საქციელით მას არ დაურღვევია. ამბავი, რომელიც დატრიალდა ამ საღამოს სახლის პატრონის ბინაზე მას არ შეეძლო გაეთვალისწინებია, არ შეეძლო აგრეთვე მისი თავიდან აცდენა".

ამის გამო კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გოგიძე აღდგენილ იქნეს თანამდებობაზე, როგორც უკანონოდ დათხოვნილი.

კავშირის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი გოგიძის დათხოვნის შესახებ გამოტანილ ამ დადგენილებას არ დაეთანხმა და იმ აზრს იცავდა, რომ დათხოვნა სამართლიანია ვინაიდან გოგიძის მონაწილეობა იმ ქეიფში, რომელიც კერძო ვაჭრის ბინაზე გაიმართა და რომელიც მკვლელობით დამთავრდა—სახელს უტეხს და ხრწნის მუშურ-გლეხურ მილიციას.

ს—კ.

საქმის გართულება

თბ. საყუდის ადგილკომმა გაგზავნა ანკეტები 3 თებ. 1927 წ. № 100-13 უბკავშირში სტატისტიკოს კუპრაძემ უკან დააბრუნა ეს ანკეტები შემდეგი მოტივით: „ამ მასალებს უნდა თან დაურთოთ საერთო კრების ოქმის ის მუხლი, რომელშიც აღნიშნულია სიაში მოხსენებულ ამხ. დამტკიცება". როდის ყოფილა შემთხვევა, რომ ოქმის ამონაწერი დამატებათ გაგზავნილიყოს, როდესაც ოქმი წინდაწინვე იგზავნება. რაღ დასჭირდა ზედმეტი მიწერ-მოწერის შექმნა კუპრაძეს?

მუშკორი ფ—ი.

სადგურში ნელა შედით!

(რკინის გზის მემანქანეების საყურადღებოდ)

ძველ მემანქანეებს უსათუოდ ესხომება ყველასათვის საყვარელი, ტკბილი და უწყინარი ივანე ივანესძე უდანოვი. როგორც უფროსი მემანქანე და დამრიგებელი, ამოვიდოდა თუ არ ეს პატივცემული პიროვნება ორთქლმავალზე—პირველად გაშინჯავდა წყალს მაჩვენებელ შუშის ონკანებს, ხომ ადვილად იკეტება და იღება. შეხედავდა ორთქლის რაოდენობის მაჩვენებელ წნეხომს, იკითხავდა მცველა სარქველის სისწორეს და როცა მიიღებდა დამაკმაყოფილებელ პასუხს მაშინვე ეტყოდა მემანქანეს.

„სადგურში ნელა შედი".

აი ნელა შეხვალ სადგურზე მატარებელი შენს ხელშია.

რაც უნდა მოხდეს; დე მოუვიდეს შეცდომა სადგურის მორიგეს, ან მეისრეს, დეე მატარებელს ქვეშ გადაიყვანონ ისარი—დიდი უბედურება არ მოხდება.

დეე მიგიღონ უკვე სხვა მატარებლით დაჭერილ ლიანდაგზე—შენ მოასწრებ გაჩერებას. ნუ გაქვს მემუხრუჭეების იმედი, განსაკუთრებით ღამე. იყავ მზათ ყოველ შემთხვევისათვის, სადგურში შესვლისას—უცბად გააჩერო შენი მატარებელი.

ამას შეიძლებს ის მემანქანე, რომელიც სადგურში ნელა შევა".

აი ჩვენი ძვირფასი ივან ივანესძე უდანოვის დაუვიწყარი სიტყვები. ამის დამწერი ხედავს და ამჩნევს, რომ ძველი მემანქანეები ამ სიტყვებს არ ივიწყებენ, ხოლო ამასვე ვერ ვიტყვი ახალგაზრდა ამხანაგებზე.

ზოგიერთს სადგურში ჩქარა შეჭრა სიყოჩაღეთ მიაჩნია. ის ამაყათ გადმოიცქირება ორთქლმავლიდან: დახეთ რა ბიჭი ვარ. რა რიხით შემოვედი!..

აი ასეთებს უნდა მოვაგონო გამოცდილი მასწავლებლის სიტყვები:

სადგურში ნელა შედი და მატარებელი შენს ხელშია.

დავამტკიცოთ ნათქვამი ახლო ხანში მომხდარი ორი მაგალითით:

ამ ერთი კვირის წინათ შუაღამეზე სადგურ აქსტაფაში საქონლის მატარებელი მიიღეს სხვა მატარებლით დაჭერილ ლიანდაგზე. ეს შეცდომა მოხდა მეისრის დაუდევრობით. ის იდგა ისარზე, მაგრამ ვერ შეამჩნია საით უშვებოდა მატარებელს.

მეისრის შეცდომა გამოაკეთა თბილისის საყუდის მემანქანე ვარაბიოვმა.

გამოაკეთა იმიტომ, რომ ის სადგურში ნელა შევიდა. შენიშნა და მატარებელი დროზე შეაჩერა.

ამ სამი დღის წინათ აგრეთვე შემთხვევა მოხდა თბილისის სადგურზე. აქაც მიიღეს ავჭალიდან მომავალი მატარებელი უკვე ვაგონებით დაკავებულ ლიანდაგზე.

გასაკვირალია რომ აქაც მოდიოდა იგივე მემანქანე ვარაბიოვი.

ამ მუყაითმა მემანქანემ აქაც გადაარჩინა რკინის გზა უბედურებას და ზარალს.

აბა წარმოიდგინეთ ამხანაგო მემანქანეებო. რომ ვარაბიოვი ჩქარა მონავალიყო. რაც მოხდებოდა ადვილი წარმოსადგენია.

მუშური მადლობა ამხ. ვარაბიოვს მუშკორისაგან.

სხვებმა-კი არ დაივიწყოთ:
სადგურში ნელა შედით!

ძველი მემანქანე.

მუშათა ქრონიკა

— **ლექცია.** შაბათს, 12 თებერვალს თუთუნის ქარხანა „პროლეტარის" მუშებში წაკითხულ იქნა ლექცია „გრიპი"-ს შესახებ.

— **საბავშვო დილა.** კვირას, 13 თებერვალს ამავე ქარხნის მუშების ბავშვთათვის გამართა ბავშვთა დილა.

— **კოლოფების ფაბრიკაში.** კოლოფების ფაბრიკა „ინტერნაციონალმა" იანვრის განმავლობაში თამბაქოს ტრესტის ქარხნებისათვის დაამზადა სხვადასხვა მარკის 2.532,117 კოლოფი.

— **ცოცხალი გაზეთი.** თუთუნის ქარხანა „პროლეტარის" კულტკომისიამ დაარსა ცოცხალი გაზეთი „პიშჩევიკი".

— **ხელშეკრულება.** ამავე ქარხნის ქარხკომმა განიხილა და მიიღო ახალი კოლექტიური ხელშეკრულება.

— **თუთუნი.** რ. ლიუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხანამ იანვრის თვეში დაამზადა 41.343.000 ცალი პაპიროსი და 1848 კოლოფი თუთუნი.

ყრილობები და თათბირები

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

13 თებერვალს სწარმოებდა კამათი ამხ. ვარდანიანის მოხსენების გარშემო სასამართლო აპარატის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შონიამ, ვარძიელმა, ბაღდასაროვმა, მელქუმიანმა, ველიბეკოვმა, იველევმა, ტალახაძემ, სტეფანოვმა, კაჭარავამ და ვართაპეტიანმა.

გამოსული ამხანაგები ეხებოდენ უმთავრესად სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და საშუალებათა სიმცირეს.

ორატორები ეთანხმებოდენ მომხსენებელს იმაში, რომ სასამართლო დაწესებულებებში ადგილი აქვს საქმის წარმოების სინელეს და ნაწილობრივ საქმის გაჭიანურებასაც. ამხ. ველიბეკოვი და ვარძიელი საქმის წარმოების სინელის ერთ-ერთ მიზეზად სთვლიან შტატების სიმცირეს და სასამართლო მუშაკების არასაკმაო მატერიალურ უზრუნველყოფას.

სასამართლო ორგანოებმა, ამხ. ვარძიელის აზრით, თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ საერთოდ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული იქნეს თვით ცნება „ბიუროკრატიზმი", რათა მოსამართლეებს შეეძლოთ მსჯავრის დადება ბიუროკრატიზმისათვის.

ამხ. კაჭარავას პროექტს, რომელიც ვულისხმობს სასამართლო აპარატის რეორგანიზაციას—საოლქო სასამართლოების გაუქმებას და სამაზრო სასამართლოების შექმნას ერთიან საკასაციო ინსტანციით, გამოსული ორატორები თანაგრძნობით შეხვდენ.

სასამართლო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას თათბირის მონაწილეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ.

ამხ. ვარძიელი შეუძლებლად სცნობს მოკლე ვადიან კურსების მოწყობას, რადგან სამისო თანხები არ იქნა გაღებული; მისი აზრით იუსტიციის მუშაკთა კადრის შესავსებად საჭიროა შეთანხმება უმაღლეს სასწავლებლებთან, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან.

ორატორების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სასოფლო-სასამართლოების დაარსების, რადგან ეს იქნებოდა სახალხო სასამართლოების ინსტიტუტის ნაწილობრივ აღდგენა, რაც, რასაკვირველია ეწინააღმდეგება პროლეტარულ სახალხო სასამართლოს სისტემას.

თათბირის დახურვა

14 თებერვალს მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რის შემდეგ თათბირი დაიხურა (ადს).

„ზაკსოიუზი"-ს საბჭოს მეოთხე სესია

მეოთხე სხდომა

13 თებერვლის დილის სხდომაზე სესიამ მოისმინა ამხ. პიჩიკიანის 2 მოხსენება—საცალო ფასების დაკლებისა და საპაიო კაპიტალის შესახებ.

საცალო ფასების დაკლება

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ სამეურნეო წლის განმავლობაში მთელ ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ სისტემაში ფასებმა დაიკლო 1-დან ორ პროცენტამდე.

ფასების დაკლების საკითხმა დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ორატორები მიუთითებენ მთელ რიგ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიდენ გასულ წელს ფასების დაკლებას. კერძოთ აღინიშნულ იქნა, რომ საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის და ბათომის განყოფილებების ლიკვიდაციამ მძიმე პირობები შექმნა ადგილებზე საქონლის მიღებისათვის. სინდიკატის მიერ ბათომში და ქუთაისში წვრილმანათ საქონლის გაყიდვის შემოღებამ შექმნა ერთგვარი პარალელიზმი მუშაობაში.

ამხ. ბუქრეევი აღნიშნავს, რომ საცალო ფასების დაკლება აქამდე ტარდებოდა კოოპერაციის ხაზით და იგი გატარებულია სრული 100 პროცენტით. მომავალში ფასების დაკლება უნდა გატარდეს არა მარტო კოოპერაციის ხაზით, არამედ თვით მრეწველობის ხაზითაც. ამ საკითხს უნდა მიაქციოს ყურადღება შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა.

საპაიო თანხები

ამხ. პიჩიკიანი აღნიშნავს, რომ კოოპერაციის სადღეისო ამოცანას წარმოადგენს საკუთარ თანხების დაგროვება. ამის მიღწევას კი იგი შეიძლებს საპაიო თანხების მოზიდვით.

აქამდე თანხების დაგროვება კოოპერაციაში ხდებოდა მოგებათა ანგარიშზე. მომავალში ასეთი პოლიტიკის გაგრძელება შეუძლებელია და საჭიროა მხოლოდ საპაიო თანხებზე დაყრდნობა.

მომხსენებელს მომავალში საჭიროდ მიაჩნია საპაიო ნარჩენების სრული ლიკვიდაცია და აყენებს ლოზუნგს, რომ 1926—27 წლის 1 ოქტომბრისათვის საპაიო თანხა მუშათა კოოპერაციაში უნდა უდრიდეს—10 მანეთს და დანარჩენი სახის კოოპერაციაში—5 მანეთს.

კომისიები

სესიამ აირჩია ორი კომისია, ამხ. ბუქრეევის და მეორე ამხ. პიჩიკიანის მოხსენებების მიხედვით კონკრეტულ ღონისძიებების შესამუშავებლად.

14 თებერვლის დილის სხდომა მთლიანად მოუნდა კომისიების მუშაობას.

მეხუთე სხდომა.

რეზოლიუციების განხილვა.

14 თებერვლის საღამოს სხდომაზე სესიამ განიხილა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები: გამგეობის მუშაობის, საორგანიზაციო მუშაობის, ფასების დაკლების და საპაიო თანხების შესახებ.

თითოეულ რეზოლიუციის გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ისინი მიღებულ იქნენ სათანადო შესწორებების შემდეგ.

ამხ. ბუქრეევის საბოლოო სიტყვა.

ყრილობის დახურვის წინ სიტყვით გამოვიდა „ზაკსოიუზ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბუქრეევი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „ზაკსოიუზ"-ის საბჭოს მეოთხე სესია ჩატარდა უაღრესად საქმიანად.

მან აღნიშნა, რომ ცალკე მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები საკითხებს უდგებოდენ ზედმიწევნით პრაქტიკულად.

ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. ბუქრეევი იმედს გამოსთქვამს, რომ სესიაზე გამოაშკარავებული ნაკლულოვანებანი ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში და მათ გამოსასწორებლად მიღებული პრაქტიკული ღონისძიებანი გატარებული იქნება ცხოვრებაში საბჭოს წევრების მიერ ადგილებზე დაბრუნების შემდეგ.

ამის შემდეგ „ზაკსოიუზ"-ის საბჭოს მეოთხე სესია დაიხურა.

სატელეფონო ქსელის გაუმჯობესება

(საუბარი ამხ. ე. კვანტალიანთან)

მოსკოვიდან დაბრუნდა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამ.-კავკასიაში ამხ. ე. კვანტალიანი. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. კვანტალიანმა განაცხადა შემდეგი:

არსებულ სახალხო კავშირის გაუმჯობესების აუცილებლობა, გვაიძულებს, შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების გადაწყვეტა. ზემო თქმული განსაკუთრებით შეეხება ადგილობრივ (ქალაქის) სატელეფონო ქსელებს. როგორც ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის სპეციალური კომისიის ისე, ამიერ-კავკასიის სამმართველოს გამოკვლევის მიხედვით, ქალაქის სატელეფონო ქსელები, ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მიერ ცნობილია სრულიად არა დამაკმაყოფილებლად.

მაგალითად თბილისისა და ბაქოს სადგურების მოწყობილობა სრულიად გაცვეთილია, ხაზები საჭიროებენ შეკეთებას და გარდა ამისა, ეს სადგურები გადატვირთულია ზომაზე მეტად, რის გამო მათ არ შეუძლიათ შეიერთონ ახალი აბონენტები.

ამასთანავე, აღნიშნულ სადგურების კონსტრუქცია ძლიერ მოძველებულია (უნდა ითქვას, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ამ ჟამად არსად არ არსებობს თბილისის სისტემის [illegible] სადგური). ხარჯების გაწევა მათ განვითარებლად, ახალი აბონენტების შეერთებისათვის სრულიად მიზანშეუწონელია. აუცილებლად არის ცნობილი ავტომატიურ ქსელზე გადასვლა.

საკითხი ბრკოლდებოდა მიმდინარე წლის ბიუჯეტის სიმცირის გამო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, თბილისის სადგურის მიმართ გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან ნახულია ა.-კ. სახკომსაბჭოს დახმარებით, რომელიც ფ.-ტელეგრაფის სამმართველოს აძლევს გრძელვადიან სესხს—300.000 მანეთის რაოდენობით. ეს გვაძლევს საშუალებას მიმდინარე წელშივე შევუდგეთ საჭირო სამუშაოებს.

ბაქოს სადგურისათვის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი ამ წელს იძლევა 200.000 მანეთზე მეტს, მისი შეკეთებისა და განვითარებისათვის და 1000 ახალი აბონენტის შესაერთებლად.

მიუხედავად ამისა, საკითხი ბაქოს სადგურის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად. ცნობილია აუცილებლად ბაქოში ავტომატიურ სადგურის მოწყობა.

ასე მწვავედ არ სდგას ერევნის სადგურის საკითხი, რომელიც გასულ 1926 წელში გადაკეთებულ იქნა ცენტრალური ბატარეის ორგამტარ სისტემაზე. მიუხედავად ამისა მეორე რიგში, სამუშაო გეგმაში შეტანილია ამ სადგურის გადაყვანაც ავტომატიურ სისტემაზე.

სამოქალაქო მშენებლობის მხრივ გათვალისწინებულია, ა.-კავკასიის მთელ რიგ პუნქტებში დაწესებულებებისათვის შენობების აგება. როგორც მაგალითად: ხაჩმაზში, ევლახში, წნორის-წყალში, კალაგირაში, ახალ-სენაკში, ნატანებში, გორში, ჭიათურაში და სხვაგან.

ამის გარდა განზრახულია ფ.-ტელეგრაფის რკინის-გზის კანტორის აგება თბილისში.

გამოტანილია აგრეთვე მთელი რიგი ზედმიწევნით სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, სახელდობრ: ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ, როგორც სამმართველოში, ისე ადგილობრივ ოპერატიულ დაწესებულებებში. ეს გარემოება საშუალებას იძლევა გამოვიმუშაოთ ჯამაგირების ნორმა სამმართველოში, ხოლო ადგილებზე კი რამდენათმე გავადიდოთ ხელფასი, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ხელფასი ნაწილობრივ ჩამორჩენილია.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ცენტრალურ კომისიის მოხსენება. ჩატარებულ მუშაობის შესახებ—მოიწონა მისი მუშაობა და კომისიის მუშაობის გასაძლიერებლად მიიღო შემდეგი ღონისძიებები:

1. კომისიამ თავის მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს ისეთი დაწესებულებათა და წარმოებათა გახსნა, რომლებიც, ერთის მხრივ ხელს შეუწყობენ ქალთა შორის კვალიფიკაციის ამაღლებას (ქალები ჩაბმული უნდა იქნენ წარმოების ისეთ დარგებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი შრომის გამოყენება, მაგალითად, ტყავეულობის, ქიმიური-საღებავის, ფეხსაცმელების, ნოხების და სხვ. წარმოებაში) და, მეორეს მხრივ, გახსნილ იქნეს ისეთი წარმოებები, რომელნიც გააუმჯობესებენ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებას და ვაუკაფავენ მათ გზას დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ (ბავშვთა ბაღები, ბაგები, საზოგადო სამრეცხაოები, სასადილოები და სხ.).

2. მკერავთა კოლექტივი შეუერთდეს ქალთა დროებით თავშესაფართან არსებულ მკერავთა სახელოსნოს.

3. წინადადება მიეცეს მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას აწარმოოს მკაცრი აღრიცხვა ეროვნულ და სოციალური—იმ ქალებისა, რომელნიც კომისიის მიერ იგზავნებიან სამუშაოზე, ან მიმართავენ უკანასკნელს დახმარებისათვის.

4. გადათვალიერებულ იქნეს ყველა კოლექტივების შტატები.

5. გაძლიერებულ იქნეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

6. გაძლიერებულ იქნეს ყოველდღიური კავშირი პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხ. სათანადო უწყებებთან.

7. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის გამაუმჯობესებელ კომისიამ გადასცეს სათანადო თანხები მაზრებს იქ არსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა დასახმარებლად, რომელნიც ხელს უწყობენ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებას და აგრეთვე ანიჭებენ მათ დამოუკიდებელ ცხოვრების შესაძლებლობას, როგორიც არის: ბავშვთა ბაგები, სამრეცხაოები, სასადილოები, არტელები და სხვ.

8. მოწყობილ იქნეს თბილისის მაზრაში მებოსტნეობისა და მებაღეობის სასოფლო-სამეურნეო არტელები.

9. რომ სწორად იქნეს დაყენებული საქმის წარმოება ადგილებზე გაძლიერებულ იქნეს კომისიის მიერ ხელმძღვანელობის გაწევა (წერილობითი და ცოცხალი კავშირი) აფხაზეთის, აჭარისტანის და ქუთაისის კომისიებისათვის.

ლიუქსემბურგის ქალაქათ დამტკიცება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, ქალაქი ლიუქსემბურგი ცნობილ იქნა ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად (დაბად).

ემუქრება თუ არა

გრიპი თბილისს

თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით გრიპი თბილისში არ არის. ქალაქში შემჩნეული ავადმყოფობა წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივ სახის ინფლუენცას და გრიპის მაგვარ დაავადებას სუსტ ფორმებში, რაც ჩვეულებრივია თბილისში. აღნიშნული ავადმყოფობანიც ფეხს ვერ იკიდებენ. ამგვარათ გრიპის მხრივ თბილისი ჯერ-ჯერობით უშიშარ მდგომარეობაშია. რაც შეეხება წინასწარი ზომების მიღებას გრიპის წინააღმდეგ, ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ მხრივ ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა: წარმოება-დაწესებულებებში წაკითხულ იქნა ლექციები გრიპის მოვლენებისა და მისი თავიდან აცილების შესახებ; გამოცემულია პოპულიარული ბროშურები, საავადმყოფოებში გადიდებულ იქნა საწოლების რიცხვი და სხ.

კოოპერატ. განათლება

საქართველოს კოოპერატიულ საბჭოში აღძრულ იქნა საკითხი სექციის შევსებაზე საბინაო და შინამრეწველობის კოოპერაციათა წარმომადგენლობით.

კოოპერატიულმა საბჭომ მიიღო ეს წინადადება და სექციის შემადგენლობაში, რომელშიაც შედიოდენ მხოლოდ ცეკავშირის, „სოფლის კავშირის" და საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლები, შეიყვანა აგრეთვე საქართველოს საბინაო-სამშენებლო და შინა-მრეწველობის კოოპერაციის წარმომადგენლები.

საბჭოში მოსმენილ იქნა სექციის 1925—26 სამოსწავლო წლის ანგარიში.

გამოირკვა, რომ კურსებზე გასულ წელს ყოფილა—65 მსმენელი.

კურსების გამგეთ დამტკიცებულია შ. გოგებაშვილი.

ვენახების აღსადგენად

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს მთელი რიგი სანერგეები.

პირველ რიგში ახალი სანერგეების გაშენება გადაწყვეტილია სოფ. სალხინოში, ზუგდიდის ახლო, ბაღდათში და ბელოჩაურში (დუშ. მ.) ამავე დროს არსებულ სანერგეებს დაევალათ მომავალი სეზონისათვის დაამზადონ რაც შეიძლება მეტი ნამყენი ვაზი. ახალი ვენახების გაშენება დაიწყება მარტიდან.

გარდა ამისა ნამყენი ვაზების დამზადებას აწარმოებენ აგრეთვე უკვე არსებული მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურები. მარტო საქართველოს საცდელმა სადგურმა დაამზადა 26.179 ცალი ნამყენი ვაზი და 21.000 მეტრი ამერიკული საძირე ვაზი.

მევენახეობის აღდგენის საქმის დასაყენებლად ფართო ნიადაგზე გადაწყვეტილია გაიხსნას ვაზის მცნობის მუშაკთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. მარტო თელავის მაზრაში კურსები გაიხსნება ოთხ ადგილას და სიღნაღის მაზრაში—4 ადგილას.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

ციკლონი, რომელიც გადმოვიდა ჩვენში იტალიის სანაპიროებიდან, დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და შეურთდა ჩრდილოეთის ციკლონს. ამით იყო გამოწვეული დიდი თოვლიანობა.

ამ ორი-სამი დღის წინ თოვა შესწყდა და ამოვარდა ქარი. ზოგან ქარი მეტად ძლიერი იყო. თოვლი წელს ისეთ ადგილებში მოვიდა, სადაც იშვიათად მოდის.

თოვლის სიღრმე სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა გვარია. მაგალითად: ბორჯომში იგი აღწევს 35—45 სანტიმეტრს, ბათომში—ნახევარ მეტრს აჭარბებს, ქუთაისში—10 სანტიმეტრს უდრის, სურამის უღელტეხილზე—40—50 სანტიმეტრს აღწევს, გორში—20 სანტიმეტრს, გუდაურში (საქ. სამხედრო გზა)—1 მეტრს და 25 სანტიმეტრს, ტყიბულში—1 არშინს და სამტრედიაში—8 ვერშოკს.

ქარბუქი

ქარბუქი მძვინვარებდა განსაკუთრებით რკინიგზებზე.

13 თებერვალს ქარბუქს ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის ხაზზე აჯიკაბულ-იებათის შუა. ქარი თოვლს ხვეტდა მიწიდან და აყრიდა ისრებს. ისრების გასაწმენდად ამ რაიონში გამოიყვანეს მუშები. სადგ. ხურდალანში ნამქერმა დაფარა ხაზი. იქ მუშაობდა ბაქოდან გამოგზავნილი 80 ადგილობრივი მუშა, ბალაჯარაში გზის გაწმენდაზე მუშაობდა—100 მუშა. შემდეგ ისინი შეცვალეს წითელ-არმიელებმა.

გრიგალმა გააჩერა მატ. № 18. ქარბუქმა გავლენა იქონია სამანევრო მუშაობაზე. ქარბუქია ჯანმაღლობაში, აღნიშნულ უბანზე მორიგეობდა 2 თოვლმწმენდი.

აფხაზეთში

სოხუმი, 14 თებერვ. რამოდენიმე დღეა თოვს. 13 თებერვალს ნოვოროსიისკიდან სოხუმში მიმავალი გემი პირდაპირ ბათომში შევიდა ცუდი ამინდის გამო.

14 თებერვალს იყო ყინვა, რომელმაც 8 გრადუსამდე მიაღწია (ადს).

ნუხაში

ნუხა, 14 თებერვ. სამი დღეა განუწყვეტლივ თოვს. მრავალ ადგილას დაინგრა სახლები. თოვლის სიღრმე 1 ნახ. მეტრს აღწევს, მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში ერთ მეტრზე მეტია. პროდუქტების შემოტანა ქალაქში მახლობელ სოფლებიდან, შესწყდა (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

თოვლში ჩაფლული მატარებელი

14 თებერვალს ღამით ნავთლუღ-ველის შუა (აღმოსავლეთის ხაზი) თოვლში ჩაეფლო საქონლის მატარებელი. იგი გაჩერებული იყო გზაში 14 საათის განმავლობაში.

თბილისიდან გაგზავნილმა მუშებმა მატარებელი გაანთავისუფლეს თოვლიდან და იგი ჩამოვიდა ნავთლუღში.

ჭიათურის ხაზზე

ქარბუქი მძვინვარებდა აგრეთვე ჭიათურის ხაზზეც. 12 თებერვალს, ქარბუქის გამო შესწყდა მარგანეცის დატვირთვა-გადმოტვირთვა ჭიათურაში და შორაპანში.

ხაზზე განუწყვეტლივ მუშაობს თოვლმწმენდი.

აგარა-ქარელს შუა

14 თებერვალს აგარა-ქარელს შუა ქარ-ბუქის გამო შეფერხდა მატარებლების მიმოსვლა. ამ უბანზეც განუწყვეტლივ მუშაობდა თოვლმწმენდი.

კავშირის გაწყვეტა

ქარბუქის გამო, სამტრედია-ფოთს შუა შეწყვეტილია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი. ამავე მიზეზით შეწყვეტილია კავშირი სამტრედია-ბათომს შორის.

მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ქობულეთ-ნატანებს შუა წაქცია ტელეგრაფის 40 ბოძი, ლანჩხუთ-ნიგოითს შუა—41 და ნიგოით-საჯავახოს შუა—10.

გრიგალი მძვინვარებს

14 თებერვალს ნიგოითზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. ხუთი ვერსის მანძილზე ყველა მავთულები დაგლეჯილია.

გომი—გორი.

ქარბუქი იყო აგრეთვე გომსა და გორს შუა, რამაც ხელი შეუშალა მოძრაობას.

მატარებლებმა თავი მოიყარა.

ქარბუქისა და ნამქერების გამო, თბილისში თავი მოიყარა მატარებლებმა, რომლებიც იგზავნებიან დაგვიანებით.

კახეთის ხაზზე

ნამქერი ვაზიან-ნავთლუღის შუა, რომელიც დაიწყო 12 თებერვალს, გაწმენდილ იქნა მხოლოდ 14 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე.

სახალხო მატარებელი № 3 იდგა ვაზიანში. ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს განკარგულებით, იგი ჩაიყვანეს საგარეჯოში. სადაც იდგა გზის გაწმენდამდე. მგზავრებს ურიგდებოდათ დღე-ღამეში თითო მანეთი კვებისათვის.

ნამქერის ადგილზე პირველი თოვლმწმენდის დასახმარებლად გაგზავნილი მეორე თოვლმწმენდი ასცდა ლიანდაგს, თოვლში ჩაფლულ პირველი თოვლმწმენდიდან რამოდენიმე საჟენის დაშორებით. ღამის 3 საათზე ორთავე თოვლმწმენდი ამოიღეს და შეუდგნენ მუშაობას ხაზის გაწმენდა ვაზიანის მიმართულებით. სწარმოებდა ორ თოვლმწმენდით, ხოლო იორიდან ვაზიანისაკენ მუშაობდა 60 მუშა.

13 თებერვალს საღამოს ორთავე თოვლმწმენდი კვლავ ასცდა ლიანდაგს.

ღამის 3 საათზე თბილისიდან გაიგზავნა მათ მისაშველებლად დამხმარე მატარებელი, რომელმაც 14 თებერვლის დილის 11 საათისათვის შესძლო მხოლოდ 10 კილომეტრის გავლა.

საგარეჯოდან დაძრული სახალხო მატარებელი კვლავ ჩაეფლო თოვლში, გზა კვლავ გასწმინდეს და იგი ჩამოვიდა თბილისში.

ამგვარად კახეთისაკენ მატარებლების მოძრაობა 12-დან 14 თებერვლამდე შეწყვეტილი იყო.

ქარბუქი შესწყდა.

14 თებერვალს დილით ქარბუქი ამიერ-კავკასიის რკინის გზების ყველა ხაზზე შესწყდა და მატარებლების ნორმალური მიმოსვლა აღდგენილ იქნა.

აჭარისტანში

კავშირი ბათომ-ხულოსა და ბათომ-ტრაპიზონს შორის შეწყვეტილია

თოვლიანმა გრიგალმა დააზიანა ყველა სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი ბათომ-ხულოსა და ბათომ-ტრაპიზონს შორის.

აჭარისტანის სოფლებში

დიდი თოვლის გამო ყოველგვარი კავშირი მაზრებთან გაწყვეტილია. მთელ ზემო-აჭარაში დიდი ნამქერებია. თოვლის სისქე 1 ნახევარ მეტრამდე აღწევს.

ბათომი თოვლქვეშ

ბათომში თოვა დაიწყო 12 თებერვალს. თოვლმა დააზიანა ქალაქის სატელეფონო, სატელეგრაფო და ელექტრო-სადგურის ხაზები.

თოვა ძლიერდება. 13 თებერვალს მთელ ღამე თოვდა. ტემპერატურა ნულამდე დაეცა. ქალაქის ზოგიერთ რაიონებში თოვლმა ჩაანგრია სახურავები. ქალაქის ბაღში წაქცეულია მრავალი ხეები. ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგურის ცნობით, უახლოესი დღეების განმავლობაში თოვა გაგრძელდება.

სას. ს მ. გადასახადის ანარიცხები

ა.-კ.სახკომსაბჭომ ნოემბრის 4-ის დადგენილებით, გააუქმა თავისი დადგენილება სახ. სამ. გადასახადის 10 პროცენტთან ანარიცხების განაწილების შესახებ ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის, ა.-კ. სახკომსაბჭოს ახალ დადგენილების თანახმად ეს ანარიცხები უნდა გაანაწილონ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა. მაგრამ განაწილება საქართველოში ფაქტიურად უკვე მოხდენილია საქართველოს ცაკ-ის მესამე სესიის მიერ ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ 1926 წ. ივნისის 16 მიღებულ რეზოლიუციის მიხედვით, სადაც ნათქვამია, რომ 26—27 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები (66 2-3%) მთლიანად უნდა დაეტოვოს თემებს. ვინაიდან ეს დებულება მიღებულია ცაკ-ის სესიის მიერ რეზოლიუციისა და არა დადგენილების სახით, საჭირო იყო მხოლოდ მისი შესაფერი ფორმაში ჩამოყალიბება. ამის მიხედვით საგეგმო კომისიამ საქ. საბჭოს საიურისკონსულტო განყოფილებასთან შეთანხმებით, შეიმუშავა შესაფერი დადგენილება, რომელიც დაამტკიცა სახკომსაბჭომ. ხსენებული დადგენილება ცაკის სესიის მიერ მიღებულ რეზოლიუციისა შესაფერ მუხლისაგან განსხვავდება მხოლოდ მით, რომ თავის მეორე მუხლში დასაშვებლად არის ცნობილი ცალკე მაზრებში მაზრალმასკომებმა, სახკომსაბჭოს ნებართვით, გაანაწილონ შემოსული ანარიცხი თემებს შორის სუსტ თემების ბიუჯეტის გაძლიერების მიზნით, მაგრამ ეს განაწილება შეიძლება მოხდენილ იქნეს მხოლოდ სას.-სამ. გადასახადის 26 ორი მესამედი პროცენტის ფარგლებში, რადგან 40 პროც. თვით ძირითად კანონის მიხედვით უშუალოდ ეკუთვნის თემებს.

ახალი მომგებიანი სესხი

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოშვებული იქნეს ახალი სახელმწიფო ათპროცენტიანი სესხი—100 მილიონი მანეთის რაოდენობით. სესხი გაყოფილი იქნება ოც სერიათ (5 მილიონი მანეთის ჯამით თითოეულ სერიაში). ობლიგაც. იქნება 25 მან., 50 მან. და ას მანეთიანი. ოცდახუთმანეთიანი ობლიგაციები იყოფა ხუთ თანაბარ ნაწილად თითოეული ნაწილი ღირს 5 მანეთი და იძლევა მოგებას 1/5 და პროცენტების ერთი მეხუთედის მიღების უფლებას.

სესხი გამოშვებული იქნება 8 წლის ვადით, ე. ი. იგი მთლიანად უნდა იქნას გადახდილი 1935 წლის პირველი მარტისათვის.

ამ რვა წლის განმავლობაში მოხდება მოგებათა 30 გათამაშება (ტირაჟი): 1927—3 გათამაშება, 1928, 1929, 1930, 1931, 1932 და 1933 წ.—ოთხ-ოთხი გათამაშება, 1934—ორი გათამაშება და 1935—ერთი გათამაშება. სულ 8 წლის განმავლობაში გათამაშებული იქნება 16.600.000 მანეთი—ეს მოგება მოდის 95.952 ბილეთზე. მოგების თანხა—100 მანეთიდან 50.000 მანეთამდე. პირველ 16 ტირაჟი გათამაშებული იქნება 700.000 მანეთის მოგება (4001 მომგებიან ბილეთზე). ამაში შედის: ერთი 50.000 მანეთიანი მოგება, ორი ოცდახუთიათასიანი მოგება, 5—ათიათასიანი მოგება, 10—ხუთიათასიანი, 71—ათასიანი, 252—500 მანეთიანი და 3.660—ას-ასმანეთიანი მოგება.

მოგებათა პირველი გათამაშება განზრახულია 15 მარტისათვის.

ობლიგაციების დაფარვა

ობლიგაცია, რომელსაც ხვდა მოგება იფარება, ე. ი. [illegible] მისი მთელი ღირებულება და [illegible] პროცენტები, ობლიგაცია ამის შემდეგ აღარ იღებს მონაწილეობას შემდეგ ტირაჟებში.

სესხის განაღდება

ათპროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები გაიყიდება საბჭოთა კავშირის ყველა საკრედიტო დაწესებულებებში. გამოშვებითი კურსის მიხედვით (96 მანეთად 100 მანეთიანი ობლიგაცია). ობლიგაციის შეძენის ასეთი შეღავათიანი პირობებია დაწესებული იმათთვის, ვინც ობლიგაციას შეიძენს ოცი თებერვლიდან პირველ აპრილამდე. ამის შემდეგ სესხის ობლიგაციების ღირებულება დაწესებული იქნება საფონდო ბირჟების მიერ.

შეღავათები ობლიგაციების მყიდველთ

საკავშირო ფინსახკომი იმუშავებს ობლიგაციების შეღავათიან პირობებში (ნაწილ-ნაწილად გადახდით) შეძენის წესებს. განზრახულია ცალკე მოქალაქეთათვის ობლიგაციის ღირებულების გადასახდელათ დაწესდეს 4 თვე, კოლექტიურათ შეძენის დროს კი—6 თვე.

ქრონიკა

პროფ. ვინოგრადოვის ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა პროფ. ალ. ვინოგრადოვი.

პროფ. ვინოგრადოვის ჩამოსვლა დაკავშირებულია ქაღალდის ქარხნის აგების საკითხთან.

ამერიკული ფირმის წარმომადგენლის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკის მანქანათა სამშენებლო ფირმის „სულივანის" წარმომადგენელი ინჟენერი დოლი.

მოქ. დოლის ჩამოსვლის მიზანია სამთო მრეწველობის საქმის გაცნობა საქართველოში.

ინ. დოლმა დაათვალიერა „დომბასის" მრეწველობა და გაეცნო ქარხანა-ფაბრიკების მექანიზაციის საკითხს.

ქაღალდის ქარხნის ადგილის ამორჩევა

თანახმად უმაღ. ეკ. საბჭოს დადგენილებისა, ქაღალდის ქარხნის ასაგებ ადგილათ საბოლოოთ დამტკიცდა შამგონის რაიონი მდ. ენგურის მიდამოებში. ქარხნის ასაგები ადგილის სისწორით ამოსარჩევათ დღეს შამგონის რაიონის დასათვალიერებლად მიემგზავრება ს. ს. ე. ს. ახალშენებათა კომიტეტის სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: ინჟ. გაკაძე, ინჟ. თუშმანოვი და კანდელაკი.

კომისიას ევალება ადგილობრივ შეისწავლოს ქარხნის ასაგები ადგილის მდებარეობა.

უფლებების გადამეტება

ა. კ. პროფსაბჭომ ა. კ. ცაკში შეიტანა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ რკინის გზებზე შემთხვევებთან მებრძოლი ა. კ. საგზაო კომისია აჭარბებს მინიჭებულ უფლებებს, საგზაო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შემთხვევების მიზეზების და ამა თუ იმ პირთა დანაშაულობის გამორკვევა, იმუშავებს სასჯელს დამნაშავეებისათვის. ეს უფლება კი მინიჭებული აქვს მხოლოდ საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში და ა. კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარეს.

ფასების დაკლება

15 თებერვლიდან რეზინოტრესტის ყველა ნაწარმოებზე საცალო ფასები დაკლებული იქნება 3 პროცენტით, კალოშებზე კი ფასები დაკლებულია 5 კაპ.

კოოპერატიული ბანკების გამოკვლევა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო კოოპერატიული ბანკის უფროსი ინსპექტორი ს. ბრაილოვსკი.

მისი ჩამოსვლის მიზანია კოოპერატიული ბანკის განყოფილების გამოკვლევა.

უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა თბილისის თეატრებში მოაწყოს დილის წარმოდგენები უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად. ამის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს თეატრების ადმინისტრაციასა და კავშირის გამგეობას შორის.

ფასების დამკლები კომისია

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საუწყებათაშორისო ფასების დამკლები კომისიის შემადგენლობა.

კომისიაში შედიან: შინა-ვაჭრობის კომისარიატიდან—ამხ. ნოვიკოვი, იმნაიშვილი და ფანიევი, ამიერ-კავკასიის ფინსახკომიდან—ამხ. გოგიჩაიშვილი. ა. კ. პროფსაბჭოდან—ამხ. შევტელი, საქართველოს ს. მ. უ. საბჭოდან—ამხ. საჰაკიანი, ა. კ. მუშგლეხინიდან ამხ. მელიქი და სახელმწიფო ბანკიდან—ამხ. ლევინი. აზერბეიჯანისა და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალა წინადადება მისცენ ს. მ. უ. საბჭოებს დააჩქარონ წარმომადგენლების დასახელება აღნიშნულ კომისიაში.

თბილისის ალმასკომში

◆ ავლაბარში სამკითხველოსათვის შენობის მოსაწყობად გადაიდო 2494 მ.

◆ **საავადმყოფო.** ალმასკომმა გადასწყვიტა საგარეჯოში საავადმყოფოსათვის ააგოს ახალი შენობა.

◆ მეფუტკრეთათვის საჭირო ხელსაწყოების მისაწოდებლად პლეხანოვის პროსპექტზე ალმასკომმა გახსნა მაღაზია-საწყობი.

◆ საქონლის საკვები მცენარეულობის გასაუმჯობესებლად საზღვარგარეთიდან გამოწერილი იქნა 2000 მანეთის თესლეულობა, რომელიც საცდელად დაითესება მაზრის სხვადასხვა კუთხეში.

◆ **საბინაო ამხ-ბა.** ამჟამად თბილისში არსებობს 212 საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.

◆ **გადასახადი.** 1926-27 საბიუჯეტო წლის ოთხ თვეში ალმასკომს გადასახადებიდან და გამოსაღებებიდან შემოუვიდა 220.805 მანეთი.

◆ **ახალი სახლი.** სომხის ბაზარში ებრაელთა სინაგოგის ახლო ალმასკომი აგებს ახალ 3 სართულიან სახლს.

◆ ავლაბარში ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას შეუდგებიან ახლო ხანში.

◆ მე-96 თურქულ შრომის სკოლას ეწოდა თურქული თეატრის საძირკველის ჩამყრელის ფათალი ახუნდოვის სახელი.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, 15 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში, სამუშაოზე გასაგზავნათ უნდა გამოცხადდენ შემდეგი პირები:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციაში: არუთინოვი არტაშესი, სევოიანი ზურაბი, ტროპიტი დიმიტრი, შიმალოვი პეტრე, ვაზაგაშვილი ვასილი და ერთი ჩულქის მქსოველი.

გონებრივ შრომის მუშაკთა სექციაში: მირზოევი ლეო, ხაჩატუროვი მარიამი. კარაკლისში სამუშაოზე გასაგზავნათ გამოწვეულია—ნოვოსელსკაია მარიამი.

კოოპერაცია

◆ საერთო მომხმარებელ კოოპერაციის საბრუნავი თანხა მთელ ამიერ-კავკასიაში უდრის 160.000 მილ. მანეთს.

◆ ბაზრის მოთხოვნილების 40 პროცენტს ამჟამად აკმაყოფილებს საერთო მომხმარებელი კოოპერაცია.

◆ მთელ ამ.-კავკასიაში ამჟამად არსებობს 511 მომხმარებელი კოოპერატივი.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ სამუშაოზე გასაგზავნ მოზარდთა ჰასაკი შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით განსაზღვრულია 16 წლიწადით.

◆ სამთა-მადნო მრეწველობაში დაბანდებულ მუშა-ხელის საერთო რაოდენობის 6 პროც. შრ. კომისარიატის დადგენილებით უნდა შეადგენდეს მოზარდები.

კრებები და მოხსენებები

◆ მეცნიერების მუშაკთა კონფერენცია ოთხშაბათს, საღ. 7 საათზე განათლების მუშ. სახლში (კოლუბნის ქ., № 3), მოწვეულია მეცნიერების მუშაკთა საქალაქო კონფერენცია (გაგრძელება).

სხვადასხვა

◆ **სატუბერკულიოზო კონფერენცია.** 13 თებერვლისათვის ჯანსახკომის მიერ მოწვეული თბილისის საქალაქო სატუბერკულიოზო კონფერენცია გადადებულია და გაიხსნება შაბათს, 19 თებერვალს, სანიტარული განათლების თეატრში.

ჩაუბარებელი დეპეშები

კალაგერანიდან—კარაჯეისას, დიუშამბედან—ოგანეზოვს, კრასნოდარიდან — მარკოზოვს, მოსკოვიდან—ნოვიკოვს, ბაქოდან—ასკეროვს, ქუთაისიდან—ტერ-დავითიანცს, შულავერიდან—ამირხანიანს, მოსკოვიდან—აგოსიანცს, პოლტაროცკიდან—პეტროვს, ელცადან—გუნეს.

შემთხვევები

ავტომობილის კატასტროფა

გუშინ, შუადღის 12 საათზე, 1-ლი ცეცხლის მქრობელ რაზმის ავტომობილს ტროცკის ქ. № 6 (ა.-კ. ფინსახკომის მახლობლად) მარცხი შეემთხვა.

რაზმი გაწვეული იყო მუხრანის ქუჩაზე ხანძრის ჩასაქრობად.

ტროცკის ქუჩაზე სახლი № 12-ის პირდაპირ არის ორმო, რომელიც ამჟამად შეკეთებულია. შოფერმა ავტომობილი მოაბრუნა, რომ აევლო ორმოსთვის. ამ ადგილას შოფერმა ავტომობილის დამუხრუჭება ვერ შესძლო. ავტომობილის წინა ბორბლები დაცურდა ყინულზე, რის გამო შებრუნდა მარცხნივ და დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს. დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ბოძი გატყდა სამ ნაწილად. ამის შემდეგ ავტომობილი დაეჯახა ფიცრის ღობეს დაამტვრია ის და გაიტანა აგრეთვე ალაყაფის კარები..

ქუჩის ქვემოთ, ღობეს იქით, არის დიდი ორმო. ავტომობილი ჩავარდებოდა ორმოში, რომ შოფერს არ დაემუხრუჭებია ის.

შოფერმა ორმოდან ნახევარი არშინის სიშორეზე შეაჩერა მანქანა.

კატასტროფის დროს დაზიანდა ავტომობილის წინსაფარი შუშა, რკინის საფეხური და ხელსაწყოების ყუთი.

ავტომობილში იჯდა 16 კაცი, რომლებმაც დროზე მოასწრეს გადახტომა.

სპეციალური კომისიის დასკვნით კატასტროფა გამოიწვია იმან, რომ რიყული გაყინული იყო.

ქურდობა და დაჭრა

გუშინწინ დეპოში მცხოვრებ მოქ. წულაიას (რკინის გზის თანამშრომელი) ბინაზე შეიპარენ ბოროტმოქმედნი და გაქურდეს.

მოქ. წულაიამ ქურდებს გაუწია წინააღმდეგობა. ბრძოლის დროს ბოროტმოქმედებმა დანით 5 ჭრილობა მიაყენეს მოქ. წულაიას.

ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

აფერისტობა

გუშინ „სამშენის" სამეურნეო ნაწილის გამგეს ვალერიან ცინცაძეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ყოფნის დროს გაუჭრეს პორტფელი და ამოაცალეს 1050 მანეთი.

შვილის განზრახ დახრჩობა

ქ. ქერჩის მცხოვრებ თ. ჩ—იას ქმრის სხვა ქალაქში გამგზავრების შემდეგ შეეძინა ბავშვი.

ქმრის სახლში დაბრუნების შემდეგ ჩ—მ ბავშვი დაახრჩო და ჩააგდო ფეხისადგილში. ამის შემდეგ თ. ჩ—ია მიიმალა.

თბილისის ს. ს. მილიციამ გამოარკვია, რომ ჩ—ია იმალება თბილისში.

საქმე გადაეცა ქერჩის ს. ს. მილიციას.

არქივის ქურდი

ამას წინეთ ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის არქივიდან მოიპარეს საარქივო საქმეები. ბაზარში არქივის უბრალო შესახვევ ქაღალდებათ გაყიდვისას დააპატიმრეს ბორის ვასილიევი, რომელიც გამოტყდა ქურდობაში.

◆ **აფერისტის შეპყრობა.** 13 თებერ. დააპატიმრეს სარქის ბესტორის-ძე გრიქუროვი, რომელიც ფინინსპექტორის სახელით ვაჭრებისაგან კრეფდა ფულს გადასახადის სახით. მას თან აღმოაჩნდა სხვადასხვა ყალბი ბლანკები.

◆ **თავის მოწამვლა.** 12 თებერ. იმედის ქ. № 5, ოჯახურ ნიადაგზე უსიამოვნების გამო თავი მოიწამლა ვერა გიორგის ასულ ერვანცოვამ.

◆ სასტუმრო „თელავში" გიორგი სარქისოვს მოპარეს ჩექმები და სხ. ნივთები.

◆ **შეპყრობა.** „აზრიბი"-ს მაღაზიიდან ორი ფუთი თევზის მოპარვისათვის დააპატიმრეს სურენ მარქარიანცი.

◆ კერძო ინტერესების ნიადაგზე სოფ. მარტყოფში მიშა ჯერენაშვილის თივის ზვინებს უცნობმა ბოროტმოქმედმა წაუკიდა ცეცხლი.

◆ დააპატიმრეს ქიარიმ ზადი ოხუზ-ოღლი, რომელმაც ანა ანანოვს ამოართვა 15 მან.

◆ **ქურდი სტუმარი.** ფრეილინის ქ., № 10, 13 თებერვალს გიორგი ზახაროვის ბინა გაქურდა მასთან სტუმრათ მყოფმა მიხეილ ვოლოპულსკიმ და მიიმალა.

◆ კარების გატეხვის საშუალებით 13 თებ. ფრეილინის ქ., № 5, გაქურდეს ანდრო ჩერნიკოვის ბინა.

◆ პუშკინის ქუჩაზე ოლღა ბაბუნიძისას ამოაცალეს 25 მანეთი და 30 მ. ღირებული რიდიკული.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 13 თებერ. მე-7 სამილიციო რაიონში გაქურდეს წყალობა ხაჩატუროვის ბინა.

სასამართლო

სახსპირტის თანამშრომელთა პროცესი

მეოთხე დღე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ პოპოვის დაკითხვა.

ბრალდებულმა აღნიშნა, რომ სახსპირტის მიერ ის მივლინებული იყო წნორის-წყალზე ტკეჩების შესაძენად. მან დაათვალიერა ტკეჩები და რადგან ამ საქმეში ის სპეციალისტი არ იყო, დაუჯერა სპეციალისტს მეძღლიძეს, რომელმაც უთხრა მას, რომ შეძენილი ხე-ტყის მასალა (ტკეჩები) 2 პროც. გამოკლებით ვარგისი არისო. ბრალდებული უარჰყოფს სახსპირტისათვის 3.397 მანეთის ზარალის მიყენებას.

ბრალდებული **ხაყვარელიძე** აღნიშნავს, რომ როცა 730 მან.მანუფაქტურა მიიღო სახსპირტიდან, მაშინ ფასებმა აიწია და ამიტომ მანუფაქტურა ვერ გაასაღა ხელსაყრელ ფასებში. გარდა ამისა, ნაწილი მანუფაქტურისა მას დაეკარგა სასტუმროში. ის მანუფაქტურის ანგარიშში არაფს აძლევდა სახსპირტს, მაგრამ უკანასკნელმა რაღაც მიზეზების გამო, არაფი არ მიიღო. 750 მანეთის ანგარიშში ბრალდებულმა მოქ. ვეზიროვის სახლი მისცა გირაოდ სახსპირტს.

ბრალდებული **მეგრელიშვილი** უარჰყოფს სახსპირტის სამმართველოსადმი დავალიანებას და ამბობს, რომ პირიქით, სახსპირტის სამმართველოს მართებს მისი ფული.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე **ქიქოძე** (ვაჭარი). დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ტერ-ავაკოვი საქონელს კლიენტებს აძლევდა ნისიად და თამასუქების გარეშე. საქონელი ნისიად ეძლეოდა აგრეთვე არა კრედიტუნარიანობის მქონე პირებს.

შემდეგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 16 თებერვალს.

სამხედრო ტრიბუნალში

გუშინ ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალში ამხ. ვოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ქართულ № არტილერიონის მეკუჭნავე პავლე **ხუნდაძის**, წითელ-არმიელის **გრიგოლ მანჯგალაძის** და მოქ. **გიორგი ბადრიაშვილის** საქმის გარჩევა.

ხუნდაძეს ბრალდება 514 მანეთის სურსათ-სანოვაგის მოპარვა, ხოლო მანჯგალაძეს და ბადრიაშვილს კი ხუნდაძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

ბრალს სდებს პროკურორი ანთაძე, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ხუხუნი, ლვამიჩავა და მურავიოვი.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

ხელოვნება

„რიგოლეტო"

(ს. დოლიძის მონაწილეობით)

დოლიძის მონაწილეობის შესახებ ოპერა „რიგოლეტო"-ს მთავარ პარტიაში იყო განსაკუთრებული ანონსები და მოსალოდნელი იყო, რომ წარმოდგენას შედარებით — საგასტროლო ხასიათი მაინც ექნებოდა. მაგრამ რიგოლეტოს პარტია არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პარტიად არტისტის რეპერტუარში. უეჭველია, რომ შესრულების დადებითი მხარეა ვოკალური ნაწილი, რაიც შედეგია იმისა, რომ მსახიობს საუცხოვო ხმა აქვს. მაგრამ პარტია, რომელშიაც ბევრი დრამატიული ადგილებია, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული. ყველაზე უფრო ნათელი სცენები (წყევლა პირველ აქტში, ქალიშვილის მოტაცების მომენტი, შეხვედრა ნამუს - ახდილ ქალიშვილთან, ჯილდას მოკვლის მომენტი) სათანადოდ ვერ იყო გადმოცემული. აქ დოლიძის შესრულებაში არ არის ექსპრესია, არ არის საკმაო ტემპერამენტი, კონტრასტები, ემოციონალობა და აგრეთვე ნათელი ფრაზა სიმღერაში. მართლად იქნა ჩატარებული ცნობილი სცენა კარისკაცებთან. უკეთესი სცენა ჯილდასთან მესამე აქტში. მშვენიერი ცოცხალი ხმა აქვს კარგარეთელის ქალს. ამ მომღერალი ქალის მუსიკალობა ყოველ ეჭვს გარეშეა. ხმა საკმაოდ არის განვითარებული ტეხნიკურად. შესრულების დადებითი მხარეა: ხმის ლამაზი ტიმბრი, გულწრფელობა. ნაკლებად არის დამუშავებული სცენიური მხარე.

ჰერცოგის პარტიას ასრულებდა კანცბურგი. იგი სამწუხაროდ, ამ პარტიას ვერ ასრულებდა ისე, როგორც ყოველთვის. გაუგებარია ელექტრული ჟესტი მეოთხე აქტში; ასეთი ხერხი სრულიად შეუფერებელია არტისტის ნიჭისა და [illegible] საქმისადმი სერიოზულ მოპყრობისათვის.

ძალიან კარგია მესხიაევი სპარაფუჩილეს პარტიაში და მაყაშვილი მადლენას პარტიაში.

მეოთხე აქტის კვარტეტს აკლია გაბედულება.

პ. ბ.

დიმ. მჭედლიძის კონცერტი

რამოდენიმე ხნის წინათ სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფე დიმ. მჭედლიძე მხოლოდ იმედებს იძლეოდა, რომ მომავალში იგი გახდებოდა საინტერესო მომღერალი. ერთი წლის წინათ მჭედლიძე მუსიკალური განათლების დასამთავრებლად გაგზავნილი იქნა ლენინგრადში.

და აი იქიდან დაბრუნებისას მან გამართა კონცერტი, რომელზედაც თითქმის დამთავრებულ მომღერლად მოგვევლინა. ეჭვს გარეშეა, რომ თავის დროზე მჭედლიძე შესაფერ ადგილს დაიჭერს ცნობილ მომღერალთა შორის.

მჭედლიძეს აქვს ხმოვანი, საკმაოდ ფართო დიაპაზონის ლირიულ-დრამატიული ბანი, რომელიც თანაბარია ყველა რეგისტრებში; ხმის ტემბრი ლამაზია. მჭედლიძე უეჭველად მუსიკალური და მგრძნობიარე მომღერალია. ყველა ეს ღირსებები ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ მომღერალს საშუალება უნდა მიეცეს დაამთავროს მუსიკალური განათლება და განავითაროს თავისი ვოკალური ნიჭი.

მჭედლიძის მუსიკალურ ნიჭზე მეტად კარგი აზრისაა ცნობილი კომპოზიტორი გლაზუნოვი.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მომღერალმა ქალებმა გოგლიჩიძემ (კოლორატურული სოპრანო) და მაჭავარიანმა (ლირიული სოპრანო); ორივე მომღერალს ლამაზი ხმა და კარგი სკოლა აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაჭავარიანის ხმა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე და დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე სახელმწიფო ოპერის მსახიობებმა ქუმსიაშვილმა, ვენაძემ, ქარცივაძემ და მრავალმა.

კონცერტზე გამოვიდა აგრეთვე ახალგაზრდა მომღერალი ცირღილაძე, რომელმაც უკანასკნელი დროის განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი ხმის ბგერა.

მუსიკოსი.

„აღთქმის ქვეყანა" დრ. 4 მოქ. ს. მოგანის.

დადგმა ლიუბოვის—მხატ. პელიონკინი.

აღთქმის ქვეყანა, კანადის პრერიებია, საითკენაც მიისწრაფიან ინგლისიდგან ბედის მომდურავი ნორა მარშ და ბენჯამენ. პირველმა დაჰყო ათი წელი ჭირვეული დიასახლი მისს ვოკერთან „ეკონომკის" უმადლო თანამდებობაზე, რის სანაცვლოდ უკანასკნელმა მას მხოლოდ „მადლობა" უანდერძა. ბენჯამენმა კარტის თამაშში გაფლანგა თავისი და სახელმწიფო ქონება და მშობლებისაგან შერისხული კანადის ფერმების იდილიაში ეძებს მოსვენებას. აზნაურად აზრდილი, „კარგ მანერებს" შეჩვეული ლედი ნორა და მისტერ ბენჯამენი ვერ ეგუებიან არსებობისთვის ბრძოლაში გამომწვარს, ტლანქ და უხეშ ფერმერებს ყოფას. თავის რძლისაგან დევნილი მედიდურობისათვის, ლედი მარშ თავს შეაფარებს ღარიბ ფერმერ ფრანკ ტაილორს. უკანასკნელი ეძებს ცხოვრების თანამებრძოლს და არ ესმის ნორას მოთხოვნილება, რომ მას მოეპყრან როგორც „ნაზ არსებას". ნორა მარშ ეპორჩილება მას როგორც უხეშ ძალას. დაბოლოს სტიქია, პრიმიტივი თითქოს იმარჯვებს ცივილიზაციაზე, ნორა უკუაგდებს „ეკონომკის" თანამდებობაზე დაბრუნების ოცნებას და უწოდებს ტაილორს თანამებრძოლის ხელს.

პირველი ორი მოქმედება პიესაში საკმაოდ დუნე და უფერულია. მასში მოცემული ყოფაცხოვრების სურათები, მემკვიდრეობის მოლოდინი, რძალ-მულის შუღლი, ცხოვრების პროზა, უცხო და ჩვენი თეატრის აუდიტორიაზე დაშორებული სახეებია. მხოლოდ უკანასკნელ ორ მოქმედებაში, ისიც ლიუბოშის (ტაილორი) ნიჭიერი შესრულების წყალობით, გადადის ეს დუნე მდინარება რუხი ყოველდღიურობის [illegible] პათოსში არსებობისათვის მებრძოლი ადამიანისა. აქ როგორც პიესაში, ისე შესრულებაში ღრმად არის განცდილი ბრძოლის და შემოქმედების აღგზნება, რომელიც მეშჩანურ კეთილ დღეობაზე მეოცნებე ლედისაც იმონებს. დანარჩენი შემსრულებლებისაგან აღსანიშნავია ლეშჩინსკაია (ნორა). კარგია ედუარდ მარშ (კლიმოვი) და გერტრუდა—ქირივეულ, თვითნება დესპოტ ფერმერის როლში.

შ.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

შაბათს, 12 თებერვალს, ცენტრალურ პარტსკოლაში; ცენტრ. პარტსკოლის, საბჭოთა პარტსკოლის და ამიერ-კავკ. კომ. უნივერსიტეტის მსმენელთათვის პროლეტარულმა მწერლებმა გამართეს საღამო. მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ამხ. დავით რონდელი და პლატონ ქიქოძე, რომლებმაც დაახასიათეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის სინამდვილე და პროლეტარული მწერლობის პერსპექტივები. საღამოში მონაწილეობა მიიღეს პროლეტარულმა პოეტებმა: ა. მაშაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, ფ. ნაროუშვილმა, პ. სამსონიძემ, შ. ნავთლუღელმა და სხვ.

◆ **საწევრო გადასახადი.** კავშირის დადგენილებით ის მწერლები, რომლებმაც დააგვიანეს საწევრო გადასახადების შემოტანა და ერთი თვის განმავლობაში არ შემოიტანენ ასეთს, მწერალთა კავშირის მომავალ ყრილობაზე არ იქნებიან დაშვებული.

მწერალთა კავშირში

◆ **გამოსაცემი წიგნები.** მწერალთა კავშირმა გამოყო კომისია პ. ინგოროყვას, ტიციან ტაბიძის, ჟ. ლოლობერიძის და ლ. ესაკიას შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს და სახელგამს წარუდგინოს გამოსაცემ წიგნების სია.

◆ **„ლიტერატურული ფონდი".** მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა დაარსოს „ლიტერატურული ფონდი", რომელშიაც გადაირიცხება უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ მწერალთა ნაწარმოებების კუთვნილი ჰონორარი.

◆ **მხატვრული ლიტერატურის ალმანახი.** მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა გამოსცეს მხატვრული ლიტერატურის სქელტანიანი ალმანახი.

◆ **მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის** წევრებად დამტკიცებული იქნენ ტიციან ტაბიძე და ლ. ესაკია, ხოლო საბჭოს წევრად რაჟდენ გვეტაძე.

◆ **„კონტრაბანდისტები".** ქუთაისის სახელმწიფო დრამა **ნ. გოძიაშვილის** რეჟისორობით 19 თებერვალს მორიგ პრემიერათ სდგამს ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტ-დრამატურგ **მიხ. გოგიაშვილის** ახალ ორიგინალურ პიესას: „კონტრაბანდისტები". თანამედროვე სანახაობა რამოდ. სურათად.

◆ **„თანამედროვე თეატრი".** ამხ. შ. დუდუჩავა თეატრალურ მუშაკთა თათბირზე მოხსენებას თანამედროვე თეატრის შესახებ წაიკითხავს მომავალ ორშაბათს.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული დასი გაზაფხულზე მიემგზავრება სომხეთში.

◆ **კონსერვატორიაში** დღეს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა მესამე ღია საღამო.

◆ **„ბორის გოდუნოვ".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ბორის გოდუნოვი".

◆ **„ზაგმუკ".** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

რუსეთი

◆ **შალიაპინის მოწვევა.** ოქტომბრის ათი წლის თავზე მოსკოვის ყოფ. მარიინის თეატრში დანიშნულია საზეიმო წარმოდგენა. დადგმული იქნება „ბორის გოდუნოვი" (მუსორგსკის, დედნის მიხედვით). საზეიმო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებათ მიწვეულია ფ. შალიაპინი, რომელიც ამჟამად უცხოეთში იმყოფება.

◆ **ახალი გამოფენა.** სამხატვრო აკადემია აწყობს გამოფენას „თეატრალურ-სადეკორაციო ხელოვნება საბჭ. კავშირში 1917—27 წ. წ."

ბიბლიოგრაფია

არტურ ჯ. კუკ. ინგლისის გაფიცვის ისტორია გამომცემლობა „შრომა"

„შრომა"-მ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ქართული წიგნების ბაზარს მრავალი ყურადსაღები გამოცემა შესძინა.

მუშათა გამომცემლობა, ითვალისწინებს მასიურ მკითხველს. ამ მიზნით „შრომა" ხშირად სცემს პატარა და იაფ - ფასიან წიგნაკებს. ასეთ წიგნაკების რიცხვს ეკუთვნის „ინგლისის გაფიცვის ისტორიაც". არტურ კუკი ყველაზე უფრო აქტიური ბელადი იყო ინგლისის მაღაროს მუშების იმ გრანდიოზული ბრძოლისა, რომელიც უთუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს მუშათა საერთაშორისო განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

ვის, თუ არა თვითონ კუკს, შეუძლია მოგვითხროს ჩვენ ამ დიდი ამბების შესახებ, რომლის ორომტრიალმაც „მის თავზე" გადაიარა. კუკის ამ ბროშურაში, რომელიც წარმოადგენს მის მოხსენებას საბჭოთა პროფკავშირების მეშვიდე ყრილობაზე, დაწვრილებით და ცოცხალი ენითაა მოთხრობილი ინგლისის მემაღაროეთა სახელოვან ბრძოლის ისტორია. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის მუხანათური როლი, რომელიც ითამაშა მემაღაროების გაფიცვაში ინგლისის პროფკავშირთა (ტრედიუნიონების) ჯენერალურმა საბჭომ.

„ერთი პენსიც არ დააკლდება სამუშაო ქირას, ერთი წუთიც არ მოემატება სამუშაო დღეს"-ო, აი, ლოზუნგი, რომლითაც აწუგეშებდა, კუკის სიტყვით, გენსაბჭო მაღაროს მუშებს კონფლიქტის მოლოდინში. რამდენად პირნათლად შეასრულა გენსაბჭომ თავისი სიტყვა? ამაზე კუკი შემდეგს მოგვითხრობს:

„ტომასის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა გენსაბჭოს ინდუსტრიალურმა კომიტეტმა, იმის მაგივრად რომ დაეწყო ბრძოლისათვის მზადება, უფრო მეტი ენერგიით, ვიდრე წინათ, მოკიდა ხელი [illegible] და ორი დღის განმავლობაში ხვდებოდა მთავრობის წარმომადგენლებს მემაღაროელების დაუკითხავად... მთავრობა სრულიად უშიშრად გრძნობდა თავს, რადგანაც პიუ და ტომასი ეგულებოდა გენსაბჭოში. აქ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ სწორედ ბოლდუინის ინიციატივით მიიღო გენსაბჭომ წინადადება ჩვენი სახელით დაეწყო მოლაპარაკება, და მანაც მოიმოქმედა ეს ჩვენს დაუკითხავად... გენსაბჭო შეგვპირდა ნამდვილი კამპანიის დაწყებას მემაღაროეთა დასახმარებლად. მან არ შეასრულა თავისი სიტყვა. ამის ნაცვლად ბრომლეიმ და სხვებმა დაგვიწყეს სასტიკი დევნა. მაღაროების პატრონები და მათი მთავრობა სულ უფრო ძლიერად და თამამად გრძნობდენ თავს".

აღსანიშნავია ის გულწრფელობა, რომელიც ახასიათებს კუკის ამ მოთხრობას. კუკი მაგალითად ბევრგან გულახდილად აღიარებს საკუთარ შეცდომებსაც, რომელიც მან დაუშვა, როგორც მემაღაროეთა გაფიცვის ერთ-ერთ მეთაურმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კუკის განცხადება ეპისკოპოსების ცნობილ წინადადების შესახებ, რომლითაც ინგლისის სამღვდელოება მაღაროს მუშების ხარჯზე ლამობდა გაფიცვის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციას.

„ასეთ პირობებში, ამბობს კუკი, ბევრმა ჩვენთაგანმა, და მათ შორის მეც, კეთილგონიერებათ ჩავთვალეთ დავთანხმებულიყავით ეპისკოპოზების მიერ წამოყენებულ წინადადებებზე, რათა როგორმე გამოვსულიყავით ჩვენს განმარტოებულ მდგომარეობიდან. ამისათვის მე სასტიკად გამაკრიტიკეს მეგობრებმა ინგლისის უმცირესობათა მოძრაობიდან და ინგლისის კომპარტიიდან, ხოლო **ეპისკოპოზების წინადადებები უარყო მემაღაროეთა მასამ, რომელმაც ამით დაამტკიცა, რომ მიუხედავათ სრული მარტოობისა ის მზად იყო განეგრძო ბრძოლა**".

კუკი თავის მოხსენებაში ჩერდება აგრეთვე იმ მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც ინგლისის მემაღაროებმა მიიღეს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ამ დახმარების საერთო ჯამი უდრის **18.847.290** მანეთს. აქედან მხოლოდ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა გაფიცულებს გადაუგზავნეს **11.500.000** მანეთი, ე. ი. მთელი თანხის **61** პროცენტი. ამავე დროს ამსტერდამის ინტერნაციონალმა გაფიცულთა სასარგებლოდ გაიღო მხოლოდ **591.440** მან., ე. ი. მთელი შეწირულების **3,5** პროც. ეს ციფრები თავისთავად ყველაფერს ლაპარაკობენ.

კუკის მოთხრობა დიდი ინტერესით იკითხება, სამწუხაროდ მხოლოდ, რომ თარგმანი აქაიქ მოიკოჭლებს. წიგნაკი სუფთა და კარგ ქაღალდზეა გამოცემული. ღირს 15 კაპეიკი.

რ—ი.

«НА ПУТЯХ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГОСТРОИТЕЛЬСТВА». კრებული. ვ. მილიუტინის და ა. სვიდერსკის რედაქციით. რუსეთის სახელგამი. გვ. 164, ფასი 20 კაპ. 1927 წ.

ხსენებული კრებული შეიცავს 7 წერილს, რომელთაგან ამხ. **რიკოვის** წერილი მის მიერ მე-15 პარტკონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებაა, რაიც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უკვე ცნობილია. სხვა წერილებიდან იპყრობს ყურადღებას ამხ. **მილიუტინის** „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ", **გოლცმანის** „რაციონალიზაციის პრობლემა", **ე. კვირინგის** „კერძო კაპიტალი მრეწველობაში" და **შ. დვოლაიცკის** „კერძო კაპიტალი ვაჭრობაში".

ამხ. მილიუტინის წერილი მე-15 პარტკონფერენციამდეა დაწერილი, მაგრამ, როგორც ავტორი ლაპარაკობს, ოპოზიციის გამოსვლებმა ამ საკითხის ირგვლივ სავსებით დაადასტურეს მის მიერ გაკეთებული დასკვნები და გაამართლეს ოპოზიციის დაქანება რეფორმიზმისაკენ.

ამხ. გოლცმანი მოითხოვს რაციონალიზაციისათვის მეტი ყურადღების მიქცევას, რადგან „წარმოების რაციონალიზაცია არის პროლეტარულ სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი". რაციონალიზაციის ამხ. გოლცმანის თქმით მივყევართ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რაციონალიზაცია პროლეტარიატის დიქტატურის სპეციფიური იარაღია და რაციონალიზაციის პოლიტიკა როგორც თავისი შინაარსით,ისე მეთოდებით სოციალისტური პოლიტიკაა. საბჭოთა სახელმწიფოში ხდება, როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოებრივი აპარატის რაციონალიზაცია და ეს არის სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი სექტორის პირდაპირი ნაყოფი.

ამხ. კვირინგი და დვოლაიცკი არკვევენ კერძო კაპიტალის მონაწილეობას მის ხვედრითი წონას მრეწველობასა და ვაჭრობაში.

კერძო კაპიტალი შედარებით ვაჭრობაში უფრო ძლიერია, ვინემ მრეწველობაში, სადაც ის სავსებით დაჩრდილულია სახელმწიფო მრეწველობის მიერ. „მრეწველობის არც ერთ დარგში —ლაპარაკობს ამხ. კვირინგი—კერძო კაპიტალი არ წარმოადგენს რეალურ საფრთხეს სახელმწიფო მრეწველობისთვის", ამიტომ ამოირჩია კერძო კაპიტალმა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას ვაჭრობის სფერო, სადაც ამხ. დვოლაიცკის თქმით ვაჭარს შეუძლია გამოიყენოს მისთვის ჩვეული ხერხი და ყოველგვარ პირობებისადმი შეგუება. ვაჭრობას, სადაც აღინიშნება კონიუნქტურის თვით ყველაზე უმნიშვნელო რყევა, კერძო ვაჭარი უფრო ეტანება და იყენებს თავის სასარგებლოდ ყოველგვარ გართულებას, რომელიც წარმოიშვება განსაკუთრებით ფასების დარგში. მიუხედავათ იმისა, რომ კერძო კაპიტალის ხელშია სავაჭრო ქსელის 76,32 პროც.,მაინც გასულ 1925—26 წელში სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ხვედრითი წონა ბევრად სჭარბობს კერძო ვაჭრობას, რომლის სავაჭრო ბრუნვა საერთო ბრუნვის 20 პროც. არ აღემატება. ამის დასამტკიცებლად ამხ. დვოლაიცკის მოჰყავს საინტერესო ციფრები. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ამხ. ა. სვიდერსკის „სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი" და გ. ზანგვილის „სახელმწიფო ბიუჯეტი და ფულის ტრიალი".

კრებული იმდენად შინაარსიანი და პოპულიარული ენითაა შედგენილი, რომ ზედმეტი არ იქნებოდა მისი თარგმნა ქართულ ენაზედაც.

ა. ი,

კურორტები პოლიტკატორღელთათვის

პოლიტკატორღელთა საზ-ბის ცენტრალურ საბჭოს სამდივნომ აცნობა თავის წევრებს, რომ მიმდინარე საექიმო საკურორტო სეზონში მაისიდან ოქტომბრამდე მას ცენტრ. [illegible] აღებული აქვს 90 ადგილი იმ ავადმყოფ წევრთათვის, ვინც უმთავრესად დაავადებულია გულის, რევმატიზმის და კუჭ-შიგანის ავადმყოფობით. ადგილები ბოლოშია: კისლოვოდსკში, ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში, მაცესტაში და ევპატორიაში (ყირიმი). რაც შეეხება ფილტვების ავადმყოფთ, მათ შეუძლიათ იექიმონ ადგილობრივ, ბინადრობის მიხედვით, საექიმო დაწესებულებებში და სანატორიუმებში. იმ ავადმყოფებს, რომლებიც მიიღებენ დასკვნას, რომ მათი ექიმობა ადგილობრივ უშედეგოა, ცალკე შემთხვევებში ადგილი დაითმობა ყირიმის ტუბერკულიოზის სანატორიუმში.

ისინი კი, ვინც ნამდვილად საჭიროებს საკურორტო ექიმობას აუცილებლივ უნდა გატარდენ განსაკუთრებულ გადამრჩევ საექიმო საკურორტო კომისიაში ადგილობრივ საექიმო განყოფილებებში. გადამრჩევ კომისიისაგან მიღებული მოწმობა წარდგენილი უნდა იქნეს პოლიტკატორღელთა ცენტ. საბჭოს სამდივნოში არა უგვიანეს 15 მარტისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს პოლიტკატორღელთა საზოგადოებაში, ლენინის ქ. № 29.

პოლიტკატორღელი ყ—ნი.

ნარევი

გრიპის პირველი ეპიდემია

გრიპის პირველი ეპიდემია, რომლის შესახებაც მოიპოვება ცნობები, მძვინვარებდა 863 წელს. ეს ეპიდემია გაჩნდა სპარსეთსა და მესოპოტამიაში, სადაც შეტანილ იქნა ჩრდილოეთიდან. ძველი სპარსელი მემატიანე ხაუეცა ალ-იბ-ფაგანი სწერს ამ ეპიდემიაზე, როგორც ავადმყოფობაზე რომელიც „ცივმა ქარმა მოიტანა ოსმალეთის ხალხის ქვეყნიდან" (ე. ი. ჩრდილოეთიდან) და რომელიც კლავს ხალხს იმიტომ რომ „მისმა სიცივემ შეიპყრო ისინი".

შემდეგ მემატიანე იძლევა ავადმყოფობის იმდენათ სწორ აღწერას, რომ ყოველ ეჭვს გარეშეა, ლაპარაკობს ნამდვილათ გრიპის ეპიდემიაზე.

პრაღაში ყველაზე ცუდი ჰაერია

მეტყველების საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც რომში შეიკრიბა, მოსმენილ იქნა მოხსენება კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფაბრიკების და ქალაქების ჰაერის გავლენის შესწავლა ადამიანებზე, ცხოველებზე და მცენარეულობაზე. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაზე უარესი ჰაერია პრაღაში, რომელიც გარშემორტყმულია ფაბრიკა-ქარხნებით. ქალაქი მუდმივ გახვეულია ნისლში, რომელიც კვამლისა და მჭვარტლისაგან შესდგება პრაღის ჰაერი შეიცავს 0,0006—0,0008 პროც. გოგირდის მჟავას.

იშვიათი მუსიკალური აღმოჩენა

კორეის პრინცის იის არქივის განხილვის დროს სეულში (კორეა) იაპონელმა მოხელეებმა იპოვეს 700 წლის წინათ არაბულ ენაზე დაწერილი ოპერა. იის არქივში ნაპოვნი მასალები შეიცავენ მრავალ საყურადღებო ცნობებს აღმოსავლეთის მუსიკის შესწავლისათვის.

კეთროვანთა რაოდენობა იაპონიაში

იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობებით, იაპონიაში კეთრით ავადმყოფთა რაოდენობა 12.000-დე აღწევს.

კეთრის სპეციალისტი, ექიმი მურატო-შოტა, რომელიც გადამდებ სნეულებათა გამომკვლევ ლაბორატორიაში მუშაობს (ტოკიო) კი ამტკიცებს, რომ მთელ იაპონიაში არის 100.000 მეტი კეთროვანი.

„წინასწარმეტყველებისა" და „მხსნელების" ყრილობა

ლონდონის „ფილანტროპიულ საზოგადოებას" განზრახული აქვს მიმდინარე წელს მოიწვიოს „კაცობრიობის მხსნელთა წინასწარმეტყველების" (ასე უწოდებენ თავის თავს დასავლეთში ახლა მრავლათ მოვლინებული ახალ სარწმუნოებათა მქადაგებლები) ყრილობა. ეს შარლატანები ნაწილობრივ ეკუთვნიან ინდოეთში ახლად შექმნილ სექტებს, ნაწილობრივ კი ევროპისა და ამერიკის მაღალი წოდების წრიდან არიან გამოსული.

„უკვდავები" ცხოველთა სულის შესახებ

საფრანგეთის მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები, პარიზის სამეცნიერო აკადემიის წევრები (ე.-წ. „უკვდავები") თავის უკანასკნელ სხდომაზე არჩევდენ საკითხს: აქვს თუ არა სული ცხოველებს? სხდომას დაესწრნენ, სხვათა შორის ფსიქოლოგიის ასეთი „მცოდნენი", როგორც არიან — მარშალი ჟოფრი, ფოში და პარიზის არქიელი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ უკვდავებმა გამოიტანეს ასეთი გადაწყვეტილება: „ცხოველებს ნამდვილათ აქვს სული, მაგრამ ეს სული მეორე ხარისხოვანია".

რადიო ეკლესიის სამსახურში

საფრანგეთის სამღვდელოებამ გადასწყვიტა გამოიყენოს რადიო — ეს „ეშმაკის გამოგონება" — სარწმუნოებრივი პროპაგანდის მიზნებისათვის. კვირაობით შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 12 საათამდე რადიოთი გადაცემული იქნება „15 სიტყვა ქრისტესი". პირველი ქადაგება წარმოთქმული იქნება ცნობილ იეზუიტ ლანდეს მიერ.

უარყოფილი შუამდგომლობა

ორმა ნიუ-იორკელმა მესაათემ სამხედრო სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მათ მისცემოდა უფლება „თავისუფლების ძეგლის" ხელი, რომელსაც ჩირაღდანი უჭირავს „დაემშვენებინათ" შესაფერი სიდიდის საათით. ეს საათი, რომელსაც ისეთი ციფერბლატი ექნებოდა გაკეთებული, რომელიც ანათებს, შორს გამოჩნდებოდა ღამით. მოხერხებულ მესაათეებისათვის ეს იქნებოდა საუკეთესო რეკლამა. მაგრამ სამხედრო სამინისტრომ უარჰყო ეს შუამდგომლობა იმის შიშით, რომ ამ ნებართვის გაცემის შემდეგ ამერიკული „თავისუფლების" ემბლემას სხვა სამკაულებით მორთვა მოელოდა და იგი მიიღებდა მეტად სასაცილო სახეს.

პარტიული კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია ამხ. დურსუნ ბურიევს, რისტომ ფიცხელაურს, ანდრო შეილდაძეს, აბვაროვს (ს. პროფსაბჭოს მოლარე) და ტერენტი არდაშელიანს სთხოვს გამოცხადდენ საკონტროლო კომისიაში (რუსთვ. გამზ. 24, მესამე სართული) 15 თებერვალს, 9 საათზე.

— ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების მეორე რაისაბჭო იუწყება, რომ დღეს, ა. წ. 15 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. გამზ. 96) შესდგება გაფართოებული პლენუმი ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების მეორე რაიონის საუჯრედო ბიუროების მდივნებთან ერთად.

სავალდებულოა რაისაბჭოს ყველა წევრების და აგრეთვე ქალაქის და საბჭოს კავშირის საზოგადოების საუჯრედო ბიუროების მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

— ხუთშაბათს ა. წ. 17 თებერვალს თბილისის აღმასკომის დარბაზში, საღამოს 6 საათზე, შესდგება თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმის სხდომა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) მუშკოოპის ფრაქციის მოხსენება 25—26 სამეურნეო წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის შედეგების შესახებ. (ბოლქვაძე).

2) საწარმოო და ეკონომთათბირების მუშაობის შესახებ (ყურულაშვილი).

3) საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ ქ. თბილისში და მაზრაში (სვანიძე).

4) თბილისის საბჭოების ყრილობის საკითხები.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების და აგრეთვე კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციების წევრთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშ. და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება. რომ დღეს, 15 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, გლეხის ცენტრალურ სახლში შესდგება მეორე რუსული ჯგუფის მორიგი სადელეგატო კრება.

სავალდებულოა ამ ჯგუფის ყველა დელეგატ ქალების დასწრება სადელეგატო კრებების მუშაობის შესამოწმებლად.

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ დღეს, 15 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკის სახლში შესდგება საბავშვო კომუნისტურ მოძრაობის საკითხების შემსწავლელ პედაგოგთა წრის მეცადინეობა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, ა. წ. 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში (ლენინის კუთხე) შესდგება უჯრედების მდივნების სხდომა კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების აგიტპროპკომისიებთან და აგიტპროპორგანიზატორებთან ერთად.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, დღეს, ა. წ. 15 თებერვალს რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა მეორე რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის კომ. პარტიის და კომ. კავშირის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო კოლექტივები** იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია აგრონომიული და პოლიტეხნიკური ფაკულტეტების კომ. პარტიის და კომ. კავშირის უჯრედთა გაერთიანებული არაჩვეულებრივი საწარმოო კრება უნივერსიტეტის შენობაში.

დასწრება სავალდებულოა როგორც წევრთა, ისე კანდიდატთათვის ყოველ მიზეზს გარეშე.

— წინადადება ეძლევათ ამხ. კაბულია ივ. მაქსიმეს ძეს, ანდღულაძეს მიხეილ სიმონის ძეს, ბახტაძე სიმონ კონსტანტინეს ძეს, გვილავა ესტატე ივანეს ძეს, გავაშელი მიხეილ გიორგის ძეს, დოლიძე ნ. ა .და ძიძიგურს ი. თ. სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ც. კ. საიდ. განმ. ქ-განყოფილებაში ამხ. ლიცინოვთან. იმ ამხანაგებს, რომლებიც იმყოფებიან მაზრაში, ვთხოვთ გვაცნობონ მისამართი და სამსახურის ადგილი.

— ს. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს: მიხეილ ვოლკოვს, გზირიშვილს შალვას (მთავ. ფოსტა), გაბუნია გრიშას გამოცხადდნენ ც. ს. კ. ოთახი 11. ამხ. პ. დოლიძესთან.

— დღეს, 15 თებერვალს, პოლიგრაფტრესტის შენობაში დღის 4 საათზე შესდგება ა. ლ. კ. კ. [illegible] მე-4 უჯრედის კრება. [illegible] ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებული ძმობილები: ალექსანდრე და ოლღა, ბიძა ძინა და ბიცოლა თეკლე, ძმები: მაკარი, ვალიკო და გრიშა, დები: ელენე, ლუბა, პანტომიმა და ლარისა არევაძეები, [illegible] ტინე ორბელაძეები და სიძე ვასილ გუბძე [illegible] ბორჯომის მჟავე წყლის ქარხნის [illegible] მოსამსახურეები და ყველა ნათესავი [illegible] ტვისცემისათვის, რომელიც მათ უკანასკნელად გადაუხადეს 1927 წლის 20 იანვარს უდროოთ გარდაცვალებულ მათ თანამშრომელს 22 წლის ახალგაზრდა

შალვა ალექსანდრეს-ძე არევაძეს

ორმოცი დღის აღსანიშნავი პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, 26 თებერვალს, სოფელ ვახანში. 1664

თავზარდაცემული და ღრმად დამწუხრებულნი მამა ძიძილი გიორგისძე, დედა ანასტასია ბახვას ასული, დები: ოლღა, ფეფიკო და ნინა კიკნაძეები ბიძია ერასტო და ბიცოლა ლიზა ადამიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი ერთად ერთი ვაჟი

გრიშა კიკნაძე

პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება საკუთარ სახლიდან (19 თებერვლის ქუჩა № 63), ოთხშაბათს, 16 თებერვალს, 4 საათზე. დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1660

ღრმად დამწუხრებულნი და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფნი დედა ფატია, მამა ლეონტი, დაი თამარი, ძმები: ვანო, ბლიოშა, სერიოჟა და სულიკო, რძლები მარუსია და მარო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ (ტვინის ანთებით) ქ. სოხუმში ა. წ. 10 თებერვალს, გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი და საყვარელი

ქეთო (ელენე) ლეონტის ასული კალანდაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება დაბა ხიდისთავში, ხუთშაბათს, ა. წ. 18 თებერვალს. 1666

სამუდამოთ დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული, შვილები. გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზ, დავით ზენგელაიები და ელენე ყანჩელისა, სიძე ალექსანდრე ყანჩელი, რძლები ლიუსია და ოლია ზენგელაიასი და შვილიშვილები სალომეა, შურიკი და ნატალია გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 13 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ გიორგის-ძე ზენგელაია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. იზმაილოვის ქ. № 9. დაკრძალვა ცალკე. 1672

სამუდამოთ დამწუხრებული: ძმები—ბენო, ნოე, გრიგოლი, ივტიხი, დები—ანეტა, მარუსია, ნინა, ზინაიდა, რძლები, პალინა, სუსაკი, საშურა, საშა, სიძენი: ნოე, დათიკო, გიორგი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უდროოთ გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე

ლუბა გლახუნის ასული ბერაძე

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 16 თებერვალს, დღის 4 საათზე, 1-ლი საავადმყოფოდან (ყ. არამიანცის საავად.) დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1667 2—1

ამხანაგები და მეგობრები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ მეგობრის

ვანიჩკა (ივანე) კანდელაკის,

უდროოთ გარდაცვალებას ქ. სოხუმში, 7 თებერვალს, ცხედრის გამოსვენება, რომელიც უნდა მომხდარიყო 13 ამა თებერვალს, თბილისის სადგურიდან, გადადებული იქნა ცხედრის ჩამოუსვენებლობის გამო, ცხედრის გამოსვენება მოხდება ელისაბედის ქუჩიდან № 33. 15 ამა თებერვალს, დღის 4 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1676

სახელმწიფო დრამა

სამშაბათს, 15 თებ. ან. გლებოვის **ზაგმუკ** (ყენობა ბაბილონში) ისტორიული დრამა 5 მოქმ. 6 სურათ. თარგ. ს. შანშიაშვილის მუსიკა: იონა ტუსკიასი. დადგმა: ალ. ახმეტელისა.

ხუთშაბათს 17 თებერ. ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია** ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

შაბათს, 19 თებერვალს, ანტონოვის **მზის დაბნელება საქართველოში** კომედია 3 მოქმედებად. დადგმა კ. მარჯანიშვილის. დეკორაციები: სიდამონ ერისთავისა.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ვ—1 ნ. 648

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 15 თებერვალს, აბონემენტის მე-8-ე წარმოდგენა **ბორის გოდუნოვი**

მონაწ.: ხკიბიცკაია, ვოლჩანეცკაია, მაყაშვილი, ვიტინგი, შარაშიძე, სოკოვნინი, პრივალოვი.

დირიჟორი სტოლერმანი

ხუთშაბათს, 17 თებერვ. **ევგენი ონეგინ**

მზადდება ოპ. **ტრუბადური**

ნ. 646

ცირკი ძმ. ტანტების

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.

სამშაბათს 15 თებერვალს

სანახაობანი დასის მთელი შემადგენლობის მონაწილეობით 3 ფართე განყოფ. 14 №№. მე-20-ე დღე ჭიდაობის ჩემპიონატისა ცნობილ არბიტრ ი. ვ. ლებედევის (ძია ვანო) ხელმძღვანელ.

დღეს ჭიდაობს 4 წყვილი

1-ლი შულცი—გრ. სიდიუკ
მე 2 მაისურაძე—[illegible]
მე-3 ნიღაბი „ჰერკულეს"—ნიკოლას
მე-4 ალი ბურხან—კ. სკარბე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

ადმ. ხელმძღვან. მ. ი. ტადე.

1—1 ნ. 625 ტელ. 16—67

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 13—22.
სოლეი ტელ. 20—14.
დარბაზი ტელ. 14—04

დღეს და ყოველ დღიურათ საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

ბელა

„ჩვენი დროის გმირი„-ს ციკლიდან (ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით).

დადგმა **ვ. ბარსკის**

ოპერატორები. **ა. პოლიკევიჩი, ფ. გეჰელე**

მთავარ როლებში: **ნინა მაჭავარიანი,** ნ. პროზოროვსკი, ა. თაყაიშვილი, ვ. ობოლენსკი.

0—12 ნ. 587

საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალურ საბჭოსთან არსებული ჯიშიანი მეძაღლეობის სექცია, უკვე შეუდგა სრულიათ საქართველოს ჯიშიანი ძაღლების

საგვარეულო წიგნის წარმოებას

სექცია მოუწოდებს ყველა მონადირეებს და აგრეთვე კერძო მოქალაქეებსაც, რომელთაც ჰყავთ ჯიშიანი სანადირო ძაღლები, წარმოადგინონ კავშირში (სოლოლაკის და ფრეილიხის ქ.ქ. კუთხე №№ 7—2) დაწვრილებითი ცნობები თავიანთი ძაღლების **წარმოშობის შესახებ სამი თაობის აღნიშვნით.**

სექცია ავალებს იმ პატრონებს, რომელთაც სურთ თავიანთ ძაღლების ჩაწერა წიგნში აცნობონ სექციას ძაღლის დართვის და ლეკვების დაყრის დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში ლეკვები, რომლებიც დაიბადებიან 1927 წლის 1-ლ თებერვლის შემდეგ, ამ რეგისტრაციის გარეშე, არ იქნებიან შეტანილნი საგვარეულო წიგნში.

საქართველოს მონ. კავშირის ც. საბჭოსთან არსებული ჯიშიან მეძაღლეობის სექცია. ნ. 651

თბილისის სააქციო საზოგადოება „ციფტორგ"-მა

სომხის ბაზარზე № 6

გახსნა რკინეულობის საცალო მაღაზია

შეიძლება საქონლის ფართოდ შერჩევა.

ნ. 642 2—1

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 18 თებერვლის, დილის 11 საათზე, კლარა ცეტკინის ქუჩაზე, № 126, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** სამ სართულიანი სახლი სარდაფით და შენობებით ეზოში, რომელიც ეკუთვნის გრიგორ მინასძე ვართანოვს, მდებარეობს ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე (ყოფ. ელისაბედის ქ.) № 126, და შესდგება 52 ოთახისაგან და 10 სამზარეულოსაგან; ეს სახლი შეფასებულია ოციათას მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა თბილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოების და თელავის საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. 311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის ათი პროც. რაოდენობით. 1668

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** საწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—14

ა. ვ. მიქაბერიძე.

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორაქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ქ. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების ყველა წევრთა საყურადღებოდ, რომ ამ წლის 28 თებერვალს, ქ. ზესტაფონში ბანკის ბინაზე მოწვეულია წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება. 2. საბჭოს მოხსენება 3. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4. ხარჯთაღრიცხვა 5. მიმდინარე საკითხები. თუ აღნიშნულ დღეს კრება არ შესდგა, განმეორებითი კრება ინიშნება ამ წლის 7 მარტისთვის. ამ დღის კრება კანონიერად იქნება ცნობილი რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

1671 გამგეობა

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ქიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

საქართველოს სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს ყველა ორგანიზაციათა და პირთა საყურადღებოდ, რომ ამ წ. 6 თებერვალს გაერთიანდა თამბაქოს ნაწარმოების გამყიდველთა 2 ნადი „ბლარჯა" და „გამარჯვება" ერთი სახელწოდებით „ბლარჯა" რომლის წესდება დამტკიცებულია ს.ს.ს.რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატის მიერ.

1677 სოც. უზრ. სახ. კომისარიატი

ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართ. აღმასრულებელი ლ. ს. სვიტოდუბოვი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 18 თებერვალს, დილის 12 საათზე, სახლში № 11, გლახის (ყოფ. თავადის ქუჩა) მე-4 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გარდაცვალებულ ეუშვაკ მოსეს-ძე გორელაშვილის სახლის ნახევარ ნაწილს—იუსუფ-იბრაგიმ-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1927 წ. 26 იანვრის თარიღით № 225 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლის ძალით. ეს სახლები არის ქვიტკირისა, დახურულია თუნუქით და აგებულია ქალაქის მიწაზე ზომით 65, 75 საჟ. ამ სახლში არის 12 ოთახი და 4 სამზარეულო, შეფასებულია 1 2 ნაწილი 1300 მან. მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპ. კოდ. 311—312 მუხლებში აღნიშნული წესები. 1670

ქ. თბ. მე-4 რაიონ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 18 თებერვალს, დილის 11 საათზე, ის მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის, ერთსართულიან სახლს მეზანინით. სახლი ეკუთვნის ივანე ალექსანდრესძე ხახუტაშვილს და მდებარეობს პეკის ქუჩაზე № 7. სახლი შესდგება 4 ოთახისაგან სამზარეულოთი და გასაღებათ შეფასებულია 800 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ან პირველად შეძლეულ თანხიდან და ჩატარებული იქნება ამ სახლის ეზოში სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებების დაცვით. 649

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მედიცინის დოქტორი **გ. ა. ახვერდოვი**

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი **ა. ს. [illegible]**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი").

გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე. ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულებები.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ევროპაში ცნობილი გეოდეზის ვენის პროფესორის D-r Eduard Dolezal'ის ყოფილი მოწაფე გეომეტრი-მარკშეიდერი

ვ. ს. ასათიანი

კისრულობს ქალაქებისა და სამადნოების ზუსტი ტრიანგულიაციების შედგენა-შემოწმებას. მოლაპარაკება წერილობით თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 20. 13—3

ქუთაისი

ექიმი **ა. მ. ასათიანი**

დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფობის მიღება სპეციალურად — სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება. 13—1

ექიმი **გ. ნ. ონანოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

მთ. ბუღალტერი: მსურს სამსახ. გამოცდილ. [illegible], საწარმოო, საფაბრიკო საქარხნო, სავაჭრო და სხვა დარგები. თანახმა ვარ პროვინციაშიც [illegible]. მისამართი: ყ. ხაზინა, ადგილკომში შალიბაშვილს პ-სათვის ტელ. 9—93 1674

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 7849 მ რია ამილახვრის ასული კლუნიკოვას სახელზე, ჩ. გ. 1669

დაიკარგა სამხედრო გასაწვევი წიგნაკი № 142 შალვა გიორგის-ძე ქართველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1661

დაიკარგა პარტკანდიდატობის ბარათი № 10230 ერემია ერმილესძე კუჭავას სახელზე, ჩ. გ. 1659

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი № 900 მარიამ ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ 1662

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ფორმა № 4 ვლადიმერ ნიკოლოზისძე ცინცაძის სახელზე. ჩ. გ. 1663

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 13353 და რეგისტრაციის ბარათი ივანე სოსიკოსძე ბეროშვილის სახელზე, ჩ. გ. 1665

დაიკარგა პარტიის საკანდიდატო ბარათი № 10549 და საწევრო გადასახადების გადახდის ქვითრები [illegible] ილარიონისძე მოდებაძის სახელზე, ჩ. გ. 1675

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.